

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკის ინსტიტუტი

მეღვა ჩუხუა

**ჯონ ლოკის პედაგოგიური მემკვიდრეობა და
თანამედროვეობა**

განათლების მეცნიერებების დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თამაზ კარანაძე



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი - - - - - 3

თავი I. ჯონ ლოკი - კვლავი ბანმანათლებელი

- §1. განათლება და პედაგოგიკური აზროვნება XVII საუკუნის ინგლისში - - - 9
- §2. ჯონ ლოკის ბიოგრაფიული შტრისები - - - - - 19
- §3. სწავლა-აღზრდის საკითხები XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე და ჯონ ლოკის აღმზრდელობითი მიზნები და ამოცანები ჯონ ლოკის პედაგოგიურ შეხედულებებში - - - - - 27
- §4. ჯონ ლოკი პედაგოგის როლსა და დანიშნულებაზე - - - - - 36
- §5. აღზრდის წამყვანი როლი პიროვნების ფორმირების პროცესში ჯონ ლოკის მიხედვით
ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი - - - - - 48

თავი II. ჯონ ლოკის კვლავიკური კონცეფცია. ჯენტლმენის აღზრდის შინაარსი და მეთოდები

- §1. ჯონ ლოკის აღმზრდელობითი სისტემა ნაშრომის „ფიქრები აღზრდაზე“ მიხედვით
 - ა) ფიზიკური აღზრდის; ბ) გონებრივი აღზრდის; გ) ზნეობრივი აღზრდის; დ) ესთეტიკური აღზრდის; ე) შრომითი აღზრდის პრობლემები - - - - - 55
- §2. ჯონ ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და სოციოლოგიური საფუძვლები ნაშრომის – „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ მიხედვით - - - - - 95

თავი III. ჯონ ლოკის კვლავიკური იდეების გავლენა კვლავიკური თეორიისა და სასკოლო პრაქტიკის განვითარებაზე

- §1. ჯონ ლოკის როლი პედაგოგიკური აზრის განვითარებაში - - - - - 116
- §2. ჯონ ლოკის პედაგოგიური შეხედულებები, იდეები და თანამედროვეობა - 125

დასკვნები - - - - - -138

გამოყენებული ლიტერატურა - - - - - 141

შესავალი

ისტორიის გზაჯვარედინზე, როდესაც წყდება სოციალური პრობლემები და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ განათლების, სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებას, აუცილებელია ახალი სასწავლო-აღმზრდელობითი გზების ძიება, შერჩევა და მოხინჯვა. ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მემკვიდრეობის რაციონალური მარცვლების მომარჯვებასა და გამოყენებას, ვინაიდან, ფილოსოფოს ლაიბნიცისა არ იყოს, „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. დიას, „დროთა კავშირი“, როგორც შექსპირი იტყოდა, არ უნდა გაწყდეს, არც დაირღვეს. მაშასადამე, სოციალური, მეცნიერული წინსვლა დღის წესრიგში აყენებს წარსულის მონაპოვართა წიადში ჩაღრმავებას, მათ ხელახალ გააზრებას; ამ დროს შესაძლებლობა გვეძლევა, ვიგრძნოთ არა მხოლოდ იმ ეპოქის მაჯისცემა, რომელშიც გამოჩენილი პირები მოღვაწეობდნენ, არამედ დავინახოთ კავშირი სხვადასხვა ეპოქებს შორის. წარსულის მოაზროვნეთა შემოქმედების კრიტიკული გაანალიზება და შემოქმედებითად ათვისება მეცნიერული აზროვნების შემდგომი განვითარების საფუძველია. როცა ვაღიარებთ, თანამედროვე მეცნიერული ცოდნა დამყარებულია წარსულის მოაზროვნეთა მიღწევებზეო, ეს იმას გულისხმობს, რომ განვითარების ასეთსავე წესს ემორჩილება პედაგოგიკური მეცნიერებაც; მისი შემდგომი სრულყოფა წარმოუდგენელია წარსულის ბრწყინვალე წარმომადგენლების ნააზრვის, იდეების, შეხედულებების გაუაზრებლად. მათ მიერ წამოყენებული იდეები მნიშვნელოვანწილად დღესაც ასაზრდოებენ პედაგოგიკის მეცნიერებას.

პედაგოგიკის მეცნიერების ისტორია მომავალი თაობის განათლების, სწავლებისა და აღზრდის თეორიისა თუ პრაქტიკის კანონზომიერებათა კვლევის ისტორიაა.

XVII–XVIII საუკუნეთა ინგლისელი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის, ექიმისა და მეცნიერის ჯონ ლოკის მოღვაწეობა მკვეთრი შემობრუნებაა პოლიტიკურ-სოციალური, ფილოსოფიური მეცნიერების ასპარეზზე. იგი ახალი მიმართულების დამამკვიდრებელია ფილოსოფიურ-პედაგოგიურ აზროვნებაში.

ინგლისი მაშინ იყო დიდი რევოლუციური და სოციალურ-პოლიტიკური ძვრების კერა.

იმდროინდელ საზოგადოებრივ მეცნიერებებში ფეხმოკიდებული სქოლასტიკური მეთოდოლოგია შეუთავსებელი იყო პროგრესულ აზროვნებასთან.

სწორედ ამ პერიოდში გამოდის ჯონ ლოკის შრომები: „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ (1690 წ.), „ფიქრები აღზრდაზე“ (1693 წ.), ისინი ასახავენ შემეცნების თეორიის, მომავალი თაობის განათლების, სწავლებისა და აღზრდის პრობლემებს. ეს შრომები გამოიჩინა სრულიად ახალი მოსაზრებებით სწავლა-აღზრდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომელთაც საფუძვლად უდევს დრმა ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური დაკვირვებები.

შემეცნების პროცესი ცოდნის მოპოვების საფუძველია, სამყაროს მოვლენებისა და ფაქტების მართებულად გააზრებისა და ათვისების გზაა, ხოლო განათლების, სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფა კაცობრიობის მუდმივი, მძაფრი ინტერესის საგანია, ჯონ ლოკის შრომები შემეცნების შესახებ, პედაგოგიკურ შეხედულებათა მთელი მისი სისტემა თანამედროვეთა ცხოველ ინტერესს იწვევს, რამდენადაც, ისინი დღესაც ერთობ აქტუალურია.

ჩვენი მიზანია გავაშუქოთ ჯონ ლოკის პედაგოგიკური შეხედულებები, განესაზღვროთ მისი ღვაწლი მეცნიერული პედაგოგიკის შემდგომ სრულყოფაში. მისი მოძღვრება ხომ XVII - XVIII საუკუნეთა მიჯნაზე წარმოადგენდა ახალ სიტყვას, მიმართულებას, მომავალი თაობების განათლების, სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფის პრობლემების პროგრესულ გადაწყვეტას. კვლევის მეთოდებისადმი მისმა მეცნიერულმა მიდგომამ დროის მკაცრ გამოცდას გაუძლო და დღესაც აქტუალობას ინარჩუნებს.

კვლევის პროცესში ძირითადად ვყვრდნობოდით ი. ზაიჩენკოს შრომას „ჯონ ლოკი“ (მოსკოვი, 1988 წ.), კ. ბაქრაძის სტატიას „ჯონ ლოკი“ („რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, VI, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972 წ.), ი. ნარსკის შრომას „ჯონ ლოკის ფილოსოფია“ (მოსკოვის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960 წ.), დ. რახმანის ნაშრომს „ჯონ

ლოკი" (გამომცემლობა „ჩერვონი შლიახ“, 1924 წ.); ასევე გამოვიყენეთ მისი სპეციალური შრომები: „ფიქრები აღზრდაზე“, „ცდა ადამიანის გონების შესახებ“, რომლებიც გამოცემულია პეტერბურგში 1913 წელს გამომცემლობა „სკოლა და ცხოვრების“ მიერ.

თემის აქტუალობასა და მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი ბანაკირობებს:

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად და ფართოდ გაშუქებული ჯონ ლოკის პედაგოგიკურ შეხედულებათა მთელი სისტემა, რომლის სრული და თანამიმდევრული შესწავლა ხელს შეუწყობს თანამედროვე სკოლის მუშაობაში არა მხოლოდ აღზრდის, არამედ სწავლების პროცესის მნიშვნელოვანწილად გარდაქმნას. შევეცადეთ თანამედროვე სკოლების წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემები ლოკის მდიდარ პედაგოგიკურ შეხედულებებსა და იდეებთან დაგვეკავშირებინა, რათა გვეჩვენებინა უკვდავი მემკვიდრეობის გამოყენების შესაძლებლობა თანამედროვე სკოლაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ფრიად აქტუალურია დღეს, როდესაც მიმდინარეობს განათლების, სწავლებისა და აღზრდის სფეროში პერმანენტული რეფორმები, რაც ნაკარნახევია ეპოქის მოთხოვნებით.

ლოკის მოსაზრებათა თანამედროვე გარდაქმნათა ფონზე გააზრებამ დაგვარწმუნა, რომ მოაზროვნის დიდფას მიგნებებსა და დაკვირვებებს ჯეროვნად გამოყენება და მომარჯვება სჭირდება, რამდენადაც ისინი, ეს პედაგოგიკური იდეები და მოსაზრებანი განათლების, სწავლა-აღზრდის შესახებ არა მხოლოდ ლოკის ეპოქის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, არამედ ჩვენი დროის პედაგოგიური მეცნიერებისთვისაც განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ჯონ ლოკის პედაგოგიური კონცეფციები ადამიანის აღზრდისა და გონებრივი განვითარების შესახებ. ამ მიზნით გამოყენებულია მისი ფუნდამენტური ნაშრომები: „ფიქრები აღზრდაზე“, „ცდა ადამიანის გონების შესახებ“, გარდა ამისა, გამოვიყენეთ ის შრომები, რომლებიც ეხება ლოკის პედაგოგიკურ და ფილოსოფიურ მემკვიდრეობას.

კვლევის საბანია ჯონ ლოკის პედაგოგიური მემკვიდრეობის ადგილისა და როლის განსაზღვრა თანამედროვე საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო სისტემაში.

ჰიპოთეზა: ჯონ ლოკის შრომებში: „ფიქრები აღზრდაზე“ და „ცდა გონების აღზრდის შესახებ“ მოცემულია მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებათა მთელი სისტემა. მისი მწყობრი და თანამიმდევრული გადმოცემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში. მოაზროვნის შეხედულებათა გეგმაშეწონილი და კომენტირებული მომარჯვების გზით შესაძლებელი გახდება თანამედროვე სკოლების სასწავლო-ადმინისტრაციო მუშაობის თანამედროვე დონეზე სისტემატიზება და ოპტიმიზაცია, მისი თანამედროვე ფორმებითა და მეთოდებით გამდიდრება.

ჰიპოთეზურად წამოყენებული პრობლემების **მეცნიერული გადაწყვეტის მიზნით** გამოგვეკეთე შემდეგი პრიორიტეტული ამოცანები:

ა) ჯონ ლოკის შრომების „ფიქრები აღზრდაზე“, „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ გამოწვლილვითი შესწავლა და მათი დეტალური ანალიზი.

ბ) ქართულ, რუსულ და ინგლისურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ლიტერატურაში ჯონ ლოკის შესახებ არსებული გამოკვლევების შესწავლა-დამუშავება.

გ) ჯონ ლოკის ძირითადი პედაგოგიკური იდეების, შეხედულებების, მოსაზრებების გამოკვეთა მისი შრომების („ფიქრები აღზრდაზე“, „ცდა გონების აღზრდის შესახებ“) ანალიზის საფუძველზე.

დ) შედარებითი მეთოდის მომარჯვებით ლოკის პედაგოგიკური იდეების, შეხედულებების შეპირისპირება თანამედროვე სკოლების მუშაობის სისტემასთან, სწავლა-აღზრდის თანამედროვე მიმართულებებთან პრობლემათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააზრების მიზნით.

ე) ჯონ ლოკის როლისა და ადგილის დადგენა პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

ნაშრომის სიახლე და მეცნიერული მნიშვნელობა:

➤ მონოგრაფიული შრომა ჯონ ლოკის, როგორც პედაგოგიკის მეცნიერების კლასიკოსის, შესახებ პირველად სრულდება. მასში

პირველად არის დასისტემებული დიდი მოაზროვნის იდეები და წარმოდგენები პედაგოგიკის საკითხებზე.

- ნაშრომში ჯონ ლოკის პედაგოგიკური იდეები, შეხედულებები ჩამოყალიბებულია მწყობრი სისტემის სახით და მოცემულია ცდა თანამედროვე სკოლებისთვის მათი საჭიროების დასაბუთებისა.

დადგენილია ჯონ ლოკის როლი და ადგილი პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში.

ჯონ ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობა და მისი შრომები მოიცავს აღზრდისა და სწავლების ყველა მიმართულებას. ესენია: ფიზიკური, გონებრივი, მორალურ-ზნეობრივი, შრომითი. აქ განსაზღვრულია აღზრდისა და სწავლების სისტემა, მათი მიზანი, შინაარსი და პრინციპები, მეთოდები, ფორმები, საშუალებანი; ნათლად არის წარმოდგენილი ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების, ჯენტლმენის, ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. ჯონ ლოკის პედაგოგიკის დიდი მეცნიერული ღირებულების დასაბუთება ხდება მისივე შრომების შესწავლის საფუძველზე და იქ განვითარებული საყურადღებო იდეებისა და მოსაზრებების თანამედროვე მოთხოვნებთან შეფარდების გზით.

ლოკმა პირადი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და სხვათა პედაგოგიკური იდეების შემოქმედებითად განვითარების საფუძველზე შექმნა მეცნიერული პედაგოგიკა; ჩამოაყალიბა განათლებისა და აღზრდის შესახებ შეხედულებათა მწყობრი მეცნიერული სისტემა, რაც XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ერთობ ძნელი საქმე იყო, ხოლო, თავისი პროგრესულობის თვალსაზრისით, მსოფლიოში ანალოგი ფაქტობრივად, არ მოეპოვება. სქოლასტიკური აღზრდისა და განათლების ბასტიონზე ისტორიული გარღვევა განახორციელა, გააცამტვერა რა ძველი სქოლასტიკური სკოლა, აგებული ძალადობასა და მონურ მორჩილებაზე. ამით მან შექმნა სრულიად ახალი დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სწავლა-აღზრდისა და ყოფა-ცხოვრების შესაბამისი პედაგოგიკური თეორია. ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჯონ ლოკის დიდფასი სოციოლოგიურ-პედაგოგიკური შეხედულებები, განსაკუთრებით მისი ნააზრევი

სხვა ენებთან შედარებით მშობლიური ენის უპირატესობის შესახებ პიროვნების ფორმირების პროცესში. ჯონ ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობა ამ მხრივაც ფასდაუდებელი საკაცობრიო საგანძურია.

შრომის თეორიული ღირებულება იმით გამოიხატება, რომ შემოთავაზებულია ჯონ ლოკის პედაგოგიკური სისტემის მთლიანი და სრული ანალიზი, რასაც თან ახლავს მოვლენებისა და ფაქტების ობიექტური, მიუკერძოებელი შეფასება. აქ წამოყენებული პრაქტიკულ კვლევაზე დამყარებული თეორიული განზოგადებანი დაეხმარება მკვლევარებს წარსულის თეორიულ და პრაქტიკულ მონაპოვართა სადღეისო ამოცანების შესაბამისად განზოგადებაში. გარდა ამისა, ნარკვევში წარმოდგენილი თეორიული განზოგადებანი და შენიშვნები გარკვეულწილად ხელს შეუწყობს თეორიულ-პედაგოგიური აზრის გამდიდრებას.

სადისერტაციო ნარკვევის პრაქტიკული ღირებულება ის არის, რომ კვლევის ძირითად დებულებებს წარმატებით გამოიყენებენ პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის მკვლევარები, სათანადო სალექციო კურსებში მომხარჯებენ აქ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მსჯელობებს; გარდა ამისა, აქ წარმოდგენილი რეკომენდაციები მნიშვნელოვანწილად დაეხმარება პრაქტიკოს პედაგოგებს, განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელ-დამრიგებლებს; ცალკეული შენიშვნები და მთლიანად მთელი ნარკვევი წაადგებათ მშობლებს, სწავლა-აღზრდის საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებრიობას; ნაშრომის წიგნად გამოცემის შემთხვევაში აქ მოცემულ დაკვირვებებს, თეორიულ განზოგადებებსა და ცალკეულ კონცეფციებს გამოიყენებს ფართო აუდიტორია.

თავი I. ჯონ ლოკი, კედაბობი – ბანმანათლებელი

§1. ბანათლება და კედაბობიკური აზროვნება

XVII საუკუნის ინგლისში

XVII საუკუნე ახალ ერას იწყებს კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ზღვარი, რომელმაც ერთურთისგან გამიჯნა ორი სოციალ-ეკონომიკური სისტემა: ფეოდალური, რომელიც არსებობდა რომის იმპერიის დაცემის დროიდან და რომელსაც ბოლო მოუღო XVII საუკუნის რევოლუციამ და ბურჟუაზიულ, დემოკრატიული წყობილება, რომელსაც ამ რევოლუციამ გზა გაუხსნა.

სწორედ ამ დროს ჩაყარა საფუძველი წარმოების კაპიტალისტურ წესს. იგი ხასიათდებოდა საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარებით. შეიცვალა წარმოების ორგანიზაციის სახე, წარმოიშვა ახალი ტექნიკური საშუალებანი, დაჩქარდა ეკონომიკური პროცესების ტემპი, გადაიშალა განვითარების ახალი პერსპექტივები. მაშასადამე, დაიწყო ევროპულ ყოფაცხოვრებაში გარდატეხა.

მსოფლიო ბაზრის შექმნამ გამოიწვია წარმოების შემდგომი განვითარება, განაპირობა სამეცნიერო აზროვნების არნახული აღმავლობა. ამან დაანგრია ტრადიციული წარმოდგენები და შეცვალა მსოფლიო რუკაზე მანამდე არსებული სურათი.

XVI–XVII საუკუნეთა მიჯნა მიჩნეულია სამეცნიერო რევოლუციის პერიოდად. მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ცოდნას საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა სფეროში, ასევე სიახლეს ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ აზროვნებაში, ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში, გარდაქმნებს განათლების სისტემაში; ჩამოყალიბდა მოქალაქეობრივი უფლებების სისტემა. მასში ფართოდ იყო წარმოჩენილი პიროვნებისა და სინდისის თავისუფლების პრობლემა. მოხდა თვისებრივი ნახტომი სამეცნიერო დარგებში. ეს პროცესი შესაძლებელია დახასიათდეს, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია. სამეცნიერო მიღწევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ადამიანის მაღალი პოტენციური შესაძლებლობები. ამან განაპირობა ადამიანთა შემოქმედებითი აქტივობა.

პიროვნების დაცვის თვალსაზრისით, ინგლისის იმდროინდელი საზოგადოება დიდ ნაბიჯებს დგამდა. ამას ხელს უწყობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაძლიერება და დახვეწა, დაქირავებული შრომის ფართო გამოყენება მეურნეობის ყველა დარგში და შინასავაჭრო მუშაობის გააქტიურება. ამ დროს ინგლისში ერთობ დაწინაურდა მეწარმეობა.

შექმნილ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში კანონმდებლობას არ ჰქონდა მყარი და მკაფიო საკანონმდებლო საფუძვლები.

შემდეგ მიიღეს კანონი, რომელიც თავისუფალ გლეხობას, რომლის წლიური შემოსავალი იყო ფუნტი, სტერლინგი, შეეძლო მიეღო თავადის წოდება; ასე მოველინენ ქვეყნიერებას „ახალი თავადები“, ეკონომიკის დარგში აქტიურად მოღვაწე ადამიანები. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ქვეყნის შემდგომ წინსვლას, ინგლისის ყოველმხრივ დაწინაურებას მომდევნო ხანებში. სამეცნიერო-ტექნიკურმა გადაიარაღებამ, ეკონომიკურმა წინსვლამ დიდად განაპირობა ის ფაქტი, რომ – ინგლისმა ადამიანის უფლებების დაცვის ასპარეზზეც წინ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა.

პირველად სწორედ ინგლისში ჩამოყალიბდა კანონი ხალხთა უფლებების შესახებ, რამაც მეფესთან დაპირისპირება გამოიწვია. მონარქს არ ჰქონდა უფლება, ხალხის თანხმობის მიუღებლად დაეწესებინა ახალი გადასახადები და გამოეცა ახალი კანონები; ყოველდღიურ საქმიანობაში მას უნდა ემოქმედა ამ წესების დაცვით.

მაგრამ შუასაუკუნეებში გამყარებული ურთიერთობათა სისტემა სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნიდა ინგლისის შემდგომ განვითარებას.

ამ ხანებში პურიტანები გამოდიოდნენ საეკლესიო რეფორმების გაღრმავებისა და ინგლისის პოლიტიკური გარდაქმნის მომხრედ. ისინი მოითხოვდნენ ეკლესიის განწმენდას კათოლიციზმის ელემენტებისაგან, საეკლესიო იერარქიის დამხობას, საეკლესიო მიწების კონფისკაციას, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, რელიგიური კულტის გაუქმებას. აღნიშნული რელიგიური მოთხოვნების უკან იმალებოდა ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური პოლიტიკური პროგრამა. პურიტანები ქადაგებდნენ ცხოვრების გარდაქმნას, უარს აცხადებდნენ მდიდრულ გართობებზე. ისინი მიესალმებოდნენ და მხარს უჭერდნენ აქტიურ საქმიან შემოქმედებას, თან მოითხოვდნენ: მკაცრი რეჟიმის დაცვას, რომელიც

შეზღუდავდა ბევრ რაიმეს, კონსტიტუციითა და ძლიერი პარლამენტით გაამყარებდა კონსტიტუციურ მონარქიას. მათი ფიქრით, ყოველივე ეს ხელს კი არ შეუშლიდა, არამედ გაამაგრებდა ბურჟუაზიას, მისცემდა მას საშუალებას, მოსულიყო ხელისუფლებაში. ამგვარად, ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი მიზანი მიღწეულ იქნა. ბურჟუაზიული რევოლუციის მიღწევად უნდა ჩაითვალოს აბსოლუტიზმის განადგურება, ვაჭრობისა და მეწარმეობის განვითარებაც.

ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად მოხდა არა მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლებების მოპოვება, არამედ სახელმწიფო წყობილების ფორმების შეცვლაც. ასე ჩამოყალიბდა პირველი სამართლებრივი სახელმწიფო მთელს მსოფლიოში. აღნიშნული ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური შედეგია.

ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა სფეროში კერძოდ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და მეცნიერულ სფეროში, თავისთავად იწვევდა სახელმწიფოებრივ წინსვლას და განვითარებას. იქნებოდა რევოლუციური ბრძოლები, პოლიტიკური პარტიების ურთიერთშეჯახება და პოლემიკა, პუბლიცისტური გამოსვლები, თუ ფილოსოფიური, პოლიტიკური, რელიგიური ურთიერთდაპირისპირებანი – ყველგან დომინირებდა ძირითადი პრობლემა – ფეოდალიზმის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თავბრუდამხვევი მოვლენები ნისლიანი ალბიონის კუნძულზე ხდებოდა, ამ პროცესების არსი თავისი მნიშვნელობით არ იყო ლოკალური. ამ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ძვრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი დასავლეთი ევროპისათვის. რესპუბლიკური მმართველობის, ხალხთა თანასწორობისა და პიროვნების თავისუფლების იდეამ ზემოქმედება მოახდინა სხვა ევროპულ სახელმწიფოებზე. ამდენად, ინგლისის რევოლუცია ევროპული მასშტაბის მოვლენად აღირაცხება. ის წარმოადგენდა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, ახალი საზოგადოებრივი წყობის გამარჯვების საწინდარს, ბურჟუაზიული საკუთრების გამარჯვებას ფეოდალურზე, ნაციისა – პროვინციალიზმზე, განათლებისა – ღრმა ფესვადგმულ ტრადიციებზე, ოჯახისა, წარმოშობით პრივილეგიურობაზე, ფხიანობისა – სიზარმაცეზე, ბურჟუაზიული სამართლისა – შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებზე.

ამ მოვლენების განუხილველად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ინგლისის სულიერი ცხოვრება. XVII საუკუნის ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობეს რენესანსი. ამავე ხანებში მთელ დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გაიშალა. აღორძინების ეპოქის გრანდიოზულმა აღმოჩენებმა, რომელთაც თავს გვირგვინი XVII საუკუნემ დაადგა, გააღვიძა ხალხთა თვითშეგნება. მათ შეარყიეს ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დამყარებული შუასაუკუნეობრივი ტრადიციული ცხოვრების ნორმები.

გაძლიერებულმა და მზარდმა ბურჟუაზიამ, რომელიც სათავეში ედგა ვაჭრობას, შიდა ეკონომიკის განვითარებას, თავისი ზეგავლენის სფეროში მოაქცია შეიარაღებული ძალები, ფლოტი. მან იმთავითვე შეიგნო მეცნიერების პრაქტიკული მნიშვნელობა და მხარი დაუჭირა სამეცნიერო კადრების შემოქმედებით მუშაობას. შრომის თავისუფალი ბაზრით დაინტერესებულმა და რეგლამენტირებული ვაჭრობისაგან განთავისუფლებულმა ბურჟუაზიამ მხარი დაუჭირა თანასწორობის კუმანურ იდეას, ნაციონალურ მშენებლობას (ტერიტორიულ გაერთიანებებს, კულტურის გაერთიანებას, ენის დემოკრატიზაციას). მისი იდეოლოგები და შემდეგ განათლების მოღვაწენი გზას უხსნიდნენ მთელი კაცობრიობის მოწინავე იდეალებს, მიზნებს, რადგანაც იმ ისტორიულ პერიოდში ეს იდეალები დაკავშირებული იყო ბურჟუაზიასა და მის პრაქტიკულ ინტერესებთან.

წარმოების გაფართოების საჭიროება და აუცილებლობა ერთგვარ სტიმულს აძლევდა მეცნიერების განვითარებას. მეცნიერებასა და ბუნებაში მომხდარი გარდატეხები დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი ურთიერთობისა და იდეოლოგიის სფეროსთან. ეს ზედნაშენური კატეგორია კი, თავის მხრივ, პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა ბაზისზე – წარმოებაზე. საზოგადოებაში ყალიბდებოდა ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც წარმოშობდა ახალი ტიპის ადამიანებს, რომელთაც სრულიად ახალი სულიერი მოთხოვნილებები და იდეები აწუხებდათ. იქმნებოდა ახალი იდეოლოგია, რომელმაც შეურიგებული ბრძოლა გამოუცხადა სქოლასტიკას, ცნობიერების ყოველგვარ შეზღუდვას, გონების რელიგიისადმი დამორჩილებას!

XVII საუკუნეში მოხდა დიდი შემობრუნება მეცნიერული აზროვნებისა და ბუნების კანონების შემეცნებისაკენ; საზოგადოებამ მკაფიოდ გაიცნობიერა, რომ

მატერია მჭიდრო კავშირშია მოძრაობასთან; ამასთანავე, დამუშავდა მათემატიკური ლოგიკის პრინციპები. დიდი ავალა მიეცა ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარებას, როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია.

ადამიანის გონება თანდათან გათავისუფლდა რელიგიური წარმოდგენებისაგან, ჩვევებისაგან, რომელთა ჩანერგვაც ბავშვობიდან ხდებოდა. არადა ცნობილია, რომ რელიგიური წარმოდგენები ემყარებოდა არა დაკვირვებას, არამედ სქოლასტიკური მეცნიერებისა და მათი შემქმნელების შეხედულებებს. ტრადიციული წარმოდგენების მსხვერველაში დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ჰუმანისტების ენერგიული მუშაობის შედეგად ევროპის საზოგადოება უკეთ გაეცნო კაცობრიობის მოწინავე ქმნილებებსაც. შეისწავლა ლათინურ და სხვა ენებზე არსებული ბერძნული კლასიკური ლიტერატურა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ელინიზმის ეპოქის გამოჩენილ მეცნიერთა საფუძვლიანად გაცნობას. ესენი არიან: ევკლიდე, არქიმედე, აპოლონია და სხვები. ამიერიდან მეცნიერები იოლად უთავსებდნენ ერთმანეთს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებას. მაგალითად, სპინოზამ ფილოსოფიაში შემოიტანა აზროვნების მათემატიკური მეთოდები, ფრენსის ბეკონმა მთავარ ამოცანად გამოაცხადა ბუნების ძალების საიდუმლოებებში გარკვევა; ჯონ მილტონი – პოეტი და ტრიბუნი – წერდა, რომ „ცხოვრების მიზანია ადამიანის ძალაუფლების გაფართოება, რათა განხორციელდეს ყოველივე, რაც შესაძლებელია“.

ბეკონი ამტკიცებდა, რომ სამყარო და ბუნება უნდა შეისწავლებოდეს მხოლოდ მეცნიერული ცდისა და ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით. იგი თვლიდა, რომ მეცნიერება ადამიანს აძლევს ძალაუფლებას სამყაროზე. გამეცნიერებულ პიროვნებას შეუძლია შეცვალოს ცხოვრება და საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ბეკონს ეწადა, რომ რეორგანიზებულ ცოდნას მოეხდინა ადამიანის კეთილდღეობის სრულყოფა და საზოგადოების გარდაქმნა. ამიტომ ფრენსის ბეკონი ითვლება ევროპული განათლების მამამთავრად, ვინც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა დასავლეთი ევროპის საზოგადოებრივი განვითარება XVIII საუკუნეში.

XVII საუკუნის შუა პერიოდის დასავლეთი ევროპის ქვეყნებში მიღწეული იყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო წარმატებები. სქოლასტიკასა და რელიგიურ

მსოფლმხედველობასთან მძაფრი ბრძოლის შედეგად გამომუშავდა ბუნების შესწავლის ახალი მეცნიერული მეთოდები, რომლებიც ეყრდნობოდა ცდის შედეგებს. ასეთი იყო XVII საუკუნის შუა პერიოდის „პანსოფიკური“ იდეალი.

ბეკონი თვლიდა: განათლებამ უნდა მოახდინოს ადამიანის გონებრივი კაპიტალის გადაცემა მომდევნო თაობათა წარმომადგენლებზე და დასძინდა, რომ განათლება – ეს არის მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა, რომელიც მოითხოვს სერიოზულ შესწავლას და ღრმა ანალიზს; სწორედ ამიტომ არის, რომ მისი ნაშრომი „ახალი ატლანტიდა“, რომელიც დაუმთავრებელია, აღწერს იდეალურ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ეს იყო კვლევისათვის განკუთვნილი უნივერსიტეტი, რომელსაც ეწოდებოდა „სოლომონის სახლი“.

საჭიროა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის დასაწყისშივე ინგლისში გავრცელდა როჯერ ეშემის პედაგოგიკური იდეები. ეს იდეები ავტორმა გააშუქა ტრაქტატში „სკოლის მასწავლებელი“. მასში განსაკუთრებით ხაზგასმულია: აღზრდას უნდა მიჰყავდეს ადამიანი ზნეობრივ ღირსებასთან და პრაქტიკულ ცხოვრებისეულ გამოცდილებამდე.

რეტროსპექტული ანალიზი საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ განათლების მიმართულებასა და ტენდენციებს XVII საუკუნის ინგლისში. განათლების საერთო სურათი ამ დროს ხასიათდებოდა იმით, რომ იგი მოქცეული იყო ინგლისის პროტესტანტული ეკლესიისა და ამ ეკლესიის სხვადასხვა ორგანიზაციის ხელში. ეს ვითარება განმტკიცებული იყო 1603 და 1604 წლების სამეფო აქტებით. სკოლების მოწყობას, სწავლის შინაარსსა და ფორმებს განსაზღვრავდნენ და აწესრიგებდნენ ეპისკოპოსები ან სხვა პირები, რომლებიც პასუხს აგებდნენ რელიგიური ცხოვრების წარმართვაზე.

სწავლების დაბალმა, პრიმიტიულმა დონემ, განსაკუთრებით ნელმა ტემპმა, უსახურმა სასკოლო დებულებებმა ისევე, როგორც განათლების საზოგადო სქოლასტიკურმა ხასიათმა, გრამატიკული სკოლები იქამდე, მიიყვანა, რომ ინგლისის სხვადასხვა საზოგადოებამ წამოაყენა სასკოლო რეფორმის სხვადასხვა პროექტი.

ერთი ანონიმი ავტორის მიერ შემოთავაზებულ სარეფორმო პროექტში, რომელიც XVII საუკუნის 40-იან წლებში გავრცელდა, ნათქვამი იყო: დაწყებითი სკოლა უნდა იყოს მასობრივი. აქ უნდა ისწავლებოდეს არა მხოლოდ წერა-

კითხვა, არამედ არითმეტიკა და გეომეტრია, რადგან ეს აუცილებელია, რათა მოსწავლეებმა „მექანიკის ხელოვნება“ აითვისონ (30).

სკოლებს ხსნიდნენ რელიგიური ორგანიზაციები ან კერძო პირები. ამგვარ სკოლებში იყო მკაცრი დასჯის მეთოდები (დაწესებული იყო დასჯის დღეებიც კი). სწავლის შინაარსი სკოლებში დიდად განსხვავდებოდა. ზოგიერთ სკოლაში ასწავლიდნენ მხოლოდ წერა-კითხვას, მაგრამ პრივილეგირებულ სათავადაზნაურო სკოლებში ასწავლიდნენ ბერძნულსაც, ლათინურსაც, ზოგან ინგლისური ლიტერატურაც ისწავლებოდა.

საშუალო სკოლების რაოდენობა 200-დან 300-მდე მერყეობდა. მათ შორის არის საუკეთესონი (ვინჩესტერის, ეტონის, ხარიუს, ჩერტერის, ხაუზის, რეგოის, შრუსბერისა და სხვა სკოლები), თუმცა ესენიც ვიწრო ჰუმანიტარული განათლების მიცემას ახერხებდნენ, მაგრამ მათში მაინც იგრძნობოდა ახალი დროის ქროლვა, პროგრესული ტენდენციები.

ამასობაში აღმოცენდა ეგრეთ წოდებული „აკადემიები“. მათი გამოჩენა დაკავშირებულია მილტონის სახელთან. აკადემია – ეს იყო ახალი საგანმანათლებლო დაწესებულება და იგი მილტონმა აღწერა „ტრაქტატში აღზრდის შესახებ“.

ეს ახალი პედაგოგიური დაწესებულებები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ორგანიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ ვერდიქტის გამოცემის შემდეგ, რომელიც ეხებოდა რელიგიურ შემწყნარებლობას (1684წ.) გახდა ინგლისის აღმზრდელობითი – საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელი ნაწილი. საგნების ძირითადი ნუსხა ამგვარი იყო: ლოგიკა, ეთიკა, რიტორიკა, მეტაფიზიკა, გეოგრაფია, ალგებრა, ცის მექანიკა, სტენოგრაფია. სასკოლო კურსს საფუძვლად დაედო კლასიკური ენები.

ამ დროს ინგლისის ბევრი საზოგადო მოღვაწე მოითხოვდა სკოლებსა და უნივერსიტეტებში განათლების შინაარსის გარდაქმნის საჭიროებას. ეს გარდაქმნა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო რეალურ საგანთა ციკლის პრიორიტეტულ შესწავლაზე. ინგლისის მეცნიერთა ერთი ჯგუფი რ. ბოილის ხელმძღვანელობით გაერთიანდნენ ე. წ. „დაუნახავ კოლეგია“-ში. მოგვიანებით იგი გახდა „სამეფო საზოგადოება“. კოლეგიის წევრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მრეწველებსა და ლონდონსიტის ვაჭრებთან. მათ მიიღეს

მონაწილეობა ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებათა შექმნაში, რომლებსაც მოსწავლეებისათვის უნდა მიეცა პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნა და უნარები.

რეალური სკოლების შექმნის აუცილებლობას ქადაგებდნენ: ს. ჰარტლიბი თავის გამოსვლებში, ჯონ მილტონი „ტრაქტატში აღზრდის შესახებ“, ჟ. ლეტი შრომაში „სწავლების ჭეშმარიტი რეფორმა“, სადაც რეალური მეცნიერების შესწავლა უნდა მომხდარიყო ხელოსნობის შესწავლის პარალელურად. სკოლაში ფართოდ გამოიყენებდნენ სახელოსნოებსა და სამეწარმეო იარაღ-დანადგარებს.

XVII საუკუნის 50-იან წლებში ინგლისის პარლამენტმა შექმნა განათლების საქმეთა კომისია, რომელმაც შეიმუშავა განათლების რეფორმის პროექტი. პროექტის მიხედვით, სკოლები უნდა გადასცემოდა სახელმწიფო მმართველობას; იგი ითვალისწინებდა საყოველთაო დაწყებითი განათლების აუცილებლობას. ამის შემდეგ მსურველს უფლება ეძლეოდა, გაეგრძელებინა სწავლა სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელში. გარდა ამისა, შემოთავაზებული იყო სასწავლო პროგრამებიდან ისეთი საგნების ამოღება, რომლებიც პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოუსადეგარი იქნებოდა.

ჯონ ბელერსის პროექტი ითვალისწინებდა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც შეთავსებული იქნებოდა საწარმოო დაწესებულებასა და შრომითი აღზრდის სკოლასთან. შრომა და შრომითი ატმოსფერო წარმოდგენილი იყო, როგორც მთავარი აღმზრდელობითი ძალა, როგორც ზემოქმედების საშუალება აღსაზრდელის გრძნობებზე, გონებასა და ნებისყოფაზე.

საჭიროა, აღინიშნოს, რომ დ. ბალერე განიხილავდა შრომას არა როგორც განსაზღვრული პროფესიისთვის მზადების საშუალებას, არამედ როგორც პროფესიის ათვისების პირობას. იგი აფასებდა შრომას როგორც ზოგადსაგანმანათლებლო განათლების აუცილებელ პირობასა და საფუძველს, მასში ხედავდა პიროვნების საერთო განვითარების სტიმულს. „ზოგადი განათლება და შრომა შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდას, შეისწავლოს ყოველივე სასარგებლო“.

ამ იდეებით შეიარაღებულმა ინგლისის ქალაქთა თვითმმართველობამ დაიწყო სკოლების გახსნა XVII საუკუნის მეორე ნახევარში; მართალია,

სასწავლო გეგმებში შენარჩუნებული იყო კლასიკური ენების შესწავლა, მაგრამ უპირატესობა რეალური დისციპლინების სწავლებას და ახალ ენებს ენიჭებოდა.

აღზრდის ახალი მიმართულება ცდილობდა, წინ აღდგომოდა რადიკალურად განსხვავებული ბერძნული ფილოსოფიის მსჯელობას. დიდი ყურადღება ექცეოდა ბერძნულ და რომაულ ლიტერატურას. აღზრდამ გადაჭრით უარყო რელიგიური ავტორიტეტების აღიარება და უარი თქვა სქოლასტიკურ ტრადიციებზე. ამ დროისათვის ინგლისის განათლება თავისუფლდებოდა დოგმებისა და ფორმალიზმისაგან. იგრძნობოდა თავისუფლებისაკენ სწრაფვა.

ინგლისის საუკეთესო დაწესებულებებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ შემოქმედებით გონებრივ მუშაობას; როგორც აღნიშნავდა მონრო – „აზრმა გზა დაუთმო თავის გამაერთიანებელ კორპორაციულ ხასიათს. აღზრდამ მიზნად დაისახა ჩამოეყალიბებინა ინდივიდები, რომლებშიც გამოკვეთილი იქნებოდა ყველაზე მთავარი – „მე“.

სრულიად გამოირიცხა ადრე გამეფებული ასკეტური იდეები. მათი ადგილი დაიკავა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პროცესმა.

ეს იყო სვლა ძველიდან ახლისაკენ. ამან გამოხატულება პოვა ლიტერატურის შესწავლაში, გრამატიკისა და რიტორიკის დაუფლებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გამოთქმას „მანერა“ არა მხოლოდ ენასთან დაკავშირებით, არმედ აზრის სხვადასხვა ფორმის, ქცევის მიმართ და სხვა.

აღზრდა მიისწრაფოდა შეექმნა ახალი, თავისუფალი ადამიანი ინდივიდუალურ შესაძლებლობათა განვითარების პირობებში: ყოველივე ეს მოითხოვდა აღსაზრდელთა ჩაბმას ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც დაეყრდნობოდა ფართო ცოდნას, თანამედროვე ყოფას და მომავლის რეალურ შეფასებას.

თითოეული ადამიანის მიზანდასახულება უნდა ყოფილიყო სწრაფვა მორალური სრულყოფილებისა და ცოდნისაკენ, რათა ჩამდგარიყო სახელმწიფოსა და ქვეყნის სამსახურში. ამ პერიოდში ყველა პედაგოგიური ტრაქტატი იწერებოდა ისე, რომ აღზრდის ობიექტად მოიაზრებოდა მხოლოდ თავადაზნაურთა იდეები. ამიტომაც შეიმჩნეოდა, რომ აქცენტი გადატანილი იყო

ისეთი პიროვნების ინდივიდუალურ აღზრდაზე, რომელიც საბოლოოდ მმართველის ხარისხში მოგვევლინებოდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სასკოლო პროგრამა, რომელიც შეადგინა ჯონ მილტონმა. ეს არის „ტრაქტატი აღზრდის შესახებ“. საქმე ეხებოდა ვაჟების აღზრდასა და სწავლებას 12-დან 20 წლამდე.

სწავლების პირველ წელს ყმაწვილს უნდა შეეთვისებინა ლათინური ენის გრამატიკა არითმეტიკასთან ერთად, გეომეტრია და „მორალური მართვა“. შემდეგ იგი უნდა გადასულიყო კულტურის პრობლემების შესწავლაზე კოტონისა და ვარონის მიხედვით, ფიზიოლოგია უნდა აეთვისებინა არისტოტელესა და თეოფრასტეს მიხედვით; არქიტექტურა – ვიტრუვიუსის მიხედვით; ნატურფილოსოფია – სენეკასა და პლინიუსის მიხედვით; გეოგრაფია – მელესა და სოლინიუსის მიხედვით; მედიცინა – ტელსის მიხედვით;

ამ ჩამონათვალში მითითებული იყვნენ: ორფეოსი, ჰესიოდე, დიონისე, ლუკრეციუსი, ვირგილიუსი, და სხვა. აგრეთვე ხდებოდა ეთიკის, ეკონომიკის რელიგიის, ისტორიის, ლოგიკის, რიტორიკის საკითხების ირგვლივ თხზულებათა დაწერა. მონრო აღნიშნავს, რომ ეს იყო სკოლის კოლოსალური პროგრამა, რომელიც მიღებული იყო მილტონის ავტორიტეტის ზეგავლენით.

არსებობდა სხვა შესედულებებიც. ზოგნი თვლიან, რომ მასწავლებლის მიერ გადაცემული და მოსწავლეთა მიერ შეთვისებული ერთი ან ორი საგანი წარმოადგენდა უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე 5-6 და მეტი საგნის სწავლება, რომელიც მოითხოვს დროის და ენერჯიის დიდი რაოდენობით ხარჯვას. ასეთ საგნებად მიჩნეული იყო მეცნიერების ის დარგები, რომელიც ადამიანს გამოადგება ცხოვრების სფეროში.

ერთი რამ აერთიანებდა ყველა ახალ გამოთქმულ აზრს – ეს იყო ძირითადი დებულება, რომელშიც ცალსახად იყო მითითებული, რომ ინტელექტუალურმა აქტივობამ ხელი უნდა შეუწყოს უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებას და ნიჭიერების განვითარებას.

ეს იყო დიდად წინგადადგმული ნაბიჯი იმ მიზანთა სრულყოფისაკენ, რომლებიც გამოხატავს საგანმანათლებლო პოლიტიკის შინაარსს და ამოცანებს.

XVII საუკუნეში ინგლისის პედაგოგიური აზრი შორს იყო იდეალიზმისა და მკაცრი ასკეტიზმისაგან. პედაგოგები თვლიდნენ, რომ განათლება უნდა იყოს მოსამზადებელი პერიოდი პრაქტიკული სასარგებლო საქმიანობისთვის.

ამგვარად, XVII საუკუნის ინგლისი წარმოადგენდა ბურჟუაზიული რევოლუციის მომწიფების და აღორძინების პერიოდს, როცა პარლამენტმა გაიმარჯვა მეფეზე, შექმნა ყველა პირობა აქტიური პირველდაწყებითი კაპიტალის დაგროვებისთვის. ახალი ფეოდალური თავადაზნაურობის შექმნას თან ახლდა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა განათლების სფეროზე და ბიძგი მისცა მის წინსვლას.

სწორედ ამ პროგრესული პედაგოგიკური იდეების მატარებელი იყო თავადაზნაურთა და ბურჟუაზიის ინტერესთა კომპრომისული გამომხატველი და პროგრესული საგანმანათლებლო პოლიტიკის გამტარებელი ჯონ ლოკი.

§2. ჯონ ლოკის ბიოგრაფიული შტრიხები

ჯონ ლოკი დაიბადა ინგლისში, რინგსტონში, სომერსეტშირის საგრაფოში 1632 წლის 29 აგვისტოს. მამამისი იყო საშუალო მიწათმფლობელი, ადვოკატი. ის რევოლუციის დროს მიემხრო პარლამენტს და მუშაობდა არმიაში. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ვაჟიშვილის აღზრდას, რომელიც დაახლოებით აღზრდის იმ სისტემას მიესადაგებოდა, რომელსაც ლოკი გეთავაზობს თავის ნაშრომში „ფიქრები აღზრდაზე“. ჯონი პატარაობიდანვე მშობლების მორჩილი შვილი იყო. მას მამასთან მუდამ მეგობრული და თავაზიანი ურთიერთობა ჰქონდა, რაც ასაკის მატებასთან ერთად თანდათან ღრმავდებოდა და სიცოცხლის ბოლომდე არ შეცვლილა.

ჯონ ლოკის დროს სკოლაში უმთავრესად ასწავლიდნენ ძველ ენებს – ლათინურსა და ბერძნულს და იმასაც უმეტესად ფორმალურად, ზეპირობით. იგი შემდგომში ხშირად აკრიტიკებდა ინგლისის სკოლებში გაბატონებულ ფორმალურ განათლებას.

12 წლის ყმაწვილი შეიყვანეს ლონდონის ვესტმინსტერის სკოლაში. აქ ასწავლიდნენ ლათინურ და ბერძნულ ენებს. სკოლაში გამეფებული იყო უმკაცრესი რეჟიმი, დიდი გასაგალი ჰქონდა როზგს, ხოლო სწავლის პროცესი

სქოლასტიკურად მიმდინარეობდა. ენების შესწავლა წარმოედგინათ „გონების ვარჯიშად“ და არა ანტიკური სამყაროს ლიტერატურის, სულიერი ცხოვრების შესწავლის საშუალებად.

1652 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა ოქსფორდის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც ისწავლებოდა რიტორიკა, ლოგიკა, მორალი, უძველესი ენები, ამავე დროს, არაბულისა და ებრაულის გარდა, ისწავლებოდა აგრეთვე მათემატიკური მეცნიერების ნაწილები. ოქსფორდის უნივერსიტეტი ლოკმა ბაკალავრის წოდებით დაამთავრა 1656 წელს. ორი წლის შემდეგ მიიღო მაგისტრის დიპლომი და სტიპენდიანტის ადგილი. როგორც ვესტმინსტერის სკოლამ, ასევე ოქსფორდის უნივერსიტეტმა აღსაზრდელში დაბადა სიძულვილისა და უკმაყოფილების გრძნობა. იგი თვლიდა, რომ ზემონახსენები სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. უნივერსიტეტის ჰუმანიზმი გამოიხატებოდა მხოლოდ და მხოლოდ კლასიკოსების სიყვარულით, ოღონდ არ ხდებოდა მათი ნააზრვეის შემოქმედებითი ათვისება, გონებით გადამუშავება და ანალიზი.

იმ დროისთვის ახალი მეცნიერული გამოკვლევები, რომელთა ავტორები იყვნენ უდიდესი მეცნიერები და მოაზროვნეები – კოპერნიკი, გალილეი, ბეკონი, დეკარტე, უნივერსიტეტში არ ისწავლებოდა და მათი აღმოჩენებით მხოლოდ კერძო პირნი სარგებლობდნენ. ამავე დროს, მათი მეცნიერული მიღწევები სრულიადაც არ აისახებოდა სასკოლო პროგრამებში. ნაკლებად ხდებოდა კრიტიკული შემოწმება ცდების საშუალებით; ითვლებოდა, რომ საერთო იდეები ადამიანში იმთავითვე იყო ჩადებული. ამდენად, სწორი მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად საკმარისად თვლიდნენ შინაარსის გადმოცემას ანალიტიკური შემოწმების გარეშე. ასე ხდებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. აღნიშნულ ხანას შეიძლება უძრაობის პერიოდი ვუწოდოთ. სწორედ ამ დროს ჯ. ლოკმა თავისი შემეცნების თეორიით შეარყია განათლების მოდურებული სისტემა და მას უდიდესი დარტყმა მიაყენა. ეტყობოდა, რომ გონებრივი უმწეობისა და შეზღუდულობის ეპოქას ბოლო უნდა მოეხდინებოდა.

ლოკმა დამოუკიდებლად შეისწავლა დეკარტე, რომელმაც მას გარკვეული ინტერესი გაუღვიძა და ბიძგი მისცა მის ახლებურ აზროვნებას. მან დაიწყო ახლის ძიება ფილოსოფიაში; იგი დაინტერესდა ზუსტი მეცნიერებით და,

განსაკუთრებით, მედიცინით; ამ მიმართულებით ოქსფორდის უნივერსიტეტმა უფრო ცოტა რამ მისცა, ვიდრე ფილოსოფიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში. ჯონ ლოკი აგრძელებდა მუშაობას დამოუკიდებლად, მეტად დაინტერესებული იყო ინგლისის სამეფო საზოგადოების შრომებით. საზოგადოება დაფუძნდა 1662 წელს და ახდენდა მეცნიერების წახალისებას. საზოგადოებაში მოღვაწეობდნენ რობერტ ბოილი და ნიუტონი, რომლებიც მუშაობდნენ ატომური თეორიის სფეროში („კორპუსკულარული თეორია“). მოგვიანებით ჯ. ლოკმა დაწერა სამედიცინო ტრაქტატი და მისთვის ოქსფორდში მედიცინის ბაკალავრის წოდება მიიღო. მედიცინაში თავის მოღვაწეობას ის არ თვლიდა დიდ საქმედ, თუმცა ექიმთა სამედიცინო ხელოვნების რეფორმატორი საინჯგემი თვლიდა, რომ ჯონ ლოკი სამედიცინო სფეროში ტოლს არ უდებდა იმდროინდელ ექიმებს.

ლოკის სწავლის ხანა დაემთხვა ინგლისის ისტორიის ქარიშხლიან პერიოდს. კარლოს I-მა მიიყვანა ინგლისი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პროცესამდე, მეფის სიკვდილით დასჯამდე რესპუბლიკის გამოცხადებამდე და კრომველის მმართველობამდე.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეესაბამებოდა ინგლისის პოლიტიკურ ცნობიერებას და ნაციის ტრადიციებს. ამიტომ კრომველის სიკვდილის შემდეგ, 1660 წელს, პარლამენტმა მოიწვია სამეფო დინასტია კარლოს II-ის სახით, რათა იგი დაბრუნებელიყო ტახტზე. ეს გადაწყვეტილება გონივრული ვერ გამოდგა, რადგან ძველი დინასტია ვერ გათავისუფლდა აბსოლუტიზმისაგან, ვერ შეურიგდა სახალხო წარმომადგენლობათა უმრავლესობას, საპარლამენტო წყობას და ბოლოს, 1689 წელს, უსისხლო რევოლუციამ გადააყენა; კვლავ მოიწვიეს სხვა სამეფო დინასტია, რომელიც პარლამენტურ რეჟიმს დაემორჩილებოდა.

ჯონ ლოკი აბსოლუტიზმის წინააღმდეგი და წარმომადგენლობითი მმართველობის მომხრე გახლდათ, თავისი იდეები მან ჩამოაყალიბა პოლიტიკურ ტრაქტატში. პრაქტიკული პოლიტიკური მოღვაწეობის მისწრაფება კი მას არასოდეს ჰქონია, რადგან, უწინარეს ყოვლისა, დატვირთული იყო იმ მომწიფებული თეორიული საკითხების დამუშავებით, რომლებიც აღელვებდა მაშინდელ ევროპას, გარდა ამისა, როგორც ადამიანი, იგი ხშირად

ავადმყოფობდა. ამიტომაც ეძებდა მშვიდ და წყნარ ცხოვრებას; ამავე დროს, ვრიდებოდა დედაქალაქის მისთვის უამურ კლიმატსაც.

1660 წელს მან დაწერა ტრაქტატი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამ ტრაქტატში გათვალისწინებულია არსებული რეალობა. საქმე ის არის, რომ რევოლუციური პერიოდის გამოცდილებამ სამეფო დინასტია მიიყვანა შემწყნარებლობამდე; მაგრამ ის მალე მიხვდა, რომ რეაქციული მთავრობისთვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა ტრაქტატში განვითარებული პროგრესული თვალსაზრისები. მართლაცდა, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და საკმაოდ დიდი პერიოდი – ხანა სტიუარტების აღდგენამდე, 1660-89 წლებამდე, მან გამოიყენა თვითგანათლებისთვის, სკოლისგარე სწავლებისა და ფილოსოფიური, რელიგიური და პედაგოგიური შრომების მომზადებისათვის. მოაზროვნე სამოღვაწეო არენაზე გამოჩნდა 1689 წელს, რევოლუციის შემდგომ ხანაში.

ჯონ ლოკი სწავლობდა არა მხოლოდ წიგნებიდან, არა მხოლოდ ურთიერთობებიდან, გამოჩენილი და განათლებული ხალხის გარშემო ტრიალის მეოხებით, არამედ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გლეხებთან, ხელოსნებთან. ამ დაბალ ხალხს იგი ერთგვარი სიმპათიებით ეკიდებოდა. ამ მხრივ ცნობილია მისი შენიშვნები ფრანგი ჰუგონეტი გლეხების მიმართ – „ცდა ადამიანის გონების შესახებ“. აქ ისინი დამოუკიდებლად მოაზროვნე და რეგილიურ საკითხებში განსწავლულ ადამიანებად არიან წარმოდგენილი.

ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვების შედეგად მომწიფდა მისი მომდევნო შრომები, რომლებიც ეხება ადამიანის გონების თავისუფლების იდეას; იგი აღნიშნავდა, რომ გონება უძლურია, რადგან დათრგუნულია, თვლემს, მას ტვირთად აწევს ტრადიციები, ჩვეულებები, რომელთაც არ განსჯის პიროვნება. იგი შევიწროებულია აგრეთვე რწმენით, გარეგანი ავტორიტეტით. ამიტომ არის, რომ კაცობრიობა ვერ აღწევს იმის მეათასედს, რისი მიღწევაც ძალუძს, თუ გათავისუფლდება ავტორიტეტის ზეწოლისაგან. პიროვნება გონების თავისუფალ, კრიტიკულ მოქმედებათა შედეგად გარეგანი და შინაგანი გამოცდილებით შეძლებს გარდაქმნას ცხოვრება ყველა მიმართულებით, – აღნიშნავდა ჯონ ლოკი. 1664 წელს მან ბრანდესბურგის საელჩოში – ვალტერ

ვენთან მდივნის ადგილი მიიღო, მან მიიღო წინდადება, დაეკავებინა მომდევნო დიპლომატიური თანამდებობა, მაგრამ შემოთავაზებულზე უარი განაცხადა და არჩია მიეღო მიწვევა კუპერის სახლში – 1666 წელს; ხოლო მოგვიანებით გადავიდა სამუშაოდ გრაფ შეფსტბერთან. ეს უკანასკნელი იყო ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი, განთქმული თავისი სახელმწიფო მოღვაწეობით, პოლიტიკური ხელოვნებითა და განსწავლულობით. იმ დროისთვის ის გახლდათ გაიძვერა ხელოვანის სინონიმი, რადგან მაშინდელ ადამიანებს უჭირდათ, პოლიტიკურ მოღვაწეში პატიოსანი, წმინდა პიროვნება დაენახათ. მან სამშობლოს სერიოზული სამსახური გაუწია. ის მუშაობდა ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობაზე.

შეფსტბერი, დაინტერესებული სულიერი კულტურის მიღწევებით, იყო თავისი დროის განათლებული პიროვნება; რომელმაც ჯეროვნად შეაფასა ჯონ ლოკის ნიჭი, გონიერება და შესთავაზა მას სასარგებლო სამედიცინო რჩევა; და ამასთანავე, სთხოვა ჯ. ლოკს – ეცხოვრა მასთან, მის სახლში, როგორც მეგობარს და მისი შვილიშვილის აღმზრდელს. სხვათა შორის, შეფსტბერის შვილიშვილი მოგვიანებით ცნობილი მწერალი გახდა. ჯონ ლოკი დასთანხმდა მას. ლოკის ეს ნაბიჯი გამოდგა მართებული. შეფსტბერის სახლში მან სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა.

1668 წელს ლოკმა შეფსტბერთან ერთად იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში; 1672 წელს მისი მფარველი ლორდ-კანცლერი და ფინანსთა მინისტრია. ეს თანამდებობა შეფსტბერმა დაკარგა მომდევნო წელს, როცა ხელისუფლებასთან უთანხმოება მოუხდა.

1675 წელს ჯონ ლოკი ავადმყოფობამ აიძულა, საფრანგეთში გამგზავრებულიყო, სადაც 4 წელი გაატარა. აქ იგი იღრმავებდა ცოდნას. ფრანგი მწერლებიდან მისთვის ავტორიტეტი გამოდგა აბატი ნიკოლი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მის რელიგიურ შეხედულებებზე, აგრეთვე მონტენი, რომლისგანაც იგი ძალიან იყო დავალებული, განსაკუთრებით კი აღზრდის სფეროში, თუმცა ამ ავტორის სკეპტიციზმს ლოკი არ იზიარებდა, რამდენადაც სკეპტიციზმი მის სულიერ სამყაროს არ მიესადაგებოდა.

მოაზროვნე ამ ხანებში დაკავებული იყო ძირითადად შრომით – „ცდა ადამიანის გონების შესახებ“. ნაშრომის დაწერა მას აზრად მოუვიდა ჯერ

კიდევ საფრანგეთში ყოფნისას. 1679 წელს ავტორმა გააკეთა პირველი ჩანაწერები. ამის შესახებ იგი თავად ამცნობს მკითხველს. როგორც თვითონ აღნიშნავს, თანამოაზრეთა წრეში სჯა-ბაასის შემდეგ წამოეჭრა აზრი, თუ „რომელი საგნები სწვდება ჩვენს გონებას და რომელი არა“ და სწორედ ამის შესახებ იგი იწყებს ფიქრს შემეცნების პრობლემის ირგვლივ და ცდილობს გამოკვეთოს შემეცნების მთელი პროცესი. დაადგინოს, თუ რა გზებით ხდება ადამიანის მსჯელობა საგნების, სამყაროსა და საკუთარი – თავის შესახებ; როგორია ეს პროცესი, საიდან ჩნდება მასალა წარმოდგენებისა და ცნებებისა, რათა ამის საფუძველზე შეფასდეს მათი ხარისხი და მნიშვნელობა. მის ფილოსოფიურ მსოფლგაგებას საფუძველად დაუდო გნოსეოლოგია, თეორია შემეცნების შესახებ, რაზედაც 17 წელი მუშაობდა. მისი ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაპოვარს მეცნიერებაში. ავტორი კი მიჩნეულია თანამედროვე გნოსეოლოგიის დამფუძნებლად. ამ გნოსეოლოგიის ბურჯებია შემეცნების თეორია და ფილოსოფია.

დაბრუნდა რა ინგლისში, მოაზროვნემ დაიკავა ოფიციალური თანამდებობა (შეფტსბერი ამ დროს იყო პრემიერ-მინისტრი), მაგრამ მომდევნო წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამსახურზე უარი განაცხადა და ლონდონიდან ოქსფორდში გადასახლდა. მალე მოუწია კვლავ დაეტოვებინა ინგლისი, მაგრამ ამჯერად იძულებით. ვიგების პარტია, რომლის მეთაურიც იყო შეფსტბერი, საბოლოოდ გაემიჯნა ხელისუფლებას. ლოკის მფარველი მემამბოხედ ჩათვალეს. მისი მომხრეების ნაწილი დასაჯეს, ნაწილი კი შეფსტბერთან პოლანდიაში გადავიდა საცხოვრებლად. 1682 წელს ლოკმა მიატოვა სამშობლო, რადგანაც მასაც შეფსტბერის თანამოაზრედ თვლიდნენ.

1683 წელს შეფსტბერი გარდაიცვალა, ხოლო ჯონ ლოკი 1689 წლამდე, ე. ი. რევოლუციამდე, ცხოვრობდა ემიგრანტად. 1685 წელს კარლ გარდაიცვალა და ინგლისში მდგომარეობა გაუარესდა. მის ნაცვლად იაკობ მოვიდა, მონარქი, რომელიც ცნობილი იყო სისასტიკით, გონებაჩლუნგობით. ის გახლდათ ავი და შურისმაძიებელი, შოვინისტი, ჯიუტი; თავს თვლიდა ძლიერ პიროვნებად, მაგრამ სინამდვილეში მშიშარა და გონება გაფანტული იყო. აწუსებდა მოჩვენებები, თითქოს ფეხთაქვეშ მიწა ერყოდა.

1689 წელს, როდესაც სახალხო პარტიამ ვილჰელმ ორანელი მოიწვია, იაკობი საფრანგეთში გაიქცა, საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულა.

ამ დროს ჯონ ლოკი ჰოლანდიაში იმყოფებოდა, ცოტა ხანს იმალებოდა, შემდეგ ამსტერდამში ცხოვრობდა, სადაც დაამთავრა თავისი შრომა „ცდა ადამიანის გონების შესახებ“, რომელიც 1688 წელს ფრანგულად დაიბეჭდა. შემდეგ წერილი გაუგზავნა თავის მეგობარს – კლერკს, რომელშიც მოცემული იყო ნაწყვეტები შრომიდან „ფიქრები აღზრდის შესახებ“. რამდენიმე წლის შემდეგ დაიწერა მისი შრომა „წერილები რწმენის შემწყნარებლობის შესახებ“. ამავე დროს, ამზადებდა და ხვეწდა პოლიტიკურ ტრაქტატს.

1689 წელს დაბრუნდა ინგლისში – ვილჰელმ ორანელის ფლოტში – და იწყება ყველაზე ნაყოფიერი შრომის პერიოდი.

1689 წელს დაიბეჭდა მისი „ტრაქტატი სახელმწიფოს შესახებ“ და წერილები „რწმენითი შემწყნარებლობის შესახებ“. 1690 წელს დაიბეჭდა შრომა „ცდა ადამიანის გონების შესახებ“, 1693 წელს – „ფიქრები აღზრდის შესახებ“, 1693 წელს კი – „ქრისტიანობის გონიერება“.

აღნიშნული შრომებიდან პედაგოგიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო „ცდა ადამიანის გონების შესახებ“. მისი გამოქვეყნებისთანავე აღინიშნა, რომ ფილოსოფიას შეუძლია დაიწყოს ახალი მატრიანის ათვლა, რომ ჯონ ლოკის მიერ დამუშავებული შემეცნების თეორია შეუცვლელია. ამ შრომამ ლოკის სახელი ფილოსოფიის ისტორიასთან დააკავშირა. მან უაღრესად დიდი ზეგავლენა მოახდინა XVII საუკუნის მეცნიერულ აზროვნებაზე და უზრუნველყო ავტორის მაღალი ადგილი ევროპის სულიერი კულტურის ისტორიაში. მისი ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური და პედაგოგიური შრომები წარმოადგენს ცენტრალურ, ძირითად რგოლს, რომელსაც ეფუძნება ევროპული მეცნიერება. ამ შრომებში, როგორც ამას იმდროინდელი და მომდევნო ხანების სამეცნიერო წრეები და საგანგებო წერილებიც აღნიშნავენ, – აღორძინების ეპოქა ილანდება.

ეს იყო იმის დასაწყისი, რომ კაცობრიობამ არ უნდა ეძებოს ახალი რწმენა, ახალი მიწიერი თუ ზეციერი ავტორიტეტები, არამედ გაათავისუფლოს გონება ყოველგვარი ავტორიტეტის ზეგავლენისაგან; თავისუფალმა პიროვნებამ კრიტიკული აზროვნებისა თუ ზემოქმედების საფუძველზე საჭიროა

გადაამუშაოს არსებული გამოცდილება, შეუფარდოს იგი ზუსტ ცნობას, ფილოსოფიურ მსოფლგაგებას, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც ეფუძნება თავისუფალი ხალხის თავისუფალ შეთანხმებას.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჯონ ლოკმა სისტემაში მოიყვანა თავისი შეხედულებები ჯენტლმენის აღზრდის შესახებ ტრაქტატით „ფიქრები აღზრდაზე“. ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მის თანამედროვეებზე, ასევე მომდევნო თაობებზე.

ლოკის ზემოქანმოთვლილი შრომები გამოქვეყნდა 1689-1695 წლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა კი მეცნიერულ აზროვნებაზე მოახდინა მისმა ორმა ნაშრომმა: „ცდა ადამიანის გონების აღზრდის შესახებ“ და „ფიქრები აღზრდის შესახებ“. მისი შრომები ინსტისში რამდენიმეჯერ გამოიცა. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია ოქსფორდში, ხოლო აღფრთოვანება – კემბრიჯში, რამდენადაც ამ ხანების კემბრიჯელთა განწყობილებანი შეესატყვისებოდა ეპოქალურ სულისკვეთებას.

ახალი ხელისუფლება ჯონ ლოკისადმი დადებითად იყო განწყობილი, მაგრამ ავადმყოფობამ იგი აიძულა, უარი ეთქვა ოფიციალურ თანამდებობაზე და მაღალჩინოსანი ფრენსის მეშემის მოწვევა მიეღო. აქ, მეშემის მყუდრო სავანეში, მწერალმა სიცოცხლის ბოლო წლები აღუშფოთებლად და წყნარად გაატარა.

ჯონ ლოკი აღესრულა 1704 წლის 28 ოქტომბერს, მეშემის მამულში, ესეკსში. აღსანიშნავია, რომ მისი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია სრულიად დამსახურებული სიტყვები – “იგი ემსახურებოდა ჭეშმარიტებას”.

ეს ბიოგრაფიული ნარკვევი კი გვინდა რაბინდრანათ თაგორის სიტყვებით დავასრულოთ: „ჭეშმარიტად კურთხეულია იგი, ვისი დიდებაც მის ჭეშმარიტებას არ აღემატება“.

§3. სწავლა-აღზრდის საკითხები XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე და ჯონ ლოკის აღზრდელობითი მიზნები და ამოცანები

XVII და XVIII საუკუნეების მიჯნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრებით ხასიათდებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას ახდენდა განათლების სისტემაზე.

ინგლისის ისტორიული ეპოქის ამ ეტაპზე გაბატონებული იყო სწავლა – აღზრდის ძველი სისტემა, დასჯისა და დაშინების სისტემა, რომელიც გაუღენთილი იყო შიშითა და მონური მორჩილებით. საზოგადოების ფენებში გაფეტიშებული იყო მშობელთა ძალაუფლება, რომელიც აღზრდაზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტად ითვლებოდა. პიროვნების სულიერ სამყაროში არსებული თანდაყოლილი ბოროტების აღმოსაფხვრელად გამოყენებული იყო მკაცრი მეთოდები, უფრო მეტად კი – როზგი, უსიტყვო მორჩილება. ეს აღნიშნული ვითარება იმ დროისათვის მეტად კანონზომიერი იყო, რადგან არ არსებობდა პროგრესის იდეა, იგნორირებული იყო პიროვნების შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ დროისათვის სახელმწიფო რელიგია, ეკლესია და თვით მეცნიერებაც კი ითვლებოდა სრულიად ხელშეუხებლად. მოძველებული ტრადიციები კი მძიმე ტვირთად აწვა საზოგადოებას. ამ პირობებში ძალადობა ყველაზე ძლიერი და რეალური იარაღი გამოდიოდა პიროვნების დასათრგუნავად. ლოგიკური იყო ისიც, რომ აღზრდაში მშობელთა და უფროსების ძალაუფლებას მაშინდელი ტრადიციებიც უჭერდა მხარს. ამგვარ აღზრდელობით ატმოსფეროში აღზრდილ-გაწვრთნილნი იყვნენ მაშინდელი პედაგოგები და ისინიც თავს არ ზოგავდნენ, რათა დამთრგუნველი, ტირანული მეთოდები გერგილიანად მოემარჯვებინათ და ყაზარმული გარემოცვა შეექმნათ სკოლებში.

სწავლების კურსი მთლიანად ორიენტირებული იყო მკვდარ ენებზე. მაგრამ უკვე იგრძნობოდა ახალი დროის ქროლვა: სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და ცალკეულ სამეცნიერო დარგში აღმოჩენებმა თავისებური ზემოქმედება მოახდინეს აღზრდის პროცესზე, სასწავლო-სააღზრდელო მუშაობაზე.

სწორედ იმ დროს, როცა სკოლებში ლათინური და ებრაული ენების შესწავლა აუცილებელი იყო, აქა-იქ ისმოდა ამის საწინააღმდეგო ხმაც: “არ

არის საჭირო ვიფიქროთ, – აღნიშნავს ე. დანიელია, – თითქოს სიბრძნე მოსწავლეებთან მხოლოდ ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ ენებზე ლაპარაკობდეს" [31, 60].

გარდა ამისა, აღზრდის მიზანიც გამოირჩეოდა ბუნდოვანებით, სწავლების მეთოდები და ხერხები იყო პრიმიტიული, მეცნიერულად დაუსაბუთებელი.

მეცნიერების შეთვისება ემყარებოდა მხოლოდ მიღწევათა ზერელე ცოდნას. ეკლესიებში გაბატონებული იყო ლათინური, თეოლოგია, ფილოსოფია; პოლიტიკური ნაშრომები იწერებოდა ლათინურად, ბერძნული ენა იყო „პაპის სისტემის“ შესწავლის გასაღები.

ლოკის თანამედროვეთა შეხედულებებით (მონტენი, მილტონი), ენების შესასწავლად საკმარისია 1 წელი, ხოლო სკოლებში მათ შეისწავლიდნენ 7-8 წლის მანძილზე. გერმანელი შტერნი და ინგლისელი ეშემი თვლიდნენ, რომ, რასაკვირველია, სასარგებლო და აუცილებელია ენების შესწავლა, მაგრამ, ამავე დროს, ისინი გრძნობდნენ ყოველივე ამის უკმარისობას, ხედავდნენ ადამიანის სულს, მის ნიჭიერებას, რომელიც ხელშეუხებელი რჩებოდა, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი, ცხოვრებისეული კი, რომელმაც უნდა დაანახოს მოსწავლეებს აღზრდის ჭეშმარიტი მიზანი, არის არა მხოლოდ ის, რომ შეისწავლონ კლასიკური ენები, არამედ შეიძინონ ძველი ლიტერატურის ღირსეული ცოდნა, გაიფართოვონ შეხედულებები შორეულ წარსულზე, გაიძლიერონ ინტელექტი.

ბავშვებს არ ეხერხებოდათ ლექსიკონით სარგებლობა. ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი შეხედულებანი ასაკობრივ შესაძლებლობებზე, არ არსებობდა აღზრდის მეცნიერება, რომელიც გაითვალისწინებდა, რომ ბავშვის სული და სხეული ერთიანია და სხეულის ყოველგვარი ცვლილება სულზეც აირეკლება. ეს იყო აღზრდის მეთოდთა უძრაობის პერიოდი. ნაკლებად ითვალისწინებდნენ, რომ მოზარდის სხეულისა და სულის ერთიანობას უნდა მისადაგებოდა აღზრდის საგანგებო მეთოდები. ეს, ფაქტობრივად, გულისხმობს ბუნებრივ მდგომარეობასა და კანონებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

როგორც ჯონ ლოკის შრომების შენიშვნების ავტორი ე. დანიელია გადმოგვცემს შრომაში „პერსონალი ანგლისკის შკოლ“, ინგლისელი მასწავლებლები მომადლებულნი არიან ცოდნით, ნიჭით, გონიერებითა და

ჭკუით, მაგრამ მარტოოდენ ინტელექტი ვერ სრულყოფს ადამიანს, ვერ მოამზადებს მას პრაქტიკული ცხოვრებისთვის.

ამიტომაც იყო, რომ აღზრდა-განათლების სფეროში ვითარება დიდხანს არ იცვლებოდა. მდგომარეობა უნდა გამოსწორებულიყო. მძიმე ვითარების დამადასტურებელი კონკრეტული მასალები წარმოდგენილია ინგლისის უმაღლეს კომისართა 1864 წლის მოხსენებაში, სადაც ნათქვამია: უნივერსიტეტებში ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა მომზადების დონე მეტად დაბალია, რასაც მოწმობს მთელი რიგი კონკრეტული სტატისტიკური მონაცემები. ამასვე ადასტურებს ლონდონის უნივერსიტეტის მსაჯული – დოქტორი სმიტი [70, 29]. მსაჯული სათანადო კონკრეტულ შემთხვევებზეც მიუთითებს. იმავე აზრისაა ლორდი სტენლი.

ისტორიული ეპოქის აღნიშნულ ეტაპზე მოღვაწეობას იწყებს უბრწყინვალესი პიროვნება, ფილოსოფოსი, პედაგოგიკის მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ჯონ ლოკი. მას ჰქონდა ექიმისა და ფსიქოლოგის განათლება, ჯანსაღი გონება, იყო ნიჭიერი, ფაქიზი სულის პიროვნება. ბევრი რამ, რაც პედაგოგის რთულ საქმიანობაში საჭიროა, მან შეიძინა რჩეულ, ღირსეულ ადამიანებთან ურთიერთობისას. როცა პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო და კერძო აღმზრდელი გახლდათ გრაფ შეფსტბერის ოჯახში, გამოცდილება აკლდა, ოღონდ თავისი პრაქტიკული მუშაობით ეს ხარვეზი მალე შეივსო.

მისი ნაშრომი „ფიქრები აღზრდის შესახებ“ აღმოცენდა კერძო წერილების ნიადაგზე. აღნიშნულ ბარათებს იგი უგზავნიდა თავის მეგობარ ედუარდ კლერკს ჩიპლინიდან. მოგვიანებით მეგობრებისა და ახლობლების დაუინებელი თხოვნით ავტორმა ისინი გადაამუშავა დასაბუჟდად. სწორედ ამ ნაშრომშია გადმოცემული მისი მოსაზრებანი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის თაობაზე. მოაზროვნე ყურადღებას ამახვილებს აღზრდით გამოწვეული განსხვავებული გონიერებისა და ხასიათის ადამიანთა არსებობაზე და, ამავე დროს, აღიარებს მემკვიდრეობითობის არსებობას, მაგრამ, მისი აზრით, ფსიქიკური მონაცემები, რითაც ადამიანი იბადება, ისევე არაერთგვაროვანია, როგორც მისი ანატომიური აგებულება (უჯრედები, კანი). ორგანიზმის განვითარებისას ხდება ბრძოლა და ესა თუ ის ორგანოები მეტნაკლებად

ვითარდებიან. ასეთივე ბრძოლა მიმდინარეობს ფსიქიკურ სფეროში, ხოლო აღზრდა მოზარდის განვითარების სასურველ პირობებს ქმნის. ეს დებულებები შეესატყვისება მათეს სახარების მე-13 თავში მოცემულ დარიგებებს, სადაც საუბარია მთესველზე [13, 27 – 30].

უტილიტარისტულია ლოკის შეხედულებები აღზრდის ამოცანაზე. ისინი გულისხმობს მაღალზნეობრივ მიზნებს. მასწავლებლის უმაღლესი ამოცანაა, დაეხმაროს შევირდს, რათა მან საკუთარ თავში განავითაროს თვითზრუნვის ელემენტები. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანში არსებულ ძალას, რომელიც გონების საშუალებით უარყოფს უსარგებლო, ფუჭ, მავნე სურვილებს. უამისოდ, ჯონ ლოკის აზრით, ადამიანი ვერ იქცევა ჭეშმარიტად სათნო და ზნეობრივ პიროვნებად. ლოკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მორალურ აღზრდას; აღმზრდელის უდიდეს მიზნად იგი ასახელებდა ზრუნვას აღსაზრდელის სულის გასაგარჯიშებლად, რათა ჩამოყალიბებულიყო ღირსეული და გონიერი პიროვნება.

მოაზროვნე მოითხოვს იდეალური „ჯენტლმენის“ აღზრდას, რომელსაც უნდა ჰქონდეს საქმიანი ადამიანის გონება და ცნობიერება. მისი მოქმედება, ქცევა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში მის მდგომარეობას.

აღმზრდელის ვალია, აღნიშნავს ჯონ ლოკი, – აღსაზრდელს გამოუმუშაოს ქცევა და ჩამოუყალიბოს სული, ჩაუნერგოს სათანადო ჩვევები, ზნეობა, სიბრძნე, ასწავლოს ადამიანთა შეცნობა, აღავსოს სიყვარულის გრძნობით.

საინტერესოა ჯონ ლოკის მსჯელობა, რომ „ჯენტლმენის“ აღსაზრდელად საჭიროა არა მხოლოდ ვიწრო განათლება, არამედ ცოდნის მიღება სხვადასხვა დარგში – მეტაფიზიკაში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში, ისტორიაში, ქრონოლოგიაში... ყოველივე ამას, რასაკვირველია, ცოდნის სამყაროს გასაღებად თვლის, მაგრამ, თუ აღსაზრდელს არ ახასიათებს კეთილზნეობა, სათნოება, ეს აკნინებს მის ადამიანურ ღირსებას.

უმაღლესი მიზანი, – აღნიშნავს ლოკი, – რომელსაც ისახავს მასწავლებელი, არის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ ჩვევების ჩამოყალიბება. იმავე აზრს იზიარებდა ისეთი ცნობილი პიროვნება, როგორც იყო, მაგალითად, ლორდი ბეკონი. ამ მხრივ საგულისხმოა მისი ნაშრომი – „ჩვევებისა და აღზრდის შესახებ“. მითითებულ ნაშრომში ნათქვამია, რომ ჩვევა

ადამიანის ცხოვრების მთავარი წარმართველი ძალაა; მისი ფორმირება, სასურველია, დაიწყოს ახალგაზრდობის წლებში, რამდენადაც აღზრდა ჩვევათა სისტემის ჩამოყალიბების უწყვეტი პროცესია. აღნიშნული შეხედულება მთლიანად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი ახლა, როცა საქართველოში არსებობს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები ყველა დარგში (გეოგრაფიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ფიზიკაში, ისტორიაში, უცხოურ ენებში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში).

ვფიქრობთ, ჩვენი ძირითადი მიზნები და ამოცანები ამ მიმართებით გარკვევით უნდა გამოიკვეთოს.

საერთოდ კი ჯონ ლოკი განმარტავდა: აღზრდის უდიდესი ამოცანა ისაა, რომ შესწავლილ იქნეს მისი მიზანი და გონივრული მეთოდების საშუალებით მივაღწიოთ მის შესრულებას.

ამის თაობაზე ჩვენ ვიმსჯელებთ ცალკე პარაგრაფში, როდესაც ჯონ ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობის ცალკეულ ელემენტებსა და დებულებებს შევაჯერებთ თანამედროვე სკოლების აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტულ მაგალითებსა და პრაქტიკულ საქმიანობასთან.

საინტერესოა ჯონ ლოკის ტრაქტატი აღსაზრდელში ჩვევათა ჩამოყალიბების შესახებ. მას განხილული აქვს სხეულის, გონებრივი მოქმედების სფეროს უნარ-ჩვევები, სოციალური, მორალური ჩვევები და სხვ.

ჯონ ლოკი გონების ძალას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ, ამავე დროს, გადამწყვეტ როლს მიაკუთვნებს ჩვევების ფორმირებას. ფაქტობრივად მთელი ზემოთ მოცემული რჩევები გულისხმობს და მოითხოვს საჭირო თვისებების ფორმირებას, რომლებიც აუცილებელი და სავალდებულოა ჯენტლმენისათვის, რათა მან წარმატებით შეასრულოს თავისი მისია, მოვალეობა. ეგ მოვალეობა კი გამოიხატება პრაქტიკული საქმიანობით. აღზრდა მოიცავს ფართო სფეროს და მისი მიზნები და ამოცანები იცვლება იმისდა მიხედვით, თუ საზოგადოების რომელ ფენას განეკუთვნებიან ბავშვები, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ჯონ ლოკის მოძღვრებაში. იგი თვლის, რომ ლათინური ენის ცოდნაც საჭიროა ჯენტლმენისთვის, მაგრამ წინა პლანზე დიფერენცირებულ სწავლებას აყენებს. მისი აზრით, ბავშვმა უნდა ისწავლოს ის, რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგება.

ლოკი თვლის, რომ ამ მხრივ ინგლისის სკოლებში მდგომარეობა ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია. პრაქტიკულად შვილები ყველას გრამატიკულ სკოლებში შეჰყავს. ინგლისელი მშობლები თვლიან, – აღნიშნავს ლოკი, – რომ მათი შვილები დაიხაგრებიან, თუ არ შეისწავლიან ძველ კლასიკურ ენებს.

აღსანიშნავია, რომ ჯონ ლოკი გაუმართლებლად მიიჩნევს გარკვეულ ასაკობრივ დონეზე ადრე ასწავლონ ბავშვებს წერა. იგი უარყოფითი აზრისაა ლათინურ ენაზე თხზულებათა დაწერის შესახებ, უფრო მეტიც, აღნიშნავს, რომ დანაშაულია, მშობლების დავალებით ბავშვებმა წერონ ლექსები ლათინურ ენაზე, თუ მათ პოეტური მონაცემები არ გააჩნიათ.

მიუხედავად ლოკის შეხედულებისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხშირად ხდება, როცა სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანები შესანიშნავ ლექსებს წერენ და დიდ წარმატებას აღწევენ ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, იქნება ეს ფერწერა, მუსიკა, ქანდაკება თუ სხვა რამ. ასე რომ, სავსებით და ბოლომდე ვერ გავიზიარებთ აზრს, რომ თითქოსდა შეუძლებელი იყოს ერთი დარგის მოღვაწემ ძალები სცადოს სხვა დარგშიც.

ჯონ ლოკის აზრით, ჯენტლმენისთვის აუცილებელია კლასიკური ენების ღრმა ცოდნა. ამავე დროს, იგი თვლის, რომ მოსაწესრიგებელია მშობლიური ინგლისური ენის სწავლების საქმე, მით უმეტეს, როცა კლასიკურ ენებს ასეთი პრივილეგიები აქვთ. მოაზროვნე სწავლების თავისუფალ სისტემაში სათანადო ადგილს მიუჩენს არითმეტიკას, ბუღალტერიას, ასტრონომიას, გეოგრაფიას, ისტორიას, გეომეტრიას, ანატომიას, ინგლისის მოქალაქეთა უფლებებს და კანონებს. ქრონოლოგია კი, მისი აზრით, საჭიროა შეისწავლებოდეს გეოგრაფიასთან მიმართებით. ჯენტლმენი და საქმიანი ადამიანი უამისოდ ვერ გახდება სასარგებლო პიროვნება და ვერ აღასრულებს თავის მისიას ცოდნის შექმნის საძნელო გზაზე.

ზნეობრიობა, – აღნიშნავს ლოკი, – უმეტესწილად უნდა ისწავლებოდეს ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით, ვიდრე მშრალი წესების მომარჯვებით; ამ თვალსაზრისით, იგი იშველიებს ბიბლიას, რომელსაც სისტემატურად უნდა კითხულობდეს მოსწავლე: დასახელებული აქვს ავტორები, მათ შორის ციცერონი, ჰუფენდორფი და სხვანი, რომლებიც მუშაობდნენ სამოქალაქო სამართლისა და ისტორიის საკითხებზე.

ვფიქრობთ, სამართალში ლოკი გულისხმობდა ქვეყნის კონსტიტუციასაც და მის ისტორიასაც. იგი არცთუ ისე დიდი მომხრეა ლოგიკისა და რიტორიკის შესწავლისა. ამისათვის საკმარისად თვლიდა საინტერესო ავტორთა ნაწარმოებების ხმამაღლა, გამოთქმით კითხვას და ნიმუშად ასახელებდა ჩილინგეორტს, ტულიემს.

ამ თვალსაზრისით ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდის მიერ თავისი იდეის ნათლად გამოთქმას, გამჭრიახობას, მიხვედრილობას; მოითხოვდა, რომ ახალგაზრდა დაუფლებოდა დახვეწილად წერასა და მეტყველებას. მისი ფიქრით, ლოგიკა და რიტორიკა გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქმეში. მართალია, ეს დარგები სახელოვნებო დარგებად მიაჩნდა, ოღონდ შესაძლებლად მიაჩნდა მათი მომარჯვება პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მიმართებით აღსანიშნავია მისი გამოთქმა: „სწორად წერისა და ლაპარაკის უნარი“. ამ უნარს იგი მოითხოვდა როგორც მშობლიური, ისე სხვა ენების მოხმარების დროსაც.

აღსანიშნავია, რომ ლოკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მშობლიური ენის ფლობას ახალგაზრდა ყმაწვილების მიერ. ამას იგი თვლიდა აღზრდილობის მნიშვნელოვან საზომად. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ცეკვების შესწავლას. ცეკვა, მისი აზრით, ავითარებს ტანმედეგობას, სხეულს ანიჭებს მოხდენილობას, ლაზათს. თავისებური შეხედულება ჰქონდა მას მუსიკის მიმართაც. იგი თვლიდა, რომ მუსიკა ბევრ დროს ართმევს ახალგაზრდას, მაგრამ ეს არ ეხება კლასიკურ მუსიკას, რომელიც ფეხს იკიდებდა იმდროინდელ საზოგადოებრივ სკოლებში. თანამედროვე საზოგადოებრივი აზრი ვერ შეიწყნარებს ჯ. ლოკის ამ შეხედულებას, რადგან ნებისმიერი კარგი მუსიკა საფუძველს უყრის მოსწავლის ესთეტიკურ აღზრდას, მის ჰარმონიულ განვითარებას, ხელს უწყობს ნიჭის, უნარის, მიდრეკილებებისა და სხვა სახის ინდივიდუალური თავისებურებების გამომჟღავნებას.

ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით ფერწერას ლოკი პასიურ პროფესიად წარმოისახავს. იგი დასძენს, რომ ფერწერაში დაოსტატება მოითხოვს ტიტანურ შრომას. ფარიკაობა და ცხენოსნობა მოაზროვნეს ჯანმრთელობის უტყუარი საწინდარი ჰგონია.

ლოკი ურჩევს ჯენტლმენს, შეისწავლოს რაიმე კონკრეტული ხელობა, როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევა. იგი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ხელგარჯილობას, ფიქრობდა, რომ გონებრივი გადაღლისას ის განტვირთვის, სულიერი დასვენების უებარი საშუალებაა. მეცნიერი საგანგებოდ მსჯელობს მოგზაურობების აუცილებლობაზე და მიუთითებს: უმჯობესი და სასურველია ეს ხდებოდეს 7-დან 14-წლამდე, რადგან ამ ხანაში მოგზაურობას განსაკუთრებით კარგად შეუძლია მოზარდის თვალსაწიერის გაფართოება.

ჯონ ლოკს ღრმად სწამდა, რომ იმუამინდელ საზოგადოებრივ სკოლებში აღზრდის ასეთი შინაარსი განუხორციელებელი დარჩებოდა. ამასთანავე, ოჯახში აღზრდასაც იგი ცალმხრივ მცდელობად მიიჩნევს, ვინაიდან, მისი აზრით, აღზრდის ოჯახური გარემო სრულყოფილების გარკვეულ ელემენტებს მაინც მოკლებულია. იგი მიიჩნევდა, რომ ორივე მიმართულებას ჰქონდა თავისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. მართლაცდა, ერთის მხრივ, საზოგადოებრივ სკოლაში არსებული გარემო ქმნის ინტერესისა და გულმოდგინების გაღვივება-გაძლიერების საფუძველს, ხოლო, ზნეობრივი თვალსაზრისით, ძირითადად ოჯახი ინახავს მოზარდის სულს შეუბღალავად; მიუხედავად აზრების ასეთი მონაცვლეობისა, ჯონ ლოკი საბოლოოდ დაასკვნის: კეთილზნეობრიობა უფრო რთულად და ძნელად შესაძენია, ვიდრე ცხოვრებისა და სამყაროს ცოდნა; და, თუ დაიკარგა ზნეობრიობა, მისი ხელახლა აღდგენა თითქმის შეუძლებელია; რომ ოჯახურ ატმოსფეროსა და საოჯახო აღმზრდელის ხელში მოზარდი უფრო დახვეწილი, ცოდნას დაწაფებული, კეთილზნეობრივი იზრდება.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ჯონ ლოკის ამ შეხედულებას, მთელი სიღრმით ვითვალისწინებთ იმ აზრს, რომ თანამედროვე სკოლებში არსებული ვითარება, როცა თითოეულ კლასში რამდენიმე ათეული მოზარდი ზის, ძალიან ართულებს სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფილად განხორციელებას. გვაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე ათეული (20 –15) წლის წინათ განათლების სამინისტროს წინაშე დასმულა ამოცანა: თითოეულ კლასში 15-18 ბავშვზე მეტი არ უნდა ჩარიცხულიყო. ეს იყო კარგი პროგრამა – იდეა, მაგრამ იგი განუხორციელებელი დარჩა, რადგან დაკავშირებული იყო სოლიდური თანხის დამატებით გამოყოფასთან, რაც შეუძლებელი გახდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ ლოკი, თითქოსდა, გაორებულია. იგი პარალელურად განიხილავს კერძო და საზოგადო სკოლების მუშაობის შინაარსს, აღიარებს, რომ კერძო სკოლაში უფრო მეტი ყურადღება ექცევა მოზარდთა ინდივიდუალური სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფილად განხორციელებას, ასევე ნორჩთა როგორც მორალურ, ინტელექტუალურ დახვეწას, მაგრამ, სამაგიეროდ, საზოგადო სკოლაში მეტია შეჯიბრების საშუალება, ჩნდება კოლექტივიზმის გრძნობის აღზრდის ვითარება.

ლოკი სწავლა-აღზრდის 3 ტიპს გამოყოფს:

1. ოჯახურს;
2. კერძოს;
3. საზოგადოებრივს.

მოაზროვნე განიხილავს თითოეული მათგანის ავკარგს, დადებით და უარყოფით მხარეებს; ყურადსადებია აზრი იმის შესახებ, რომ ოჯახური აღზრდის პროცესში პედაგოგმა შეუძლებელია ერთნაირად კარგად იცოდეს მეცნიერების ყველა დარგი; აღნიშნავს იმასაც, რომ ოჯახის პირობებში აღზრდილი მოზარდები დამოუკიდებლობის მეტი უნარით გამოირჩევიან, ვიდრე საზოგადოებრივ სკოლებში აღზრდილები.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჯონ ლოკი სიზარმაცის დაძლევას. მოზარდები მერყეევი არიან, – აღნიშნავს იგი, – და მიუთითებს, რომ სწორედ ხასიათის სიმტკიცის ფორმირებაზე ზრუნვაა პედაგოგის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. სიზარმაცე და დროის უაზროდ ფლანგვა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა მოზარდობის ასაკში.

თავისი შინაარსით ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობა ამოუწურავია. აქ მრავალი აქტუალური პრობლემა და საკითხია დაყენებული. მოცემულ პარაგრაფში აღარ ჩავუღრმავდებით მის მიერ მოცემული რეკომენდაციების არსს, ოღონდ იმას კი აღვნიშნავთ, რომ მკვლევარი ცოდნითა და სიყვარულით საუბრობს პედაგოგის პიროვნებასა და დანიშნულებაზე, მის უნიკალურ როლზე მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაში.

დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს შემდეგი: ჯ. ლოკის მიზანი იყო დადებითი, სანაქებო სულიერი და ფიზიკური თვისებებით შემკული პიროვნების აღზრდა. ამგვარი აღზრდა უნდა ხორციელდებოდეს შეგნებული,

თანამიმდევრული პედაგოგიკური ზემოქმედების საშუალებით და არა ძალადობით, უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებით, სიმკაცრით. აღზრდა დაფუძნებული უნდა იყოს კეთილზნეობრივ საწყისებზე, მოკრძალებაზე, ინტელექტუალურ ენერჯიასა და ჭეშმარიტ ცოდნაზე.

ცოდნის შექმნის პროცესი არ უნდა იყოს მონოტონური, მოსაწყენი, რათა არ გამოუმუშაოს მოზარდს სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. კლასიკური ენების შესწავლისას გადამეტებული ყურადღება არ უნდა მიექცეს გრამატიკას, რაც მთავარია, მშობლიური ენა ცოდნის შექმნის საფუძველთა საფუძველია.

უკვე ნათქვამიდანაც მკაფიოდ ჩანს: ჯონ ლოკს სწავლა-აღზრდის პრობლემა ზოგადსაკაცობრიო დონეზე აჰყავს. ამაზე მჭევრმეტყველურად დაღაღებს მის მიერ ჩიპლინიდან მიწერილი ბარათი ეღუარდ კლერკისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ ნაციის აყვავება მნიშვნელოვანწილად მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაზეა დამოკიდებული.

§4. ჯონ ლოკი პედაგოგის როლსა და დანიშნულებაზე

პედაგოგიური პროფესია ისტორიულად უნიკალურ პროფესიად ითვლება, საუკუნეების მანძილზე მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის განისაზღვრებოდა საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური თუ სოციალური ვითარებით და იმ მოთხოვნებით, რომელთა განმსაზღვრელი იყო ახალი თაობის აღზრდა-განათლება. ცნობილია ისიც, თუ რაოდენ რთული და მრავლისმომცველი იყო ის გზა, რომელიც განვლო თავად ამ პროფესიამ.

პედაგოგიური პროფესიისადმი ლტოლვა და პასუხისმგებლობა მუდამ განსაზღვრავდა ნებისმიერი ქვეყნის ცივილიზაციის დონეს, განათლებისადმი დამოკიდებულებასა და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იმ ქვეყნებში დადგა დღის წესრიგში მასწავლებლის საგანგებო მომზადების საკითხი, სადაც თავად ეს ცივილიზაციაა სწორედ განათლების საფუძველზე განვითარდა.

პირველად სამასწავლებლო სასწავლებლები (შემდგომში კი პედაგოგიური ინსტიტუტები თუ პედაგოგიური ფაკულტეტები უნივერსიტეტებთან) გაიხსნა ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია.

თითქმის ყველა ქვეყანის განათლების ისტორიაში პედაგოგიური პროფესიისადმი სათანადო ყურადღების დათმობა მის ყველა ეტაპზე განპირობებული იყო დროის საჭიროებით. განათლებულთა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ზრდამ კი თავისი მოთხოვნები და კორექტივები შეიტანა მასწავლებლის მომზადების საქმეში, პედაგოგის პროფესიის ცალკე გრაფიკის აუცილებლობაში, რამაც განაპირობა „პედაგოგიური განათლების“ ასევე ცალკე დარგად გამოყოფა.

ჯონ ლოკმა, როგორც პედაგოგმა, შემოიტანა სრულიად ახალი ნაკადი XVII–XVIII საუკუნეების პედაგოგიურ აზროვნებაში. იგი ენერგიულად მიისწრაფოდა, რომ შუა საუკუნეების სქოლასტიკისა და მეტაფიზიკის ტყვეობიდან გამოსულიყო. მან წინ წამოწია გამოცდილების როლი და გადაჭრით აღნიშნა: არ არსებობს ცოდნა გამოცდილების გარეშე. ფსიქოლოგიის, სამართლისა და პედაგოგიკის დარგში შემუშავებული დრმა აზრებით ჯონ ლოკმა იმდროინდელი და შემდგომი პერიოდის მოაზროვნეთა ყურადღება მიიქცია.

„აღმზრდელის უდიდესი დანიშნულებაა, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – გამოკვეთოს და შეისწავლოს მიზანი და მის მისაღწევად მთელი გულისყურით შემუშაოს გონივრული მეთოდები“.

„აღმზრდელი უნდა იყოს გონებადამჯდარი, წინდახედული ადამიანი და მეცნიერი, თვით კარგად აღზრდილი, რომელიც გათვითცნობიერებულია მიმართვისა და ზრდილობის მრავალფეროვან წესებში, ვინც მოქმედებს ადამიანთა, პირობების, დროისა და ადგილის შესაბამისად, ვისაც ძალუძს ავარჯიშოს აღსაზრდელი, გაწვრთნას იგი, და ამ პროცესში დაიცვას აღმზრდელობითი წესები მოზარდის ასაკის და შესაძლებლობების შესაბამისად“.

პედაგოგს, ჯონ ლოკის მოთხოვნით, უნდა ხელეწიფებოდეს ადამიანებთან ურთიერთობა, დაუფლებული იყოს შეგირდებთან ურთიერთობის რთულ ხელოვნებას. იგი უნდა იცნობდეს ადამიანთა ბუნებას, მათ ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს, უცნაურობას, გაიძვერობას, თავისი საუკუნისა და ქვეყნის ნაკლს, ადამიანურ მანკიერებას. პედაგოგი ვალდებულია, კარგად ასწავლოს თავის ნაშიერს ლათინური ენა. ასეთი აღმზრდელისათვის, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – მშობლებს ფული არ უნდა დაენანოთ. ყოველივე ეს უნდა

გავითვალისწინოთ, თუ გვსურს კეთილზნეობრივი, განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი. მთავარია, პედაგოგმა შეძლოს, ჩაუნერგოს ნორჩს კეთილი სულისკეთება, ჯანსაღი პრინციპები, გამოაწროს კეთილშობილი, სასარგებლო მოქმედებისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდა, რომელიც შემკული იქნება ზრდილობითა და სათნოებით.

ასეთი აღმზრდელი ძნელი აღმოსაჩენია, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – მეტად იშვიათად მოიძებნება პედაგოგი, ვინც შეძლებს აღნიშნულ მიზანდასახულობათა აღსრულებასო და დასძენს: „არიან ახალგაზრდები, რომლებიც შედარებით დაბალი ნიჭიერებით გამოირჩევიან, ოღონდ არიან კეთილზნეობრივნი. პედაგოგობა ამათი მოწოდება არ არის, ისინი კი, რომლებიც მაღალნიჭიერნი არიან, ამავე დროს, ფლობენ ზნეკეთილ თვისებებს, ვფიქრობთ, არ აიღებენ თავიანთ თავზე პედაგოგის პასუხისმგებლობას“, – გულწრფელად აღნიშნავს ლოკი.

იმდროინდელი ცნობილი პიროვნებები აღფრთოვანებული დარჩნენ ლოკის მიერ შემოთავაზებული პედაგოგის ტიპის დახასიათებით. ისინი მეცნიერის მიერ წარმოდგენილ აღმზრდელის პორტრეტს იდეალურად თვლიდნენ.

ლოკი დიდ პროპაგანდას უწევდა პედაგოგის პროფესიას, მის პროფესიონალიზმს, მოუწოდებდა ცნობილ ოჯახებს, მიეზიდათ განათლებული, ზრდილი ახალგაზრდა სპეციალისტები და გადაეხადათ მათთვის სათანადო თანხა, რადგან იმ დროს პედაგოგის ხელფასი უაღრესად მწირი იყო.

ჩვენი შრომის ერთ-ერთ პარაგრაფში აღწერილია ლოკის აღმზრდელობითი სისტემა, მისი ყველა მიმართულება, რომელსაც მოაზროვნე გვთავაზობდა, მაგრამ ამ პარაგრაფში გვინდა გავაანალიზოთ ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ხაზგასმით წარმოაჩენს პედაგოგის, როგორც მეცნიერის, როლს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდაში.

თვით ლოკი ფიზიკურად მეტად სუსტი პიროვნება გახლდათ. მან კარგად იცოდა ფიზიკური სისუსტის ნაკლი. ამიტომ იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას და სხეულებრივ სრულყოფილებას; იგი მოითხოვდა ორგანიზმის წვრთნას და განვითარებას; თვლიდა, რომ „მოზარდთა სული შესაძლებელია წარმართული იქნეს ამა თუ იმ მიმართულებით ისევე ადვილად, როგორც წყლის ნაკადი. ეს, რასაკვირველია, აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილია, – აღნიშნავს იგი, – მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს,

რომ სულის ჯანმრთელობა და სიძლიერე დამოკიდებულია სხეულის ჯანმრთელობასა და ძლიერებაზე". ამიტომ სხეულის წვრთნას იგი სულის წვრთნადაც მიიჩნევს. სხეულის წვრთნის დეტალებს, რომელთაც ლოკი რეკომენდაციას უწევს, ჩვენ მე-5 პარაგრაფში სისრულით გადმოვცემთ, მაგრამ აქვე დაბეჭოთებით აღვნიშნავთ, რომ ფიზიკური აღზრდის ლოკისეული სისტემა საგანგებო ყურადღების ღირსია.

ცნობილია ჯონ ლოკის განსაკუთრებული ყურადღება მომავალი თაობის მორალური აღზრდის მიმართ. იგი პედაგოგის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად თვლიდა სულის ვარჯიშს, რათა მოზარდს ყოველგვარ პირობებსა და გარემოში მიდრეკილება ჰქონოდა მხოლოდ ღირსეული ქცევისაკენ, რომელიც გონების განსჯით იქნებოდა გაპირობებული. საჭიროა ამ თვალსაზრისით მოზარდები პატარაობიდან იყვნენ განსწავლულნი და შეეძლოთ საკუთარი „მეს“, საკუთარი ქცევის ფლობა.

„მათი სულები, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – უფრო ნაზია, უფრო დამყოლი. თუ მოზარდი პატარაობიდანვე დააჩვიეს გააკეთოს ის, რაც მას მოესურვება, მაშინ რატომღა გვიკვირს, რომ ცუდად იქცევა, როცა მომწიფებისას სურვილების გარდაუვალ დაკმაყოფილებას მოითხოვს [29, 82].

იგი გარდაუვლად თვლის, ვასწავლოთ მოზარდებს საკუთარ სურვილებზე უარის თქმა, ზოგი მათგანის ჩახშობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა მას პედაგოგის მთავარ დანიშნულებად მიაჩნია. იგი ნორჩობიდანვე ამგვარი წესითა და კრიტერიუმებით უნდა წვრთნიდეს აღსაზრდელს. ის, რაც ბავშვისთვის სასარგებლო და საჭიროა, სასურველია აუსრულდეს, მაგრამ მათი ყველანაირი დაჟინებული მოთხოვნის დაკმაყოფილება ჯეროვნად უნდა შეიზღუდოს. ამით მოზარდები ეჩვევიან, უარი თქვან გაუმართლებელ მოთხოვნილებებზე. ეს კი თავიდან ააცილებს მათ ნერვულ სტრესებს, შინაგან შფოთვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოზარდები ხდებიან ნერვულნი, მოუთმენელნი, სულსწრაფნი; აქვე უნდა შევნიშნოთ: მათს მოთხოვნილებებზე უმიზეზოდ და უმოტივოდ უარის თქმაც, რასაკვირველია, აღსაზრდელის მიერ აღიქმება უხეშობად, სისასტიკედ, ტირანიად. უნდა ვიცოდეთ: პედაგოგის დანიშნულებაა, ტაქტიანად განიხილოს მოზარდის მოთხოვნილებები. მისი მოქმედება უნდა დაეფუძნოს გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გააზრებულ პროცესს, ხოლო არაგონივრულ

მოთხოვნილებათა უარყოფას, რათა თავიდან ავიცილოთ მოზარდში ისეთი თვისებების ჩამოყალიბება, როგორცაა საკუთარი თავის განუზომელი სიყვარული, განდიდების მანია, მაღალი თვითშეფასება.

ყველა აქ ჩამოთვლილი უარყოფითი თვისება ხშირად ხელს უწყობს დაუმორჩილებლობისა და თავნათქვამობის ჩამოყალიბებას ახალგაზრდის პიროვნებაში.

აქ საჭიროა მცირედი ექსკურსიც გავაკეთოთ: თვითონ ჯონ ლოკი გაიზარდა მკაცრი რეჟიმის მქონე ოჯახში. მამამისი მსახურობდა იმდროინდელი პარლამენტის არმიაში. ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი ზნეობრივი ნორმების დაცვა და ამ ნორმებისადმი თავყანისცემა. ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია მისი ცხოვრების წესზე და აღმზრდელობით შეხედულებებზე. მისი ძირითადი მიზანი იყო ყოველგვარი მდაბალი გრძნობების იგნორირება და მკაცრი დისციპლინის დაცვა.

ჯონ ლოკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლებისა და პედაგოგების ავტორიტეტს, საერთოდ, მათს პიროვნულ ღირსებას. იგი განუხრელად იცავდა პრინციპს: ადრეულ ასაკში საჭიროა ყმაწვილთა სრული შეგნებული დამორჩილება, ხოლო მოზრდილობისას, როცა მათ აქვთ უნარი, მოუხმონ თავიანთ გონებას, უმჯობესია მეგობრული, ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნა.

ჯონ ლოკს შეიღები რომ ჰყოლოდა, ალბათ, უფრო უკეთ ეცოდინებოდა, რომ უმცროსი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის დასამყარებლად საჭიროა არა სიმკაცრე და მათი ბრმად დამორჩილება, არამედ სიყვარული და სითბო. სიყვარული და პატივისცემა, მოკრძალება საკმაოდ კარგად უთავსდება ურთიერთს, უფრო მეტიც: იქ, სადაც არ არის სიყვარული, არ არსებობს პატივისცემა და მოკრძალება. მიუკარებლობა და დამონების მცდელობა იწვევს მონურ შიშსა და პირადი ღირსების შელახვის განცდას. ეს კი აქრობს ურთიერთნდობის ფაქტორს შვილსა და მშობლებს შორის.

ჯონ ლოკი, როგორც პედაგოგი და ადამიანი, უადრესად ფაქიზად უდგება ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობას. იგი მსჯელობს საერთოდ ბავშვთა კონსტიტუციურ განსხვავებულობაზე და საბოლოოდ მაინც მიმტევებლობის, სიყვარულისა და სითბოს ატმოსფეროს

შექმნას ამჯობინებს. ამ საქმეში, მისი ფიქრით, ყველაფრის თავიდათავი მაინც მოძღვარია, ოსტატია და არა შეგირდი, მოწაფე. თუ პედაგოგი მკაცრად არ ასრულებს თავის დანიშნულებას, ადრეულ ასაკშივე აღმოფხვრას მოზარდის უარყოფითი ჩვევები, მაშინ მას მოზარდის აღზრდის უფრო მოგვიანო ეტაპზე დასჭირდება მკაცრი სასჯელის მომარჯვება. ჯონ ლოკი ფაქიზად მიგვანიშნებს იმაზეც, რომ პედაგოგი ფხიზლად უნდა იყოს, მას არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ისეთი ბავშვები, რომელთაც, მიუხედავად თვითკერძა ხასიათისა, აქვთ პოტენციური შესაძლებლობა, ჩამოყალიბდნენ საქმის მკეთებელ გამოჩენილ ადამიანებად. თუ პედაგოგი ასეთ ბავშვებს დათრგუნავს თავისი სადამსჯელო ხერხებითა და საშუალებებით, მაშინ შესაძლებელია, ამგვარმა ყმაწვილებმა წელი ვეღარ გამართონ და საკუთარი უნარ-ჩვევები ვერ განავითარონ.

ჭეშმარიტმა პედაგოგმა უნდა შეუნარჩუნოს ამგვარ მოზარდს თავისუფალი, მოქმედი სული, ამავე დროს, დაიცვას იგი მოსალოდნელი წინააღმდეგობისა და ფათერაკისაგან და წარმართოს მისი ნიჭი და უნარი მიზანდასახულად. იგი, თითქოსდა, აღტაცებით მიესალმება ისეთ პედაგოგთა მოღვაწეობას, რომლებმაც შეძლეს მითითებული პრობლემის დაძლევა და ამით ჭეშმარიტი აღმზრდელის საპატიო წოდება დაიმსახურეს. ჯონ ლოკი აღზრდის ყველაზე მიუღებელ მეთოდად მიიჩნევს ფიზიკურ დასჯას, რადგან იგი, მისი აზრით, აძლიერებს სიძულვილს ყოველგვარი კეთილშობილებისადმი და, რაც მთავარია, სწავლისადმი, წარმოშობს ორპირობას, გაუტანლობას და ადამიანს უყალიბებს ღაწრულ, მშიშარა ბუნებას.

ი. ა. კომენსკი თვლიდა, რომ ფიზიკური დასჯის ერთადერთი გამართლება იყო პედაგოგის რეაქცია მოზარდის უზნეო მოქმედებაზე, ხოლო, რაც შეეხება სწავლისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, ამას იგი თვლიდა არა მოზარდის, არამედ პედაგოგის დანაშაულად.

ჯონ ლოკი საერთოდ პედაგოგის უპირველეს დანიშნულებად თვლიდა მოზარდის სულიერი სამყაროს სიმშვიდის შენარჩუნებაზე ზრუნვას. იგი დასძენდა: „მოზარდის მთრთოლვარე სულზე, ისე როგორც რხევად ფურცელზე, შეუძლებელია მკაფიო და სწორი ასოების დაწერა“. „ღირსება და სიყვარული, – აღნიშნავს იგი, – სულის შემძვრელი საშუალებაა. ამიტომ საჭიროა, პედაგოგმა

ნორჩს ჩაუნერგოს პატივისცემა და სიყვარული მაღალი რეპუტაციისადმი, ხოლო შიში სირცხვილისადმი. ყოველივე ეს კი სისტემატურად გამოიწვევს მათში სიკეთისაკენ ლტოლვას.

სულიერი ღირებულებებისადმი პატივისცემის ნიშნად ჯონ ლოკი ავალებს პედაგოგს, შეუქმნას მოზარდებს მართებული წარმოდგენა კეთილისა და ბოროტის შესახებ, გაურკვიოს მათ ამ ცნებების შინაარსი. იგი არკვევს სამართლიანობის გრძნობის არსს და აღნიშნავს: ისინი, ვინც ითმენენ ბოროტებას, რასაკვირველია, თავს უსამართლობის მსხვერპლად თვლიან, ვიდრე ისინი, ვინც იძულებულია, მოითმინოს ხელოვნურად თავსმოხვეული ბოროტება.

ლოკი უარყოფითად ეკიდება სასწავლო დაწესებულებაში შექმნილ წესებს და აღნიშნავს, რომ უმჯობესია პედაგოგმა აქცენტი გადაიტანოს იმ ჩვევათა ფორმირებაზე, რომელნიც საბოლოოდ აღსაზრდელის ქცევას ყოველგვარი სირთულეების გარეშე განსაზღვრავს. იგი აღიარებს აღმზრდელობითი ზემოქმედების როლს და საჭიროდ თვლის ყურადღებით მოეკიდოს ყოველივეს, რაც აღსაზრდელის გარშემო ხდება; ის ავალებს პედაგოგებსა და მშობლებს, ნორჩებს თავიდან ააცილონ უარყოფითი მაგალითების ზეგავლენა. იგი მეტად დიდ ყურადღებას აქცევს აღმზრდელის განათლებას, ინტელიგენტობას, გონიერებას, ზრდილობასა და თავაზიანობას.

საინტერესოა მშობელთა და აღმზრდელთა ქცევების ლოკისეული ანალიზი: „თუ თქვენ მოზარდი იმისათვის დასაჯეთ, რასაც თქვენ გამუდმებით სჩადით მის თვალწინ, მას შეეკმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ არცთუ ისე სერიოზულად ხართ დაინტერესებული, ასეთი უარყოფითი მოქმედება მომავალშიც არ გაიმეოროს; მოზარდი ჩათვლის, რომ ეს არცთუ დიდი დანაშაულია და ამის საფუძველს მშობლის მაგალითი უქმნის. ამიტომ ჯონ ლოკი გვაფრთხილებს: „პედაგოგმა და მშობელმა უნდა იცოდნენ ეს, რომ ბავშვები თავს დებენ დიდობაზე, მათ ეს სწრაფვა უჩნდებათ უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ გვგონია; უყვართ ისე ჩაცმა, როგორც დიდები იცვამენ, და ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი თავს უკვე მოზრდილ ადამიანებად თვლიან.

მოზარდობის ასაკში ემაწვილებს აქვთ ასოციალური ქცევების მიდრეკილება. ისინი მზად არიან, ლანძღვაც კი აიტანონ, ოღონდ ჩათვალონ ზრდასრულ ადამიანებად.

ამ შემთხვევაში ლოკი ურჩევს მშობლებს, დაამყარონ შვილებთან მჭიდრო სულიერი ურთიერთობები, გაანდონ მათ გარკვეული საიდუმლოებანი, საკუთარი საქმიანობის სირთულენი და აქ ძალა ეძლევა მართალ აფორიზმს: „ნდობა წარმოშობს ნდობას“. განსაკუთრებით ეს იოლად ხდება მოზარდებში და აღნიშნულ მოვლენას ხელი უნდა შეუწყოს პედაგოგმა.

შემდეგ მოაზროვნე ეხება პედაგოგის როლს და დაინიშნულებას სწავლების პროცესში. ფართო პედაგოგიური პორიზონტისა და ღრმა ცოდნის უქონლად ძნელია დააინტერესო მოზარდის პიროვნება და იგი აღმზრდელით პროცესში ჩართო. ბავშვების ჯერ კიდევ ნორჩ და სათუთ გონებას ხშირად მერყეობის გარკვეული ამპლიტუდა აქვს. პედაგოგის მოვალეობაა, შეზღუდოს და ბოლოს სულაც აღმოფხვრას ეგ მერყეობა. მოზარდი სწრაფად ითვისებს იმას, რასაც მოცემულ მომენტში საინტერესოდ მიიჩნევს. იგი იოლად კმაყოფილდება ცოდნა-ჩვევების არასაკმარისი სიღრმითაც კი ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის შემეცნების პროცესში. ამ ვითარებაში პედაგოგს ეძლევა კარგი შანსი, ბავშვს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა, აღძრას მასში საგნებისა და მოვლენებისადმი ინტერესი. საამისოდ მან უნდა გამოიყენოს შთაბეჭდილება, შეეცადოს მისი ინტერესები გახადოს მყარი. ამით, ბუნებრივია, სწავლებაცა და სწავლაც მიმზიდველი გახდება.

ჯონ ლოკის შრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება მოზარდებში ცნობისმოყვარეობის განვითარებას. აქ იგი გამოყოფდა სწავლისადმი ლტოლვის, მისწრაფების გაღვივებისა და წაქეზების აუცილებლობას სწავლების დროს და ამ საქმეში პედაგოგის განსაკუთრებულ როლს. ამ მიმართულებით ლოკი აუცილებლად თვლის:

1. პედაგოგმა ყურადღებით მოისმინოს მოზარდის თუნდაც სულ უმნიშვნელო შეკითხვა. აღუძრას და განუვითაროს მას კითხვების სისტემატურად დასმის სურვილი. იგულისხმება, რომ კითხვების დასმა გამოხატავს გონების გაფართოების პროცესს;

2. შეაქოს ისინი, ვინც უფრო ღრმა და მნიშვნელოვან კითხვებს წამოჭრიან და ამით ან თავიანთ ცოდნას ადასტურებენ, ანდა ახალი ცოდნისაკენ ლტოლვას;
3. მთელი გულისყურით ეცადოს, რათა მოზარდის კითხვას ზუსტი, ამომწურავი, ჭკმმარიტი პასუხი გასცეს;
4. მოზარდის ყურადღება წარმართოს ახალ-ახალი ცოდნის დაუფლებისაკენ, გააღრმავოს მისი მცდელობა და ინტერესი.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ჩვენ არ ვეხებით სწავლების პროცესის ლოკისეულ შეფასებას. იგი ცალკე კვლევას იმსახურებს. აქ ჩვენ უმეტესწილად შემოვიფარგლებით აღმზრდელობითი პროცესის ლოკისეული ხედვის გაშუქებით.

ჯონ ლოკი მომხრე იყო მოზარდის მიერ სირთულეების საფუძველზე მიღწეული გამარჯვებების აღნიშვნისა, რათა მოზარდმა იგრძნოს, რისთვის შეაქეს იგი.

მოაზროვნე მიუთითებდა, რომ გონებრივი პროგრესი ხორციელდება სიძნელეების გადალახვის გზით. იოლი გამარჯვება, მართალია, აჯილდოებს მოზარდს, მაგრამ იგი ეჩვევა სიძნელეების გადალახვისას იოლი გზების ძიებას და თანდათან უჩლუნგდება კრიტიკული აზროვნების უნარი.

„მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“ – ილია ჭავჭავაძის ეს პრინციპული პედაგოგიური დებულება თამამად შეიძლება პედაგოგიური პროცესის საზომად და საუკვლად, კაცობრიობის ცივილიზაციის მიერ გამოცდილ და აღიარებულ რეალობად იქნეს მიჩნეული.

ცნობილია, რომ უძველესი დროიდან, თაობათა მიერ დაგროვილი გამოცდილების გადაცემამ ფაქტობრივად განაპირობა თავად კაცობრიობის ცივილიზაცია. განათლების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა განეკუთვნება იმ ეტაპს, როდესაც არსებობისათვის ბრძოლაში საჭირო გახდა საგანგებო პირთა გამოყოფა, რომლებიც ახალგაზრდებს შეასწავლიდნენ შრომის იარაღების ფლობას, საკვების მოძიებას და სხვადასხვა უნარ-ჩვევების ათვისებას. როგორც წესი ესენი იყვნენ მოხელეები ან შრომისუნარმოკლებული პირები და ისინი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ. სწორედ მათი წრიდან გამოიყო პირველი აღმზრდელები. მათ დიდი გამოცდილება

გააჩნდათ, რომელსაც გადასცემდნენ მოზარდ თაობას. გარდა ამისა ისინი ზრუნავდნენ მის სულიერ და ზნეობრივ ფორმირებაზე. ამზადებდნენ ცხოვრებისათვის. სწორედ ასე იქცა აღზრდა ადამიანის შეგნების და შემოქმედების სფეროდ. ასე იწყება აღმზრდელის, მასწავლებლის, პედაგოგის, მრავლისმომცველი და საპასუხისმგებლო პროფესია. მის აღმოცენებას ობიექტური საფუძველი გააჩნდა, რადგან მათი ნაამაგარის შედეგად შესაძლებელი გახდა თავად საზოგადოების არსებობა და განვითარება. მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე „აღმზრდელი“, „მასწავლებელი“, ან სხვა მისი შესატყვისი ტერმინი აღზრდის, განვითარების, წინამძღოლის და ა. შ. სინონიმია.

ქართული აღზრდა-განათლების ისტორიამაც შემოინახა პედაგოგიური ტერმინოლოგიის ნიმუშები, რომელთა მიხედვით მასწავლებელს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უწოდებდნენ „მზრდელს“, „გამზრდელს“. ყველაზე გავრცელებული იყო „მოძღვარი“. შემთხვევითი არ იყო, რომ მეფე დავით აღმაშენებელს მოიხსენიებენ როგორც „მოძღვართ მოძღვარს“.

აღსანიშნავია, რომ ამ პროფესიის გამომცველი ტერმინოლოგია იცვლებოდა მისი შინაარსისა და ფუნქციის ცვალებადობასთან ერთად და როდესაც დრის წესრიგში დადგა კონკრეტული სასწავლო მასალის გადაცემა. პირს რომელიც ამა თუ იმ საგანს ასწავლიდა „მასწავლებელი“ უწოდეს. თანამედროვე ეტაპზე ტერმინები „პედაგოგი“ და „მასწავლებელი“ ფაქტობრივად გაიგივებულია, ხოლო ტერმინი „აღმზრდელი“ უფრო კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენება. ეს არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია მეორე პირის ცხოვრების პირობებზე, მის პიროვნულ სრულყოფაზე.

როდესაც კაცობრიობა მივიდა იმ დონემდე, რომ თავად ცოდნა გათვითცნობიერდა როგორც ფასეულობა, საჭირო შეიქნა მისი დაგროვების და გადაცემის საგანგებო ორგანიზაცია, რამაც მიიღო სახელწოდება „სწავლება“. გაჩნდა შესატყვისი ტერმინიც. მაგრამ თავის პოპულარობას ბოლომდე ინარჩუნებს ტერმინი „პედაგოგი“, რომელიც სწავლებას და აღზრდას ფაქტობრივად მთლიანობაში წარმოაჩენს.

განათლების განვითარების ისტორიასთან ერთად იზრდებოდა თავად პედაგოგის ფუნქცია, დანიშნულება და იცვლებოდა იმ პირთა ჩამონათვალი, ვისაც ეს უფლება ჰქონდა მინიჭებული. მაგალითად, ძველ რომში

მასწავლებლად იმპერატორის სახელით ინიშნებოდნენ სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც სხვადასხვა მეცნიერების ცოდნის გარდა მოგზაურობათა შედეგად დაგროვილი გამოცდილება გააჩნდათ, იცნობდნენ სხვა ხალხების კულტურას და წეს-ჩვეულებებს. შუა საუკუნეებში, როდესაც განათლება ფაქტობრივად ეკლესიის ხელში იყო, პედაგოგებად ინიშნებოდნენ სასულიერო პირები.

ყოველ ერს თავისი ისტორიულად აღიარებული დიდი მასწავლებლები ჰყავს. მაგალითად, ჩინელებისათვის ასეთად ითვლება კონფუცი – კუნ-ფუძი. რომელიც ცხოვრობდა 551-479 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და დღემდე მისი სწავლება, ფილოსოფიური იდეები და შეხედულებები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მათ ჩინელი ხალხის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევენ. აღსანიშნავია აგრეთვე ჩეხი პედაგოგ-ჰუმანისტის იან ამოს კომენსკის სახელი, რომელმაც პედაგოგიური მეცნიერება დამოუკიდებელი თეორიულ დარგად ჩამოაყალიბა. იგი ფაქტობრივად გასცდა ჩეხეთის საზღვრებს და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. თავად დიდი პედაგოგი უდიდეს როლს ანიჭებს პედაგოგის პროფესიას, ადარებს მებაღეს, რომელიც მზრუნველობით უვლის ნარგავებს, მზეს, რომელიც ყველგან და ყველას ერთნაირად ათბობს. მასწავლებელი კომენსკის აზრით მოქანდაკეა, რომელიც ნორჩების სულებს ძერწავს. იგი მხედართმთავარია, რომელსაც შეუძლია უვიცობა, უხეშობა და უზნეობა დაამარცხოს.

ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პედაგოგის, პუბლიცისტისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის სახელი და მისი პედაგოგიური მემკვიდრეობა, სწორედ მას მიიჩნევენ ქართველი პედაგოგიკური მეცნიერების და საბავშვო მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლად. სწორედ მან მისცა მასწავლებლის პროფესიას უმაღლესი შეფასება: „მხოლოდ მათის წყალობით ქართველი ხალხი დაწინაურდა წიგნის ცოდნაში... დიას, ნამდვილი ღვაწლი მიუძღვის სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჩვენი ხალხის განვითარებასა და გამოღვიძებაში“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწ., გვ. 433).

პედაგოგიური პროფესიის ძირითადი მიზანია ადამიანებთან ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, თავად პროფესიის დაუფლება მოითხოვს როგორც სპეციალურ ანუ საგნობრივ, ასევე ადამიანთმცოდნეობისთვის მომზადებას. მაგალითად, ადამიანებთან ურთიერთობის, კომუნიკაბელურობის გამომწვევებას

საგანგებო ცოდნა ესაჭიროება. პედაგოგიურ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი, განსაკუთრებით ახალბედა, ვერ ფლობს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, ვერ ახერხებს კონტროლის დამყარებას მოსწავლეებთან. მათდამი სათანადო განწყობის შექმნას. ყველაფერი ეს კი უმარავ პრობლემას უქმნის მას და პედაგოგიური შეცდომებიც ამის შედეგია. მასწავლებლობა მხოლოდ პროფესია არაა. ცოდნის ტრანსლირების გარდა მასწავლებელს პიროვნების ფორმირების უმაღლესი მისიაც აკისრია. ის უნდა იყოს ადამიანში ადამიანის დამმკვიდრებელი. მას უნდა ახასიათებდეს:

- მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სოციალური აქტიუობა.
- უდიდესი სიყვარული ბავშვებისადმი.
- სულიერი კულტურა, სხვებთან ერთად მუშაობის სურვილი და მზადყოფნა.
- მაღალი პროფესიონალიზმი, სამეცნიერო-პედაგოგიური აზროვნების ინოვაციური სტილი, ახალ ფასეულობათა მიმართ მაღალი შემგუებლობა, შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღება.
- მუდმივი თვითგანათლების მოთხოვნილება.

არა გვაქვს იმის პრეტენზია, რომ სრულად ამოვწურეთ პარაგრაფში დასმული საკითხი, მაგრამ ვიმედოვნებთ: მოცემულ შრომაში გამოკვეთილია ჯონ ლოკის ის ძირითადი შეხედულებები და იდეები, რომლებიც ეხება პედაგოგის როლსა და დანიშნულებას აღზრდისა და, ნაწილობრივ, სწავლების პროცესში.

**§5. აღზრდის წამყვანი როლი პიროვნების ფორმირების პროცესში ჯონ
ლოკის მიხედვით**

ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი

საზოგადოებრივი ფორმირების ყველა ეტაპზე აღზრდისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება იყო და არის დღესაც, რადგან იგი ყოველი საზოგადოების სულიერი საფუძველია. კაცობრიობის ცივილიზაციაც ხომ აღზრდის შედეგია. ცნობილია, რომ ყოველი ახალი თაობა ცხოვრებას იწყებს იმით, რომ ეზიარება წინაპართა მიერ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. ეს გარდაუვალი და აუცილებელი პროცესია და განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს. კონკრეტულ მოქმედებაში პოულობს გამოხატულებას და მისი გამოვლინების ყველაზე ძლიერი იარაღია აღზრდა, რომლის საშუალებითაც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა სულიერი და მატერიალური ფასეულობები, გამოცდილებები, ხოლო მან, თავის მხრივ, უნდა გაამდიდროს ეს თავისი ცოდნით. ქვეყნის მეოფადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებებზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. გამომდინარე ამ ჭეშმარიტებიდან, აღზრდა არის მუდმივი კატეგორია და მას ისტორიული ხასიათი გააჩნია. სწორედ აღზრდის შედეგად ხდება საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე, ასეთი პიროვნების ფორმირება, რომელიც ამ საზოგადოების ინტერესებს პასუხობს. იგი მისი სიცოცხლის მთელს მანძილს მოიცავს.

ადამიანის განვითარების მთელი გზა სხვადასხვა მონაკვეთს მოიცავს და ყოველი მათგანი განსხვავდება ერთმანეთისაგან თავად ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური, მონაცემებით, მისი სოციალიზაციის დონით. ადამიანის სიცოცხლის ცალკეული მონაკვეთებისაგან შედგება მისი ასაკი.

ადამიანის განვითარება, მისი ასაკობრივი პერიოდიზაცია მოიცავს მის მთელ სიცოცხლეს – ეს არის სრული პერიოდიზაცია.

პედაგოგიკა საუკუნეების მანძილზე იკვლევდა ბავშვის ასაკობრივ პერიოდიზაციას. დღეისათვის, როდესაც პედაგოგიკა უწყვეტი განათლების

სისტემის სახით წარმართავს მეცნიერულ კვლევას, მისთვის პიროვნების განვითარების და ფორმირების პრობლემათა სრულყოფილ შესწავლის ობიექტად რჩება ბავშვი, რომელიც ყოველ საზოგადოებრივ თუ ბუნების მოვლენასთან ერთად მუდმივ განვითარებაშია. ცნობილია, რომ განვითარება, მათ შორის ადამიანისაც, გულისხმობს განუწყვეტელ მოძრაობას, აღმავლობას, ცვალებადობას; ამავე დროს ეს პრინციპი მიმდინარეობს ეტაპებად. დროის სხვადასხვა მონაკვეთის, ცალკეული ეტაპისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

ბავშვის განვითარება ერთი მთლიანი პროცესია, რომელსაც თავისი ეტაპები გააჩნია. ყოველი მათგანის მეცნიერული კვლევის შედეგია პედაგოგიკა, პედაგოგიური ფსიქოლოგია, ყველა ის მეცნიერება, რომელიც ადამიანის განვითარებას სწავლობს, მივიდა იმ ჭეშმარიტებამდე, რომ მხოლოდ ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებითაა შესაძლებელი პიროვნების ფორმირების სწორი წარმართვა, მისი გაგება და მის სულიერებაში წვდომა.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების ფაქტორი პედაგოგიკის ისტორიაში სხვადასხვანაირად არის განხილული: არის პედაგოგიურ მიმდინარეობათა ერთი ჯგუფი, რომელიც მთლიანად უგულებელყოფს აღზრდის როლს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში და ყველაფერს თანდაყოლილი იდეებით, მემკვიდრეობით გადმოცემული ბუნებრივი თავისებურებებით განსაზღვრავს. ამ მემკვიდრეობით მიღებული თავისებურებების გარდაქმნა აღზრდის გზით შეუძლებელია და გამომდინარე აქედან ადამიანის დანიშნულება და ადგილი საზოგადოებაში წინასწარვე დაბადებამდე განსაზღვრული. აღზრდას არ შეუძლია შეუცვალოს მიმართულება ბავშვში მემკვიდრეობით გადმოცემულ ნიშან-თვისებებს. აღზრდის როლის უარყოფელი თეორიები ანტიკურ ფილოსოფიაში პლატონისაგან იღებს სათავეს, რომელიც შემდეგ ახალ ფილოსოფიაში თავისებურად განავითარა დეკარტემ, რომელიც შემდეგ ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის კრიტიკის ობიექტი გახდა.

აღზრდის როლის უგულებელყოფას ემსახურება ე. წ. ბიოლოგიური ნაცივისტური თეორია, რომლის მიხედვით ახალდაბადებული ბავშვის ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბების პროცესი მემკვიდრეობით თანდაყოლილი

თვისებების სრულყოფით განისაზღვრება. ამ თეორიის თანახმად მემკვიდრეობით მოცემული თანდაყოლილი თვისებები განვითარების პროცესში არ განიცდიან რაიმე თვისებრივ ცვლილებებს. აღზრდა და გარემო მხოლოდ ხელს უწყობს მათ დასრულებული ფორმით გამოქვლავნებას. აღზრდას არ შეუძლია შეცვალოს ადამიანის განვითარების მიმართულება. იგი მემკვიდრეობითი ფაქტორებით არის განსაზღვრული. ეს შეხედულება კიდევ უფრო მძაფრად იქნა განვითარებული მიუღერისა და ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებულ ე. წ. ბიოგენეტიკურ კანონში, რომლის მიხედვითაც ორგანიზმის განვითარების ისტორია იყოფა ონტოგენეზად ანუ ინდივიდის განვითარების ისტორიად, და ფილოგენეზად ანუ ორგანული ჯგუფის განვითარების ისტორიად.

ონტოგენია წარმოადგენს მოკლე და სწრაფ განმეორებას (რეკაპიტულაციას) ფილოგენიისას, რომელიც განპირობებულია მემკვიდრეობის ფიზიოლოგიური ფუნქციებით და შეგუებით. XX საუკუნის დასაწყისში ამ შეხედულებათა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გადმოტანა გახდა საფუძველი იმისა, რომ სრულიად იქნა უარყოფილი პიროვნების განვითარებაზე საზოგადოებრივი აღზრდისა და გარემოს გავლენა და ფსიქიკის განვითარება ფატალისტურად განპირობებული მემკვიდრეობით გადმოცემული განსაკუთრებული უნართა და თვისებებით იქნა ახსნილი. ამ იდეის დასაბუთებას შეეცადა პესიმისტური ფილოსოფიის წარმომადგენელი შოპენჰაუერი, რომელიც თვლიდა, რომ მოზარდი უძლურია და ამავე დროს უსარგებლო, რადგან მას არ შეუძლია მემკვიდრეობით მიღებული თვისებების მიმართულების შეცვლა, რადგან დაბადების შემდეგ ბავშვში თავს იჩენს მისი მომავალი თვისებები და აღმზრდელი ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს მასზე, უფრო მეტიც, ფსიქიკოლოგი ლომბროზი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ზოგიერთი ადამიანი იმთავითვე იბადება ბოროტმოქმედად, რაც მემკვიდრეობითაა განსაზღვრული.

თანდაყოლილი იდეებითა და მემკვიდრეობით ადამიანის ბედის განპირობების შესახებ მკაცრად გაილაშქრა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკიმ. იგი ბეკონისა და ჰობსის ფილოსოფიურ შეხედულებათა გამგრძელებლად შეიძლება ჩაითვალოს. ლოკისათვის არავითარი თანდაყოლილი იდეა არ არსებობს და

მაშასადამე იგი არც შეიძლება იყოს რაიმე ცოდნის წყარო. იგი მატერიალისტია და თვლის, რომ იდეები და წარმოდგენები შედგება მატერიალურ საგანთა ზემოქმედებისა ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე. მისი აზრით იდეები და პრინციპები თანდაყოლილი კი არა, არამედ ცხოვრების გზაზე არიან შექმნილი. ახალშობილი ბავშვი აღჭურვილია შესაძლებლობებით მიიღოს აღმზრდელობითი ზემოქმედება გარედან, რის შემდეგაც მისი სუფთა გონება თანდათანობით ივსება წარწერებით იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს მასზე ობიექტური სინამდვილე. ზემოქმედების ხარისხი კი მთლიანად და სავსებით აღზრდაზეა დამოკიდებული და იგი განსაზღვრავს ახალდაბადებული ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას. სწორედ აღზრდა ქმნის განსხვავებას ადამიანთა შორის. „ცხრა მეთედი ადამიანებისა... კეთილები ან ბოროტები, სასარგებლონი ან უსარგებლონი არიან, რადგან მათ ასეთი აღზრდა აქვთ მიღებული. ჯონ ლოკმა აღზრდა ყოველის შემძლეად გამოაცხადა, რაც პედაგოგიურ მეცნიერებაში, რა თქმა უნდა არ იქნა გაზიარებული.

პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელოებში აღზრდის როლის შესახებ ლოკის შეხედულებების განხილვისას ის აზრია გატარებული, რომ ასაბუთებდა რა ლოკი აღზრდის ყოველის შემძლეობის თეორიას, თითქოს იგი საერთოდ არ ცნობდა მემკვიდრეობის როლს პიროვნების განვითარებაში, ლოკის პედაგოგიური მემკვიდრეობის გაცნობა კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლოკი არ მისულა მემკვიდრეობის როლის სრულ უარყოფამდე. იგი თვლის, რომ ადამიანთა შორის განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ აღზრდის შედეგია და აქ მემკვიდრეობას არავითარი როლი არ მიეკუთვნება. იგი აღზრდის დიდ შესაძლებლობაზე ლაპარაკობს და ამასთან ერთად ხაზს უსვამს, იმასაც, რომ „ჩვენ ვიბადებით ისეთი ნიჭიერებითა და ძალებით, რომ შეგვიძლია თითქოს ყველაფრის ათვისება; მაგრამ ამ ძალების ვარჯიშით ჩვენ შეიძლება დავხელოვნდეთ რაიმეში და სრულყოფამდე მივიდეთ“.

თავის ნაშრომში „აზრები აღზრდის შესახებ“ ლოკი მემკვიდრეობასთან ერთად ასაბუთებს გარემოს დიდ როლს პიროვნების ფორმირების პროცესში, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობის მიხედვით განსხვავება ადამიანებს შორის იმდენად უმნიშვნელოა, რომ მის გაგლენას ადამიანზე მთლიანად

წარმართავს და ძლევს აღზრდა. აღზრდას იგი ხმარობს ფართო გაგებით, რაც გარემოსაც გულისხმობს.

ლოკის მოძღვრება, ეს აღზრდის ყოველსშემძლეობის თეორიაა, და იგი მთლიანად აღზრდის განუზომლად დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, დღევანდელი თვალთახედვით მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორი წარმართვის საფუძველია.

თანამედროვე პედაგოგიკა, რომელიც ეყრდნობა კლასიკურ საგანმანათლებლო მემკვიდრეობებს, საგანგებო ყურადღებას უთმობს ასაკობრივი პერიოდიზაციის პრობლემას. იგი ხშირად გამხდარა მეცნიერული კვლევის საგანი. მაგრამ დღემდე არ არის მიღწეული აზრის ერთიანობა ამ საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი პერიოდიზაციის საფუძველად საყოველთაოდ აღიარეს ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური განვითარების ერთიანობა. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი თავად ასაკის ზღვარი.

საგულისხმოა, რომ პედაგოგიკაში ასაკობრივი პერიოდიზაციისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მარტო წლების განსაზღვრის სხვაობით არ გამოიხატება. მასში გამოყენებულმა ტერმინოლოგიამაც განიცადა ცვლილება, არც თუ ისე შორეულ წარსულში იხმარებოდა ტერმინები „ჩვილი“, „ყრმა“, „ყმაწვილი“, „ჭაბუკი“, „მოწიფული“; დასახელებულ და სხვა ტერმინთა ხმარება შემთხვევითი არ იყო. მათ მისადაგებას ბავშვის ასაკისადმი საფუძველად ედო მათი ფიზიკური განვითარება, თუმცა ამ შემთხვევაშიც ხშირად დაუდგენელი იყო ასაკთაშორისი ზღვარი.

როგორც აღვნიშნეთ ასაკობრივი პერიოდიზაცია არა უბრალო ჩამონათვალია, არამედ საფუძველია იმ ტიპობრივი თავისებურებების დადგენისათვის, რომლებიც ყოველი ასაკის ბავშვს ახასიათებს, თანამედროვე პედაგოგიკაში ძირითადად მოქმედებს შემდეგი ასაკობრივი პერიოდიზაცია:

1. ჩვილობა – დაბადებიდან 1 წლამდე;
2. სკოლამდელის წინა ასაკი – 1 წლიდან – 3 წლამდე.
3. სკოლამდელი ასაკი – 3 წლიდან – 4 წლამდე.
4. საშუალო სკოლამდელი ასაკი – 4 წლიდან – 5 წლამდე.
5. უფროსი სკოლამდელი ასაკი – 5 წლიდან – 6 წლამდე.

6. უმცროსი სასკოლო ასაკი – 6 წლიდან – 10 წლამდე.
7. საშუალო სასკოლო ასაკი – 10 წლიდან – 15 წლამდე.
8. უფროსი სკოლამდელი ასაკი – 15 წლიდან – 18 წლამდე.

მოცემული ასაკობრივი პერიოდიზაცია პირობითია და იცვლება საგანმანათლებლო სისტემის შესატყვისად. უცვლელი რჩება თავად პრობლემა – ასაკობრივი თავისებურებების არსებობის და მათი გათვალისწინების აუცილებლობა, როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპისა.

ადამიანის ფსიქიკური განვითარებისათვის, მისი ცალკეული ფსიქიკური მოქმედების ჩამოყალიბებისათვის არსებობს ოპტიმალური ვადები, რომელთა დაკავშირება ასაკთან, სოციალურ გამოცდილებასთან, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ ზრდაზე.

ადამიანის განვითარების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფსიქიკა და სულიერო თვისებები იძენენ გამძლეობას, მუდმივობას, ინარჩუნებენ აღდგენით ფუნქციას. ადამიანის ფსიქიკური განვითარების შედეგად გამომუშავებული პირადი თვისებებით შეიძლება დადებითი გარემოს ზეგავლენით უკეთესობისაკენ შეიცვალოს და სწორედ ეს უდევს საფუძვლად აღმზრდელობით ზემოქმედებას.

ასაკობრივი პერიოდიზაციის შედეგებში არსებულ მრავალსახეობას განაპირობებს ის ვითარებაც, რომ ბავშვის ასაკობრივი თავისებურებანი ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, ბოლო წლებში სხვადასხვა ასაკისათვის დამახასიათებელმა თვისებებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა და გამოვლინდა განსაკუთრებით ბავშვის ფიზიკური განვითარების დაჩქარებაში.

ბავშვთა თითქმის ყველა ასაკში შეიმჩნევა ეს მოვლენა და გარდა ფიზიკური განვითარებისა. იგი ხშირად ფსიქიკური განვითარების დაჩქარებასაც იწვევს. მეცნიერები სხვადასხვა ახსნას აძლევენ ამ პროცესს. ბიოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს ბავშვის ორგანიზმის ნაადრევი ფიზიოლოგიური მომწიფების შედეგია, ფსიქოლოგები ამ მოვლენას ფსიქიკური განვითარების დაჩქარებას მიაწერენ. პედაგოგიკა კი ხსნის ამას ბავშვის სულიერი და სოციალური განვითარების ტემპით. მაგრამ მთავარ მიზეზებზე, საბოლოო პასუხი ჯერ არ არსებობს. თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს ახსნას ეს მოვლენა ცხოვრების ტემპის დაჩქარებით, მატერიალური პირობების გაუმჯობესებით.

აქსელერაციის მოვლენა ახალ და ურთულეს პრობლემებს უქმნის საზოგადოებას, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სფეროს, რომელიც ბევრ შემთხვევაში ვერ ართმევს თავს შექმნილ სიტუაციებს. დღეისათვის მთავარი გამოსავალი არის თავად ბავშვის ბუნების შეცნობა. მის ფსიქიკურ და სულიერ სამყაროში ჩაწვდომა. ამისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათდამი ინდივიდუალურ მიდგომას, ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას.

პედაგოგიკისათვის, ისევე, როგორც ფსიქოლოგიისა და ყველა სხვა დანარჩენი მეცნიერებისათვის, რომელთა კვლევის საგანი არის ადამიანი, ყურადღების ცენტრში ისევ ინდივიდია.

დიმიტრი უზნაძის განმარტებით, „ინდივიდუალობა ნაყოფია ადამიანის ცნობიერების რადიკალური შეცდომისა. ამიტომაცაა, რომ მეცნიერება ჭეშმარიტებას ეძებს და თავის ძებნაში მუდამ გაერეთიანების, ზოგადობის გზას ადგია. მკაფიო და განსაზღვრული დეფინიციის წამოყენება თუ არის საჭირო, იმ შემთხვევაში ჩვენ უკეთესი ფორმულა ინდივიდუალობის განმარტებისათვის მისი გენეზისის თვალსაზრისით ვერ მოგვინახავს, ვიდრე შემდეგი: ინდივიდუალობა არის ყოველი ძალა, მოთავსებული თვითცნობიერების ვიწრო ფარგლებში“ (დ. უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, გვ. 220).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველ ადამიანში ნიჭიერება ვლინდება, როგორც ინდივიდუალური და განუმეორებელი შემოქმედებითი, ინტელექტუალური, ფიზიკური თუ ემოციური თვისება. განსხვავება არის მხოლოდ მათ კონკრეტულ ინდივიდუალობაში, ხოლო საფუძველი იმაში, რომ ყოველი ადამიანის ნიჭიერებას განსაზღვრავს ბუნება და გენეტიკური კოდი. მაგრამ ხშირად ნიჭიერების გამოვლენისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა იწვევს ნიჭის განვითარების შეფერხებას. რაც უფრო უკეთესი პირობები იქნება ამისათვის, მით უფრო ადვილი ხდება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთა გამოვლენა ბავშთა მრავალრიცხოვან კოლექტივში.

**თავი II. ჯონ ლოკის კლასიციზმური კონცეფცია. ჯენტლმენის აღზრდის
შინაარსი და მეთოდები**

**§1. ჯონ ლოკის კლასიციზმური, აღზრდელობითი სისტემა ნაშრომის
„ფიქრები აღზრდაზე“ მიხედვით**

ა) ფიზიკური აღზრდა

XVI საუკუნის დასასრულს, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ინგლისი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრებით ხასიათდებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას ახდენდა განათლების სისტემაზე.

ისტორიული ეპოქის ამ მონაკვეთზე მოღვაწეობას იწყებს ფილოსოფიური, პედაგოგიური მეცნიერების წარმომადგენელი ჯონ ლოკი.

აღსანიშნავია მისი ნაშრომი: „ფიქრები აღზრდის შესახებ“, რომელიც მან 60-65 წლის ასაკში დაწერა. ეს იყო შედეგი მისი უკიდვრანო განათლებისა, ნიჭიერებისა, მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული შრომითი გამოცდილებისა. ჯონ ლოკის ამ შრომებში მოცემულმა მეცნიერულმა შეხედულებებმა, დასკვნებმა უარყო იმდროინდელი დოგმები შემეცნების საკითხების შესახებ. შემოიტანა ახალი ხედვა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის შესახებ.

„ჯანსაღი სული – ჯანსაღ სხეულში“ – ეს არის მოკლე, მაგრამ სრული ბედნიერება ამ ქვეყანაზე, – აღნიშნავს ლოკი. ადამიანის ბედნიერებაცა და უბედურებაც იქმნება თვით მის მიერ; ვისი სულიერი სამყარო ვერ მართავს საკუთარ თავს, გონივრულსა და მართებულ ცხოვრებისეულ გზას ვერასოდეს დაადგება, ხოლო, ვისი სხეულიც უსუსური და სუსტია, ვერ შეძლებს იმოდროს ამ მართებულ გზაზე“, – ხატონად მეტყველებს მოაზროვნე. იგი აღიარებს ბუნებით მომადლებული ძლიერი კონსტიტუციის მქონე ადამიანების არსებობას, რომლებიც ძლიერი სხეულითა და ამ სხეულის შესაბამისი სულით მისწრაფვიან იქითკენ, რათა გარდაქმნან ყოფიერება და გააუმჯობესონ ცხოვრება.

აღზრდად ჯონ ლოკი მოიაზრებს არა მხოლოდ სასკოლო აღზრდას, არამედ აღსაზრდელზე გარემოს ზემოქმედებასაც, რაც ეხმარება ადამის ძეს, რათა პიროვნებად ჩამოყალიბდეს. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს: ზემოქმედების სფეროში შედის არა მარტო ის, რასაც ადამიანი თავისთვის აკეთებს, არამედ ისიც, რასაც სხვები მისთვის აკეთებენ და რაც ხელს უწყობს ადამიანის სრულყოფას, ამავე დროს, ზემოქმედების სფეროში შედის კანონები. მმართველობის ფორმები, მატერიალური წარმოების ხელოვნება, კლიმატი, საცხოვრებელი პირობები და ადგილმდებარეობაც კი. აქვე იგულისხმება აგრეთვე შთაბეჭდილებები. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ინდივიდის, პიროვნების ჩამოყალიბებას. ლოკი აღნიშნავს: სულს შეუძლია წარმართოს ბავშვი ამა თუ იმ მიმართულებით ისევე, როგორც წყლის ნაკადს ძალუძს სხეულის ამა თუ იმ მიმართულებით წადება.

აღზრდის მიზნიდან (პიროვნების ჰარმონიული განვითარება) გამომდინარე, ჯონ ლოკი აყალიბებს აღზრდის ამოცანებს. მათ შორის პირველ ამოცანად დასახულია სხეულის ფიზიკური წრთობა. მისი შრომის ოცდაშვიდივე პარაგრაფი ფიზიკური აღზრდის პრობლემებს ეხება. მოაზროვნე პირველი რიგის ამოცანად სწორედ ადამიანის ჯანმრთელობის მიღწევას ასახელებს. ადამიანური ბედნიერების თავწყაროდ იგი ჯანმრთელობას, ძლიერ კონსტიტუციას ასახელებს. ფიზიკურად გამოწოთობილი სხეული აიტანს დადლილობასა და ავადმყოფობას, არ შეეპუება წინააღმდეგობებს, იოლად დაძლევეს მათ. შრომაში საუბარია იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ მშობლებმა, რათა შვილებს ჯანმრთელობა ექიმის ჩაურევლად შეუნარჩუნონ.

„ჯენტლმენები, – აღნიშნავს იგი, – უნდა ზრდიდნენ თავიანთ შვილებს ისევე, როგორც ფერმერები და წვრილი მიწათმფლობელები“. ეს კი გულისხმობს მკაცრ ფიზიკურ შრომას და გარჯას. ის მიუთითებს, რომ ხშირად მშობლები შვილებს არ ამზადებენ ცხოვრების სიძნელეთა გადასალახავად.

ჯენტლმენის აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად ლოკი მიიჩნევს აღსაზრდელთათვის ტემპერატურის მიზანშეწონილ რეგულირებას. „არ არის საჭირო, ბავშვებს მეტისმეტად თბილად ჩავაცვათ. ეს არც ზამთარშია საჭირო და, მით უფრო, არც ზაფხულში. ყმაწვილები იბადებიან ერთობ სათუთნი, ხოლო შემდეგ, მათი ცხოვრების მომდევნო ეტაპზე, საჭიროა მათი

გამოწრთობა, გაკაჟება, სიცივისადმი ამტანობის გამომუშავება". ამის მაგალითად ლოკს მოჰყავს ათენის ფიზიკური აღზრდის სისტემა, ე. წ. „სპარტანული აღზრდა“, რომელიც სიცივისადმი სხეულის მედეგობის გამომუშავებას ითვალისწინებს.

ამგვარი აღზრდის საფუძვლად მოაზროვნე სამართლიანად მიიჩნევს დაჩვევასა და ამოცანის თანდათანობით გადაწყვეტისა და განხორციელების მეთოდს. მოაზროვნე ასევე საჭიროდ მიიჩნევს სიცივისადმი სხეულის მიჩვევას და მოჰყავს მაღტის მაგალითი, სადაც აუტანელი, სულთამხუთავი სიცივია, არ იძვრის გამაგრებელი სიო. არადა, აქაურ გლეხებს არ ეშინიათ მზისა. ისინი არ ეპუებიან პაპანებას და მუშაობენ დღის ყველაზე ცხელ პერიოდში, მზის ბუნიობის პირობებში, თანაც შეუსვენებლივ. ამავე დროს, ისინი თავიანთ შვილებს თავიდანვე აჩვენებენ გარემო პირობებს და ამით სიცხემედეგებად ზრდიან.

ლოკი აღნიშნავს: ადამიანი ბუნებამ შემოსა თმით, რაც, სხეულის ბუნებრივი წრთობის ვითარებაში, სრულიად საკმარისია სიცივისაგან თავდასაცავად.

შემდეგი მეთოდი, რომელსაც ლოკი სთავაზობს მშობლებს, არის ცივ წყალში ფეხების ყოველდღე სისტემატური დაბანა და ფეხშიშველი სიარული, ასევე ისეთი ფეხსაცმლის ტარება, რომელიც წყალს გაატარებს. იგი აღნიშნავს, რომ ხელ-ფეხის სიცივისათვის შეჩვევა გამოწრთობის, გაკაჟების შესანიშნავი საშუალებაა და გამორიცხავს ფეხის გაციების შედეგად ორგანიზმის გაციებას. ზემორე მითითებული ამოცანის გადაწყვეტისას საჭიროა გონივრულად იქნეს გამოყენებული წელიწადის დრონი. კერძოდ, ფიზიკური წრთობის პირველი ცდები უნდა მოხდეს გაზაფხულობით. ამავე დროს, საჭიროა მკაცრად იქნეს დაცული წესი: თანდათანობით და თანამიმდევრულად მოხდეს წელის ტემპერატურის შემცირება.

წელიწადის დროებიდან პირველ საწვრთნელ დროდ გაზაფხულის არჩევა გამოწვეულია იმით, რომ ამ დროს იწყება დათბობა, შემდეგ მას მოსდევს ზაფხულის ცხელი დღეები, შემოდგომას კი ახლავს საკმაო სიგრილე, ხოლო ზამთარში, როცა უკვე ყინავს, ნორჩი ერთგვარად გამოწრთობილია და ცივი წელის ზემოქმედებას დაჩვეულია.

ჯონ ლოკს მოჰყავს სენეკას, პორაციუსის, გერმანელი და შოტლანდიელი დედების მაგალითები, რომლებიც აღნიშნულ მეთოდს მეტად აქტიურად იყენებდნენ. „თვით სენეკა მოხუცებულობის დროს წყაროს წყალში ბანაობდა“-აღნიშნავს მოაზროვნე.

ფიზიკური წრთობის ამ მეთოდს მეცნიერი პიროვნების გაკაჟების საუკეთესო პირობად მიიჩნევს.

– დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლოკი ცურვას. მას მოჰყავს რომაელების მაგალითი და დასძენს, რომ საჭიროა ამ მეთოდის გამოყენებისას დაცული იქნეს აუცილებელი წესი. ამ მეთოდის მომარჯვებისას რომაელები, – აღნიშნავს იგი, – ბაძავდნენ ბერძნებს. ბერძენთა შორის კი დაკანონებული იყო: ყოველ ადამიანს უნდა სცოდნოდა კითხვა და ცურვა. ეს ორი უნარი თანაბარდირებულად ცხადდებოდა.

➤ სიცივისა და სიცხისადმი მედეგობის გამომუშავება, – მიუთითებს ჯონ ლოკი, – საჭიროა დავიწყოთ ბავშვობის ასაკიდან. აქ მთავარ როლს ასრულებს სუფთა ჰაერი. ბავშვმა, სასურველია, რაც შეიძლება მეტი ხანი დაჰყოს ჰაერზე, ხოლო ზამთარში მოვარიდოთ სითბოში ყოფნას.

ლოკის მიხედვით, ფიზიკური წვრთნის დროს ყმაწვილმა უქუდოდ, რაც შეიძლება, მეტი უნდა ირბინოს სუფთა ჰაერზე.

შემდეგ ლოკი ეხება მოზარდის ფიზიკურ წვრთნას. იგი თვლის, რომ უარყოფითი ქცევა შესაძლებელია ჩვევად იქცეს, თუ იგი არ აღკვეთეთ. საჭიროა ასეთი მიუღებელი ჩვევები მანამ აღმოფხვრათ, სანამ ძვალსა და რბილში არ გაუფრდება აღსაზრდელს. ასაკის ზრდასთან ერთად ბავშვს სულ უფრო და უფრო მეტი თავისუფლება უნდა მივანიჭოთ, ოღონდ ეგ უნდა მოხდეს ადრეულ ასაკში მისი ქცევის სათანადო კალაპოტში ჩაყენების ბაზაზე. ამ შემთხვევაში მოზარდი იგრძნობს, რომ იგი პიროვნებაა, რომ იგი საკუთარ თავს ეკუთვნის. ამ გზით გარკვეულ ასაკში მას ჩამოუყალიბდება საჭირო ჩვევები.

კეთილშობილური და აუცილებელი ქცევების გამომუშავებაში ვარჯიში გულისხმობს ამ ქცევათა მრავალგზის განმეორებას (ჩვენი აზრით, განმეორება ვარჯიშსაც მოიცავს). ჯონ ლოკი ამგვარ ვარჯიშობას თვლიდა ბავშვის პრაქტიკის მთავარ საფუძვლად, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ქცევებს ჩვევად გადააქცევს.

ლოკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა ტანსაცმლის რაგვარობას. მისი აზრით, სამოსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხეულის ფორმირებაში. ბავშვის ტანსაცმელი უნდა იყოს თავისუფალი, კარგად მორგებული, მოქნილი. გოგონები არ უნდა შევბოჭოთ ათასგვარი თასმებითა და კორსეტებით, რამდენადაც შემოჭერილი ქსოვილი სისხლის თავისუფალ მიმოქცევას აბრკოლებს და არღვევს სხეულთა ნაწილების პროპორციებს.

ჯონ ლოკი უარყოფს მოზარდებისათვის ხორცის საკვებად მიწოდებას 2-3 წლის ასაკამდე (გარდა ამისა, მოითხოვს შეძლებისდაგვარად მსუბუქ კვებას), ხოლო, თუ მაინცდამაინც გამოიყენებენ ხორცს, მაშინ იგი სასურველია მოხმარებულ იქნეს ყოველგვარი სანელებლების გარეშე. სასურველია ბავშვმა მიიღოს რუხი პური. ყოველგვარი სხვა დამატებითი საკვები არ არის სასურველი. პური მოზარდს უნდა მიეწოდოს დილით და საღამოს. ვახშმად სასარგებლოა რძის დაღვევა. როგორც ვხედავთ, კვების რეჟიმს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყველაზე სასარგებლო საუზმედ იგი მიიჩნევს რუხ პურს კარაქსა და ყველთან ერთად და, თუ მოზარდი მაინც მოითხოვს გათვალისწინებულზე მეტ საკვებს, სასურველია, მიეცეთ მხოლოდ პური.

„საჭიროა ბავშვში პურისადმი სიყვარული გაავლევით, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – ეს შესანიშნავი ჩვევაა და, საერთოდ, ადამიანებს უყვართ ის, რასაც აჩვევენ. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ჩვევები უვითარდებათ მათ კვების დროს“.

ლოკი მსუბუქი კვების მომხრეა. ამგვარი კვება ორგანიზმს ჯანმრთელობას უნარჩუნებს, ჭარბი რაოდენობით საკვები კი იწვევს ორგანიზმის გადატვირთვას, სისხლის აჩქარებულ მიმოქცევას (მაგალითად მოჰყავს სენეკა, ავგუსტინე. ავგუსტინეს წერილებიდან ცნობილია, რომ იგი სიამოვნებით მიირთმევდა პურსა და ფინიკს ან ქიშმიშს. კეისარი ხშირად საუზმობდა ღვინოში ჩამბალი პურით. სადილად მიირთმევდა კომბოსტოს, ცივად მოხარშულ ხორცსა და თევზეულს).

ლოკს დასაშვებად მიაჩნია, თუ ბავშვებს ზომიერად დააღვეინებენ ისეთ სასმელს, როგორცაა ლუდი. რასაკვირველია, ჩვენ ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ცნობილია ძველი ბერძნების ადათ-ჩვევები, როდესაც ისინი ბავშვებს ღვინოს

ასმევედნენ. ეს გადმოცემულია ფენიქსის მონათხრობში, სადაც აქილევსის აღზრდის ამბავია აღწერილი, მაგრამ პლატონი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, თვრამეტი წლის ასაკამდე ყმაწვილს ალკოჰოლური სასმელები არ უნდა გაეგაკაროთ.

ცალკე განიხილავს ჯონ ლოკი კვების რეჟიმს და აღნიშნავს, რომ არ არის საჭირო, მკაცრად განისაზღვროს კვების დრო და საათიო.

ლოკს კვება ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია დილის საათებში, რადგან სწავლა – ცოდნის შეთვისება უფრო იოლია დილით, ხოლო მშვიერ კუჭზე სწავლის პროცესი არამიზანშეწონილად წარიმართებაო. მშრალი პური მას ყველაზე მიმზიდველ საკვებად დაუსახავს. ჯენტლმენის აღზრდა, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან (იარაღის ტარება, ჯარისკაცული ცხოვრება), მოითხოვს სხეულის სიმსუბუქეს.

ჯ. ლოკის ეს დებულებები გვაფიქრინებს, რომ იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამოქალაქო ომის პერიოდში, როცა ინგლისში მოსახლეობას სოციალურად უჭირდა (მსგავსი შეხედულებებია გადმოცემული რუსოს „ემილში“).

ლოკი თვლის, რომ გაუმართლებელია კვების რაციონიდან გამოირიცხოს ხილი, მაგრამ ამ საკითხზე ის ერთობ თავისებური შეხედულებისაა. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „ხილი არის არასასურველი ბავშვთა ჯანმრთელობისათვის, რადგან ისინი ვერ არჩევენ კარგს ცუდისაგან და ისე იყენებენ მას საკვებად. იგი მენიუდან საერთოდ გამორიცხავს ნესვს, ატამს, ქლიავს, ყურძნის ყველა იმ ჯიშს, რომელიც ხარობს ინგლისში (აქ საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ხილი ინგლისში ცუდად მწიფდება). სამაგიეროდ საკვებად აღიარებს ვაშლს, დამწიფებულ ხენდროს, მოცხარს, ალუბალს.

მაგრამ ამ ხილეულის მოხმარებისას იგი გვთავაზობს შემდეგი წესების დაცვას:

1. ნუ შევთავაზებთ ბავშვს ხილს, როცა იგი დანაყრებულია. სასურველია ხილეულის მიღება ჭამის წინ ან საუზმეზე;
2. ხილი ბავშვებს პურთან ერთად უნდა მივცეთ.

ჯონ ლოკი, როგორც დახელოვნებული ექიმი, ერთობ ღრმად ფლობს თავისი პროფესიის ყველა საიდუმლოს, ყველა ნიუანსს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბრობს ბავშვების კვების შესახებ.

მოაზროვნე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაშლის მიღებას. მისი აზრით, ვაშლი ხილეულში ცენტრალურ ადგილს უნდა იკავებდეს.

ბავშვის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია მშვიდი მოსვენება. ერთნაირად მანებელია როგორც ხანგრძლივი ძილი, ისე უძილობა. დღე-ღამის, ე. ი. 24 საათის, განმავლობაში 7-დან 14 წლის ასაკის მოზარდს უნდა ეძინოს 8 საათს, მაგრამ აქ არ შეიძლება მკაცრი ნორმის დაწესება, რადგან ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს ბავშვის კონსტიტუცია და ტემპერამენტი. მან უნდა იძინოს იმდენი, რამდენიც ორგანიზმის სრული დასვენებისა და ენერჯის აღდგენისთვისაა საჭირო. გამოდვიძების წუთები უნდა იყოს მშვიდი, უშფოთველი. „მოზარდის საწოლი არ უნდა იყოს რბილი“, – აღნიშნავს ლოკი. იგი გულისხმობს შემდეგს: ნორჩის ხერხემალი ჯერ კიდევ გაუმადრებელია, ხოლო რბილი და ფუმფულა ლეიბი ამ ნორჩ ხერხემალს გაამრუდებს.

და ბოლოს, ნაშრომში მითითებულია ბავშვის ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ძირითადი საშუალებები: სუფთა ჰაერი, ვარჯიში, მშვიდი ძილი, მარტივი საკვები, სამკურნალწამლო საშუალებათა შეზღუდვა, გრილი და თავისუფალი ტანსაცმელი, თავისა და ფეხების ხალვათად შემოსვა, ფეხების ცივ წყალში დაბანა.

სწორად დაყენებული ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს მამაცობისა და გამძლეობის გამომუშავებას. “ჯენტლმენი ისე უნდა იყოს აღზრდილი, რომ მას ყოველთვის შეეძლოს აისხას იარაღი და გახდეს ჯარისკაცი”.

ბ) ბონებრივი აღზრდა

ბონებრივი აღზრდის ამოცანა, მართალია, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის შემდეგ არის დასმული ჯონ ლოკის პედაგოგიურ სისტემაში, მაგრამ ამით არ მცირდება მისი მნიშვნელობა. ჯონ ლოკი წერს: „მე სრულიადაც არ ვუარყოფ, რომ მეცნიერებათა შესწავლა ხელს უწყობს ადამიანებში სათნოებისა და სიბრძნის განვითარებას, კარგი სულიერი მონაცემებით, მაგრამ

უნდა დავეთანხმოთ იმასაც, რომ სხვა ადამიანებში არა აქვთ ასეთი მონაცემები, მათ მივყავართ მხოლოდ იქითკენ, რომ ისინი ხდებიან კიდევ უფრო სულელ და ცუდ ადამიანებად“, რამდენადაც სწავლა ჯენტლმენისათვის აუცილებელია, მაგრამ იგი მეორე პლანზე დგას, ჯონ ლოკის მიზანია, რომ მისი განხორციელება შეიძლება დაიწყოს მაშინ, როდესაც უზრუნველყოფილია ხასიათის განვითარება, როდესაც ბავშვს ჩავუნერგავთ ზნეობრიობისა და მორალის საფუძვლებს, როდესაც განვუვითარებთ მას კეთილ საწყისებს და აღმოვფხვრავთ მასში ცუდ მონაცემებს.

ჯონ ლოკი დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებში აღნიშნავს: ადამიანები რომ ერთურთისაგან ზნეობითა და უნარებით განსხვავდებიან, ეს გამომწვეულია აღზრდით (ამ შეხედულებას იზიარებდა მისივე მოწაფე ჰელვეციუსი). აღზრდაში იგი გულისხმობდა ფართო სპექტრს: მასწავლებელს, გამზრდელს, მშობლებს, შეგროძნებებს, მოზრდილობისას მმართველობის ფორმებს, საზოგადოებრივ წესებს, ქვეყნის რელიგიას, სიმდიდრესა და სიღარიბეს, მეგობარსა და სიყვარულს

ჯონ ლოკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის სულიერ ფორმირებას, რასაც განაპირობებს აღზრდის პროცესის რაგვარობა და ხარისხი.

„სხეულის ფიზიკურ ძლიერებას საფუძვლად ედება ცხოვრებისეულ ნაკლოვანებათა ამტანობა, მსგავსადვე ყალიბდება ადამიანის სულიერი სიმდიდრეც“.

პიროვნების ღირსებად იგი ასახელებს ძლიერ სულიერებას, როდესაც ადამიანი გონების გაუკონტროლებლად არ ახორციელებს არც ერთ ქცევასა და მოქმედებას (რა ძლიერიც არ უნდა იყოს ლტოლვა ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენისადმი).

ადამიანის სულიერება ყალიბდება თანდათან, – აღნიშნავს ჯონ ლოკი. – პატარაობიდანვე ბავშვისადმი შემწყნარებლობა, კერძოდ, ჩადენილი დანაშაულის პატიება, იწვევს უარყოფითი ჩვევის ჩამოყალიბებას, რისი გამოსწორებაც, ხშირ შემთხვევაში, მშობლებს უძნელდებათ. მოზარდში ვითარდება თავაშვებულობა, თვითნებობა, უსაგნო თავდაჯერებულობა, საკუთარი ქცევის არაობიექტური, ტენდენციური შეფასება და ა. შ. მაშასადამე, ჩვევები (უარყოფითი თუ დადებითი) ბავშვობის ასაკში ყალიბდება, ხოლო

ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვევის აღმოფხვრა რთული პროცესია, თითქმის, შეუძლებელიც. ამგვარად აღზრდილი (სინამდვილეში აღზრდილი) 14-20 წლის ყმაწვილები მშობლებთან დათმობაზე ძალიან ძნელად მიდიან. ისინი ვერ თმობენ პრივილეგიებს. საბოლოოდ მათ უყალიბდებათ რთული ბუნება. ისინი ხასიათდებიან თვითნებობით, გადაჭარბებული სიამაყის გრძნობით, პრეტენზიულობით, სურთ, მართონ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ სხვა ადამიანებიც.

„ჩვენ ცუდად ვზრდით ნორჩებს და მათგან ველოდებით კარგად აღზრდილ მოზარდებს“, – აღნიშნავს ჯონ ლოკი.

შრომის ეს ნაწილი ყურადღებას იქცევს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, კონკრეტული, შთაგონებული პედაგოგიური დებულებებით, იდეებით, შეხედულებებით. ნიმუშად მოვიყვანოთ ზოგი იდეა და დებულება:

1. ჰქონდეთ ასაკთან შესაბამისი სურვილები – ეს ჯერ კიდევ არ არის დიდი უბედურება. უბედურებაა, როცა მათ ვერ უმორჩილებენ გონივრულობის საზღვრებსა და წესებს;
2. მთავარია სურვილთა მართვის უნარის ქონა;
3. ახალგაზრდა, რომელიც მიუჩვეველია, დაუმორჩილოს საკუთარი ნება სხვათა კეთილგონიერ რჩევას, ხანდაზმულობისას საკუთარი გონების ხმასაც არ მოუსმენს;
4. ბავშვებში უარყოფითი თვისებების გამოვლინება უფროსების (მშობელთა, აღმზრდელთა) მიერ ჩაგდებული (ნებისითი თუ უნებლიე) უარყოფითი თესლის ბრალია.

აღნიშნულის დასტურად მოაზროვნეს მოჰყავს ბავშვთა ფიზიკური შეურაცყოფის, მათ მიმართ გამოყენებული ძალადობის მაგალითები. ბოლოს დაასკვნის: ყველაფერი ეს მოზარდს უყალიბებს სხვათა მიმართ უპატივცემლობას, უხეშობას, ძალადობას და სხვა უამურ თვისებებს.

განსაკუთრებით გმობს ლოკი მოზარდის კეკლუცობისადმი სწრაფვას, ჩაცმულობისადმი გადამეტებულ ინტერესს. იგი განმარტავს: ჩაცმულობა განსაზღვრავს ადამიანის გარეგნულ იერს და არა ადამიანის შინაგან ბუნებას. იგი მთელი სიმკაცრით აკრიტიკებს მშობლებს, აღმზრდელებს, რომელნიც დროულად არ ზრუნავენ ბავშვებში მანკიერი უნარ-ჩვევების

აღმოფხვრაზე, არ აქვთ უნარი, დაინახონ მათში ისეთი ზადი, როგორცაა მლიქვნელობა. ცრუპენტელობა, მახეზდარობა.

შრომის მომდევნო მონაკვეთში საუბარია მომთხოვნელობაზე. სურვილების შესრულებაში გონების მონაწილეობა აუცილებელია. ამ უნარის გამომუშავების პირველ საფეხურად ავტორი მიიჩნევს ბავშვობის საწყის პერიოდს და საჭიროდ თვლის, რომ მშობლებმა და აღმზრდელებმა იზრუნონ, აღსაზრდელებში ჩამოაყალიბონ უნარი, მართონ საკუთარი თავი და უარი თქვან მავნე სურვილებზე. ნორჩთან ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ მოზრდილობის ასაკში მყარად იცოდეს: ყველა სურვილისა და წადილის შესრულება უარყოფით შედეგს იძლევა. ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ ატმოსფეროში, ნორჩის გაუღიზიანებლად, აღსაზრდელისა და უფროსების ურთიერთგაგების ვითარებაში. ეს კი მას გამოუმუშავებს ზომიერების გრძნობასა და მოკრძალებას.

მოაზროვნის ზოგი თანამედროვე, მაგ.: გ. მოლინე, 1693 წ. აგვისტოში ასე მიმართავდა ჯონ ლოკს (იგი მისი შრომის რეცენზენტი იყო): თქვენი მოსაზრებები და მსჯელობები ერთობ ძნელ და მკაცრ პირობებში აყენებს მოზარდებსო. რეცენზენტი ფიქრობდა: მშობელთა და შვილთა ურთიერთობაში ასე მკაცრი წესების დაცვა გამოიწვევს გაუგებრობას, მათ შორის გააჩენს სიცივეს, თავისუფლების შეზღუდვის ატმოსფეროს, მათ შორის არსებულ ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებას დაარღვევს, მათი გულუბრყვილო სურვილების შეუსრულებლობით ითრგუნება მოზარდის მისწრაფებანი და ფანტაზიაო.

ჯონ ლოკი თვლის: ბავშვის სურვილების შესრულებაზე უარის თქმას გასამართლებელი მიზეზი და მყარი საფუძველი უნდა ჰქონდეს. უარი არ უნდა იწვევდეს ნორჩის გაღიზიანებას, გაბოროტებას; მოტივირებული უარის შემთხვევაში ყმაწვილი აცნობიერებს და იჯერებს უფროსთა მითითებებს.

თანამედროვეები აღნიშნავენ: ჯონ ლოკის ეს შეხედულებები შემუშავებულია მისი ოჯახის ტრადიციების საფუძველზე. გარდა ამისა, მოაზროვნე მოითხოვს, ბავშვებს ადრეული ასაკიდან ასწავლონ მოკრძალება, თავაზი, პატივისცემა. საამისოდ საკმაოდ მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო.

სამაგიეროდ, მოზარდობის ასაკში სასურველია, მშობლებმა შეილებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ.

„შიში და მორჩილება უმცროს ასაკში, ხოლო სიყვარული და მეგობრობა მოზრდილობისას შექმნის შეილებსა და თქვენს შორის ჰარმონიული ურთიერთობის ატმოსფეროს“.

დასჯის შესახებ

მეტისმეტად მკაცრ დასჯას მეტისმეტად ცოტა სიკეთე მოაქვს აღზრდის პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. „ბავშვები, რომლებიც ხშირად ისჯებიან, არ იზრდებიან კარგ ადამიანებად“, – აცხადებს მოაზროვნე. მისი აზრით, ყოველივე ეს იწვევს სიძულვილს და ახშობს სიყვარულის გრძნობას. უმცროს ასაკში იგი მოითხოვს სიმკაცრეს, ხოლო აღზრდის გარკვეულ ეტაპზე, მოზრდილობისას, მკაცრი ურთიერთობის თანდათან შერბილებას.

გარდა ამისა, დიდი პედაგოგი მშობლებსა და აღსაზრდელებს მიუთითებს:

1. თუ მოზარდის სული დათრგუნულია მკაცრი მოპყრობით, ის კარგავს საკუთარი თავის რწმენას. ასეთ ბავშვებს არა აქვთ თავისუფალი მოქმედების უნარი და, შესაბამისად, უჭირთ მიზანდასახული გადაწყვეტილებების მიღება. ისინი შინაგანად შეზღუდული არიან.

„აღმზრდელები, რომლებიც უქმნიან ბავშვებს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას, მათი მიდრეკილებისა და სურვილების მიზანმიმართული, სწორი განვითარების მიზნით, შეიძლება ითქვას, სწვდებიან ჭეშმარიტი აღზრდის საიდუმლოს და ფლობენ აღზრდის ხელოვნებას“.

2. ამავე დროს, აუცილებელია, - აღნიშნავს ჯონ ლოკი, - ბავშვებში საკუთარი თავის ფლობის უნარის გამომუშავება უმცროსი ასაკიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ყმაწვილს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ გაუწევს წუთიერი სიამოვნების ცდუნებას, ჭეშმარიტი კეთილქმედების საყრდენი გამოეცლება და უვარგის ადამიანად ჩამოყალიბდება.

პედაგოგიკაში საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს დავა და კამათი ისეთი მეთოდის მიმართ, როგორიც არის დასჯა. დღესაც ეს პრობლემა ხშირი და პრინციპული კამათის საგანია. ზოგი ამ საკითხს საერთოდ უგლის გვერდს

და ამის შედეგია, ის რომ მთელ რიგ პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში დასჯის მეთოდი საერთოდ არ მოიხსენიება, რაც უმართებულოა, რადგან ეს მეთოდი ფაქტობრივად არსებობს. დასჯა არის მოსწავლის პიროვნებაზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც გამოხატავს მისი საზოგადოებრივი ქცევის ნორმების საწინააღმდეგო მოქმედებისა და ქცევის დაგმობას და აიძულებს მას განუხრელად დაიცვას ისინი. დასჯამ მოსწავლე უნდა დაარწმუნოს თავის შეცდომაში. შეაგნებინოს არასწორი ქცევის მოსალოდნელი შედეგი. თანატოლთა მისდამი დამოკიდებულების შეცვლის განცდა და სხვა. თავად ტერმინი „დასჯა“, რომელიც დამნაშავეს და მის დასჯას გულისხმობს, ნამდვილად არაპედაგოგიურად ჟღერს. პიროვნებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას ეჭვის ქვეშ აყენებს. ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა ასეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „გაკიცხვა“, „დაძრახვა“, „დაგმობა“, რადგან ისინი უმეტესწილად არა ერთპიროვნული, არამედ კოლექტიური აზრის გამოხატვას გულისხმობენ და მოსწავლეზე მეტ ზეგავლენასაც ახდენენ. მას მეტი პასუხისმგებლობის გრძნობასაც აღუძრავენ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელს, სკოლის სხვა მუშაკს, განსაკუთრებით მშობელს უფლება არ ჰქონდეს პირადად გააკიცხოს, დაძრახოს ან დაგმოს ბავშვის მიუღებელი ქმედება. გააკიცხვის, დაძრახვის ან დაგმობისას შესაძლებელია ისეთი ფორმების გამოყენება, როგორც არის შენიშვნა, პედაგოგიურ საბჭოზე დაბარება, საყვედურის გამოცხადება, სხვა კლასში ან სკოლაში გადაყვანა, მისდამი დამოკიდებულების გამორჩეულად შეცვლა და სხვა. კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ფიზიკური დასჯა, შვილის საჭმლის გარეშე დატოვება. რაც ბავშვს ფიზიკურ ტკივილს მიაყენებს. საერთოდ მოსწავლე მაქსიმალურად უნდა დავიცვათ მორალური ტკივილისგანაც, დასჯის შემდეგ უნდა შეიქმნას (მოსწავლის და კოლექტივის მიერ) სინანულისა და იმის განწყობა, რომ მომხდარი არ განმეორდება. ეს კი მხოლოდ შესაძლებელია სამართლიანობის დაცვით.

დასკვნაში აღნიშნულია: ბავშვი გადამეტებული სიმკაცრისა და მათრახის შიშით ეჩვევა მონურ მორჩილებას და სულ მცირედი თავისუფლების ატმოსფეროს შექმნისას პროტესტის ნიშნად იწყებს ნეგატიურ ქმედებებს.

დასახუქრება

შრომის ამ ნაწილში საუბარია მიზანშეუწონელი წახალისების შესახებ, კერძოდ, ეს ეხება ლამაზი ტანსაცმლით, ფულით ან სხვა რაიმეთი ნორჩის დასახუქრებას. სამაგიეროდ, საჭიროდ არის მიჩნეული დამსახურებული დასახუქრება. ბავშვმა კარგად უნდა იცოდეს, რატომ არის დასახუქრებული ან რატომ დაისაჯა. შრომაში ეს ორი მეთოდი განხილულია წახალისებისა და სტიმულის ორ მხარედ, რომლებიც ერთმანეთს განსაზღვრავენ და განაპირობებენ. ისინი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდნენ მდგომარეობას, სიტუაციას და ჭეშმარიტი, სწორი გადაწყვეტილებების გაცნობიერებას.

აღზრდის პროცესში ხშირად უნდა ავხსნათ, თუ შეიძლება ეს და არ შეიძლება ის, რატომ ვაჯილდოებთ ერთს და ვსჯით მეორეს. ლოკი აღნიშნავს: ბავშვები უფრო ადრე გრძნობენ, ვიდრე ჩვენ გვგონია, როდის არიან დასასჯელნი თუ წასახალისებელნი; მათ ძალიან აინტერესებთ უფროსების, აღსაზრდელების შეხედულება, თუ რას წარმოადგენს თავად! ამ დროს მეტად მნიშვნელოვანია სწორი რეაქცია, ზომიერი წახალისება. მათთვის ისიც მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების გამოტანისას ერთი აზრი აქვთ თუ არა მშობლებსა და ოჯახის დანარჩენ წევრებს.

აღზრდელები იმარჯვებენ, თუ ბავშვი უფროსილდება თავის რეპუტაციას, ავტორიტეტს და ქმნის საკუთარ მეობას. ეს კი იმის მძლავრი საფუძველია, რომ პატივისცემით განეწყონ საკუთარი პიროვნებისადმი.

ჯონ ლოკი მნიშვნელოვან საქმედ თვლის ბავშვში სირცხვილის გრძნობის გამომუშავებას, რადგან იგი ხელს უშლის უარყოფითი ქცევების აღმოცენებასა და განმტკიცებას. აღზრდელმა სათანადო შეფასება უნდა მისცეს მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო დანაშაულს, მისი უარყოფითი ქცევა გაუანალიზოს აღსაზრდელს. ყოველივე ამას ბავშვი გულწრფელ მონანიებამდე მიჰყავს. ლოკი ახდენს მონანიებისას ბავშვის შინაგანი განცდების დიფერენციაციას.

შრომაში აგრეთვე საუბარია მოზარდთა ჩამოყალიბებაში თამაშის დიდ მნიშვნელობაზე. მოზარდონე აღზრდელებს მიუთითებს, რომ ყველაფერი,

რასაც ისინი აკეთებენ, საჭიროა მიმდინარეობდეს თამაშისა და გართობის სახით. „თამაშთან შეზავებული შრომა აღზრდის აუცილებელი პირობაა“.

თამაშის ელემენტების მომარჯვებით შესაძლებელია სწავლისადმი ინტერესის გაძლიერება. ყოველგვარი შრომა, სწავლა, როცა ის თამაშითა და სიამოვნებით სრულდება, ბავშვისთვის საინტერესო და აზრიანი ხდება. ამიტომაც არის საჭირო თამაშის გონივრული გამოყენება მოზარდის აღზრდისა და განვითარების სარუდუნო საქმეში.

წესების შესახებ

წესების განუხრელად აღსრულება, ჯონ ლოკის მიხედვით, ჩვევების გამომუშავების საუკეთესო საშუალებაა. წესების გამუდმებით დაცვისას, ვარჯიშისა და გამეორების პროცესში ხდება საუკეთესო ჩვევების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს არა მექანიკურ პროცესს, არამედ გონებრივ განსჯას, უნარ-ჩვევების გამოსამუშავებელი მოქმედების სისტემატურ შესრულებას. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი ქცევების წახალისებას. არ არის აუცილებელი რამდენიმე წესის ერთდროულად შესრულება. წესების ათვისება საჭიროა ხდებოდეს წყნარ და მშვიდ ვითარებაში.

ჩ ვ ე ვ ე ბ ი

როგორც უკვე აღნიშნული იყო, არ არის საკმარისი წესების მხოლოდ თეორიული ცოდნა, – აღნიშნავს ჯონ ლოკი. აუცილებელია თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება, ცხოვრებისეულ სიტუაციებში მისი გამოყენება. დაუშვებელია ერთდროულად რამდენიმე ჩვევის გამომუშავება. ეს უნდა ხდებოდეს აღმზრდელთა ზედამხედველობით და თანაც ნაბიჯ-ნაბიჯ, გადაუტვირთავად, გამეორების საფუძველზე. ვინც ბავშვებთან მუშაობს, უნდა იცოდეს ნორჩთა გონებრივი შესაძლებლობა, ნიჭი, ბუნება, გრძნობდეს, რა უფრო მისაწვდომი და შესაძლებელია მათთვის.

„თითოეული მოზარდის ბუნებრივი ნიჭიერებიდან უნდა გამოვწუროთ შესაძლებლობების მაქსიმუმი“.

მოაზროვნე აღმზრდელს ადარებს მებაღეს, რომელმაც ვერ შეძლო მთელი ბაღის მოვლა ანდა, უკეთეს შემთხვევაში, შეძლო ერთი რომელიმე მცენარის სათანადოდ მოვლა-პატრონობა.

მიმართვაში – მანერები – ცეკვაში

ჯონ ლოკი კეთილშობილური მანერების გამოსამუშავებლად უფრო მნიშვნელოვნად თვლის არა წესებს, არამედ პრაქტიკულ მაგალითს. ამ თვალსაზრისით იგი დიდ როლს ანიჭებს ცეკვას, მისი სწავლების პროცესს. „კეთილგანწყობისა და კეთილი სურვილების მატარებელი ადამიანის მანერები, მიმართვისას მათგან გამოსატული პატივისცემა და მოკრძალება კარგი მანერების შეთვისებისა და მომარჯვების საფუძველია“, – აღნიშნავს ლოკი.

უმცროსი ასაკის ნორჩებში, მისი აზრით, ყოველივე ეს შედარებით მოუწესრიგებელია, მაგრამ აღზრდის საფუძველზე თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. აღნიშნულზე ზრუნვა კი სასურველია, პატარაობიდანვე დაიწყოს. მოზარდი უნდა ფლობდეს თავის დაჭერის უნარს, რაც გამოიხატება სათანადო მიმართვებითა და დახვეწილი მანერებით. ამ საკითხში ლოკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახსა და გარემოს, სადაც აღსაზრდელი იზრდება.

სოციალური ჯგუფი

/„კამპანია“/

ბავშვის ძირითადი სოციალური ჯგუფი უნდა იყოს ოჯახი, სადაც ხდება მისი ფორმირება. მთავარია მშობლები და არა გადიები. ამისათვის მას ოჯახში უნდა შეექმნას კეთილგანწყობითი გარემო და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო ასაკის შესაფერისად სასურველი ატმოსფერო.

ოჯახური აღზრდის უპირატესობა

ჯონ ლოკი მშობლების საყურადღებოდ აღნიშნავს: აღსაზრდელებმა უნდა იცოდნენ საზოგადოებაში გამეფებული ნეგატიური თვისებებისა თუ მოვლენების შესახებ. ეს ცოდნა მათ იმაში გამოადგებათ, რომ გამოუცდელი გამო აღვილად არ მოექცნენ ზნეობრივად მიუღებელი თვისებების მქონე პიროვნების ზეგავლენაში.

ლოკის თანამედროვეთა, კერძოდ, ტ. სმიტისა და ი. ტეილორის კომენტარი მის შეხედულებებსა და იდეებზე ასეთია: სმიტი ამბობს, რომ ყმაწვილები, განსაკუთრებით ვაჟები, საზოგადოებრივ სკოლებში აკვირდებიან ადამიანის ხასიათს, რაც მიზანშეწონილიაო.

ისააკ ტეილორი კი თავის შეხედულებას შემდეგნაირად გვაწვდის: ოჯახური აღზრდა უმთავრესია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სწავლის პროცესი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულებების მჭიდრო კავშირი, მეორე ის, რომ სწავლების მეთოდები და მისი შინაარსი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ნიჭიერებას და მისწრაფებებს, რაც, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვანია; მესამე ის, რომ ამგვარ სწავლა-აღზრდაში გამორიცხულია დესპოტიზმი. იგი ემორჩილება კონტროლს და საღი აზრის დამკვიდრების მაქსიმალურ შესაძლებლობას ქმნის. მეოთხეც, საჯარო სწავლება აჩქარებს, ხოლო ოჯახური აღზრდა კი შედარებით ანელებს მოზარდის განვითარებას.

ვფიქრობთ, ი. ტეილორის ეს ბოლო დებულება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მისი ავტორი საკმაოდ კრიტიკულად უდგება საოჯახო თუ საზოგადოებრივ სკოლებში მოზარდთა სწავლებისა და აღზრდის პრობლემებს. უფრო მეტიც, იგი ასაბუთებს, რომ ვაჟებისთვის აუცილებელია, შეაფასონ თავიანთი დონე სხვებთან შედარებით. საოჯახო აღზრდის პირობებში მოზარდის სულიერი სიწმინდის შენარჩუნების, რელიგიურობის, გულწრფელი და მაღალი ღირსების მატარებელი ადამიანების ჩამოყალიბების მეტი შესაძლებლობაა.

ხშირ შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა ჯონ ლოკი. მისთვის ძნელი წარმოსადგია, თუ რა სასარგებლო თვისებები უნდა შეიძინოს

ახალგაზრდამ სკოლის ამხანაგთა იმ წრეში, რომელთა მშობლები ხშირად მიუღებელი მსოფლმხედველობისანი არიან. სწავლებისა და აღმზრდელი პროცესის მიზანმიმართული წარმართვისათვის, – აღნიშნავს იგი, – საკმარისია 2-3 აღსაზრდელი. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვების რაოდენობა მეტია, – აღნიშნავს იგი, – შესაძლებელია მოსწავლემ აითვისოს იმის მინიმუმი, რაც მოცემულია სასწავლო წიგნებში, ხოლო მსგავს პირობებში, მოზარდთა სულიერ აღზრდას, ღირსეული მანერების მქონე პიროვნების ფორმირებას, იგი სრულიად შეუძლებლად თვლის.

კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში ოჯახის, როგორც საზოგადოებრივი უჯრედის გაჩენით ფაქტობრივად ახალი ერა იწყება. ეს მოვლენა განსაკუთრებული იყო ადამიანის აღზრდისა და განათლების თვალსაზრისითაც, როგორც საწყისი ახალი აღმზრდელი ურთიერთობებისა. აქედან იღებს დასაბამს მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება პედაგოგიკაში – საოჯახო აღზრდა. ოჯახი დროის გარკვეულ მანძილზე დამოუკიდებლად ეწეოდა ბავშვების აღზრდას. სასკოლო განათლების აღმოცენებით მოხდა ოჯახისა და სკოლის ურთიერთდაკავშირება და მოყოლებული იმ დროიდან, ვიდრე დღემდე, თავად პრობლემა „ოჯახი – სკოლა“ გამუდმებული ძიების, კამათის და მეცნიერული კვლევის საგანია.

საოჯახო აღზრდა საუკუნეების მანძილზე ფაქტობრივად აღზრდის უმთავრესი ფორმა იყო, მაშინაც კი, როდესაც განათლების კერების აღმოცენება დაიწყო, საოჯახო აღზრდას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან სკოლები მხოლოდ შეძლებულთა შვილებისათვის იყო ხელმისაწვდომი. სწორედ საოჯახო აღზრდის საფუძველზე ვითარდებოდა პირველი პედაგოგიური თეორიები, ჩნდებოდა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა საზოგადოებრივი წყობის თავისებურებათა და ფილოსოფოსთა ან პრაქტიკის პედაგოგთა შეხედულებების გათვალისწინებით ხდებოდა.

პედაგოგიკის ისტორია მდიდარია გამოჩენილ ფილოსოფოსთა, პედაგოგთა, პრაქტიკოსთა ნააზრევით საოჯახო აღზრდის და სხვათა პედაგოგიური იდეებით. ისინი მშობელთა როლსა და მნიშვნელობას განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს მოზარდი თაობის პარმონიული განვითარების, როგორც პიროვნების ფორმირების საქმეში.

შთამომავლობაზე ზრუნვა ქართველი ხალხის უხსოვარი ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს. შვილების აღზრდა დედების ტრადიციული მოვალეობა იყო. ქართულმა ზღაპრებმა, თქმულებებმა და ლეგენდებმა შვილებისადმი მშობლიური თავდადების მრავალი მაგალითი შემოგვინახა. ასევე, მრავლად არის მათში წარმოდგენილი თავად შვილების მშობლებისადმი სიყვარული, პატივისცემის მოვალეობის გამოვლენის ფაქტები, ბავშვის პირველ აღმზრდელად ილია ჭავჭავაძეს სწორედ მშობლები მიაჩნდა, ხოლო აღმზრდელობითი ზეგავლენის მთავარ ფაქტორად ოჯახი. „საჭიროა ვიცოდეთ, – წერდა ილია, – რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილის ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფრო მეტი დრო ამას უნდა მოვახმაროთ“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VI, გვ. 262). ტანთ მოიკელი, ფეხთ მოიკელი – მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები – კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან.

თანამედროვეობამ, აღმზრდელობითი პროცესის მთლიანობამ და სისტემატურობამ პედაგოგიკის წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. მისგან საოჯახო აღზრდისადმი რადიკალური შემობრუნება და მეცნიერებათა შორის ისეთი კავშირების დამყარება მოითხოვა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ესოდენ რთული პრობლემის დაძლევა. ოჯახი საზოგადოების ის ფუნდამენტური სოციალური უჯრედია, რომლის მორალურ და ფიზიკურ სიჯანსაღეზეა დამოკიდებული აღზრდის ეფექტურობა. საზოგადოებრივი ცხოვრების წესი. მისი ზნეობრივი სიმაღლის დონე. ყოველ ოჯახს გააჩნია თავისი წესი და მრავალნაირი ფუნქცია, რომელთა შორის უმთავრესია შვილების აღზრდა. ოჯახი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და ამავე დროს ადამიანთა სოციალურ-პედაგოგიური ჯგუფია, რომელიც მოწოდებულია ოჯახის თითოეულ წევრს შეუქმნას სითბოს, სიმყუდროვის და სიყვარულის გარემოცვა, ხელი შეუწყოს მათ ყველა პიროვნული თვისების ფორმირებაში.

თანამედროვე ეტაპზე ფაქტობრივად ოჯახთა უმრავლესობა კრიზისულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაშია. რაც თავისთავად ართულებს

საოჯახო აღზრდის პრობლემას. მრავალი ფაქტი და მთლიანად შექმნილი ვითარება გვაძლევს უფლებას, დავასკვნათ, რომ ეს იწვევს ოჯახის როლის დაქვეითებას. ოჯახთა უმრავლესობის ცხოვრების დონის მკვეთრმა დაცემამ და „მდიდარი“ ოჯახების მატერიალური დონის არნახულმა ამაღლებამ, პირველ რიგში, მოსწავლეთა შორის გართულებულ ურთიერთობებში იჩინა თავი. გაიზარდა კრიმინალურ დანაშაულობათა რიცხვი, უზედამხედველოდ და მშობლების ყურადღების გარეშე დარჩენილი ბავშვების რაოდენობამ, იმატა მოსწავლეებში ნარკომანიის და ტოქსიკომანიის ფაქტებმა, მიდრეკილებამ ალკოჰოლისადმი. ამგვარი და სხვა სახის ნეგატიური მოვლენების შედეგად დაეცა მშობლებისა და მასწავლებელთა ავტორიტეტი. სიტუაციის ობიექტური ასახვაც კი მრავლისმომცველია, მრავლისმთქმელია, მაგრამ საჭიროა მისი არა მხოლოდ კონსტატაცია, არამედ იმ გზებისა და საშუალებების ძიება, რომლებიც ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს შექმნილ მდგომარეობას. ამ საქმეში თავისი როლი და ადგილი აქვს განკუთვნილი პედაგოგიკას. რადგან აღზრდამ, მისდამი დამოკიდებულებამ უნდა მოახდინოს საჭირო გარდატეხა.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ლოკი მოზარდთა ზნეობრივი აღზრდისადმი ფაქიზ მიდგომას. ამ მხრივ იგი მთავარ როლს ოჯახს აკისრებს.

მაგალითი (მაგალითის კალა)

„ვისაც სურს, რომ შვილი პატივისცემით მოექცეს მას და მის მითითებებს, საჭიროა თვითონაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდეს თავის ნაშიერს“.

მშობლების ქცევა შვილებისათვის სამაგალითოა, – აღნიშნავს ლოკი. ხშირად შვილებს თავიანთი ქცევის გასამართლებლად მშობელთა მაგალითები მოჰყავთ. ამიტომ მშობლებმა სისტემატიურად უნდა აკონტროლონ საკუთარი ქცევები.

შვილების თვალში იაფფასიანი ავტორიტეტი სწრაფად ინგრევა, ისინი არ აპატიებენ უფროსებს არაგულწრფელობას და თვალთმაქცობას.

დასჯა და დაჯილდოება

თავისი შრომის IV განყოფილებაში 52-დან 66 პარაგრაფის ჩათვლით ჯონ ლოკი საუბრობს დაჯილდოების შესახებ. სწავლება იმ შემთხვევაში ითვლება გამართლებულად, თუ მოსწავლეს აღფრთოვან სწავლის სურვილსა და მისწრაფებას, – აღნიშნავს ლოკი. მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობას იგი მიიჩნევს ნაყოფიერი სწავლების და შეგნებული დისციპლინის პირობად. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი ურთიერთგაგებას, როგორც სწავლების პროცესის შემადგენელ ნაწილს, და მიუთითებს, რომ საჭიროა გადასვლა კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე, სვლა მარტივიდან რთულსკენ.

ლოკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის თვლის, რომ მასწავლებელი წამდაუწუმ არ უნდა მიმართავდეს ამ მეთოდებს (დასჯას და დაჯილდოებას). თუ პედაგოგი სწორად შეარჩევს სწავლების მეთოდებს, გზებსა და ხერხებს, სწავლით გამოწვეული სიამოვნება მუყაითობის, გულმოდგინებისა და სიბეჯითის საკმარისი სტიმულატორია.

ჯონ ლოკი აანალიზებს სწავლის პროცესის იმ მომენტს, როცა მასწავლებელი დასჯის მეთოდს მიმართავს. სწავლის პროცესის არასრულყოფილებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გამო ხშირად ისჯებიან მოსწავლეები, და ამის გამომწვევ მიზეზად ლოკი სხვადასხვა მნიშვნელოვან მომენტს თვლის: – სწავლის სურვილისა და მისწრაფების დაბალ დონეს, რის გამოსწორებასაც მასწავლებელი თავისი მიზანდასახული მეთოდებით უნდა ცდილობდეს. აღნიშნული ნეგატიური მოვლენის აღსაკვეთად საჭიროა: რეგულარული, თანამიმდევრული აღმზრდელობითი ზემოქმედების საფუძველზე სწავლისადმი ინტერესისა და სიამოვნების განცდის გამომუშავება. – მოზარდებში გონებრივი განსჯის „მადის“ გაღვივებაზე ზრუნვა, რის საფუძველადაც ლოკი ცნობისმოყვარეობას თვლის. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლების პროცესში თამაშის ჩართვასა და სიამოვნების გრძნობის გამომუშავებას.

ნაშრომის 74-ე პარაგრაფში საუბარია სწავლების პროცესის პედაგოგიურ-ფილოსოფიურ საფუძველებზე. ეს პარაგრაფი მთელი სიღრმით ითვალისწინებს

აღზრდის უფაქიზეს ნიუანსებს, საუბარია იმაზე, თუ სწავლებაში აღმზრდელობითი მხარეების გასაძლიერებლად რა ხერხებსა და მეთოდებს უნდა მოუხმოს პედაგოგმა. აქ მკვეთრად იკვეთება შეხედულება სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის შესახებ.

შრომის ეს ნაწილი ეძღვნება, როგორც მითითებულია, დასჯისა და დაჯილდოების (აღბათ, წახალისების) მნიშვნელობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ავტორი წინ წამოწევს პრობლემას, კერძოდ, იმას, თუ როგორ ავიცილოთ, რომ მოსწავლე ნაკლებად დაისაჯოს. იგი საუბრობს რეგულარული მეცადინეობის ჩვევის ჩამოყალიბებაზე, რაც მხიარული განწყობის შექმნის წინაპირობაა.

იძულება

ჯონ ლოკი ხშირად აღნიშნავს: ბავშვები სწავლას იწყებენ იძულებითა და შიშით. მათ ეუფლებათ უამური განცდა არა მხოლოდ სწავლის, არამედ გააგებული პედაგოგის სიტყვებისადმი, სიძულვილი სასწავლო დისციპლინისადმი. ამ შემთხვევაში სწავლა დამოკიდებულია ბავშვის ნებისყოფის სიმტკიცეზე. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ ასაკში, როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობს, ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს გამომუშავებული ნებისყოფა, სიძნელეების დაძლევის უნარი. ლოკი თავის პედაგოგიკურ იდეებსა და შეხედულებებში, განსაკუთრებით როცა სწავლის პროცესზე მსჯელობს, თავისუფლებას ქადაგებს. თავისუფლება გულისხმობს იძულებითი ფორმების გამორიცხვას, უგულებელყოფას, როცა პედაგოგი აღსაზრდელში ნებაყოფლობით აღძრავს სწავლის სურვილს. ამას ლოკი უწოდებს „ბავშვის მადის“ გამოღვიძლებას.

დამუნათება

ბავშვის დაწიოკებას უწოდებს ლოკი საყვედურის გამოყენებას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. აღზრდის ამ მეთოდს იგი საფრთხობელას აღარებს, რომელიც თავდაპირველად შიშს ჰგვრის ბავშვს, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა, თანდათან ეჩვევა კიდევ. ამიტომ იგი მშობლებს ურჩევს: დამუნათება

იყოს დამრიგებლური, რაც სინდისის ქენჯნას გამოიწვევს. დასჯამ თუ მოზარდში სინანული არ აღძრა, ის უშედეგოა. „არა ტკივილი, არამედ სირცხვილია აღზრდის თავიდათავი“, – აღნიშნავს ლოკი.

ჯიუტობა

„არის დანაშაული, რის გამოც ბავშვი უნდა გაილახოს – ეს არის სიჯიუტე და მონანიების აშკარად უარყოფა“, – აღნიშნავს ჯონ ლოკი.

შრომის ამ ნაწილშიც საინტერესო შეხედულებებია თავმოყრილი. ჯ. ლოკი ამ შემთხვევაშიც სირცხვილის გრძნობის უპირატესობას ადასტურებს, „სირცხვილია ცუდი საქციელი“ – ის მორალური საწყისი, ე.ი. სინდისის ქენჯნა, არის ზემოქმედების ძლიერი იარაღი, – აღნიშნავს იგი, მაგრამ ამას შიშშიც თან ახლავს, რადგან, როცა ლანძღვენ, ამცირებენ, აგინებენ, ეს ჰგავს ფიზიკურ ტკივილს, რასაც ბავშვის სულის სამუდამოდ დამახინჯება შეიძლება მოჰყვეს. ლანძღვა, დამცირება ხშირად ტერორის ფორმასღებულობს და იგი ამღვრევს მორალურ ფონს.

აი, რა რთული ამოცანების წინაშე აყენებს შრომის ავტორი აღმზრდელებსა და პედაგოგებს. რომელი ფორმა, მეთოდი უფრო მარჯვეა ამა თუ იმ სიტუაციაში?! ეს თვით აღმზრდელისა და პედაგოგის ღრმა დაკვირვების შედეგად უნდა გაირკვესო, – აღნიშნავს პრაქტიკოსი პედაგოგი.

ბოლოს და ბოლოს მეცნიერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბავშვის დაუფიქრებლად დასჯა კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს მის სიჯიუტეს. მაშასადამე, იგი არ არის საღი და უნივერსალური საშუალება, რომელიც ყველა შემთხვევაში ამართლებს. კიდევ უფრო სავალალოა შემთხვევა, როცა ბავშვი ისჯება არა უმსგავსო საქციელის ჩადენის, არამედ აღმზრდელის გაანხილებისა თუ გაბრაზების გამო. ამ ვითარებაში დასჯა გაბოროტების ხელშემწყობი პირობაა.

ლოკი დიდი სიფრთხილით ეკიდება სადამსჯელო საშუალებების გამოყენებას. ავტორი მკაცრად მოითხოვს საამისოდ ბავშვის ბუნების, ხასიათის წინასწარ შესწავლას. „სადაც ვლინდება ბავშვის სიჯიუტე, იქვეა აშკარა გამოწვევაც. ამიტომ არ შეიძლება ყურადღების მოღუწება ერთი წუთითაც კი.“

მსჯელობა-ბჭობა

ბავშვებთან მსჯელობა, სჯა-ბაასი, ჯონ ლოკის შეხედულებით, მათთან დაახლოების სწორი და გამართლებული საშუალება და ხერხია. „ბავშვებს ყველაზე ადრე უნდა სურვილი, რომ უფროსები მათ მიმართავდნენ, როგორც გონიერ არსებებს“, – შენიშნავს ლოკი და ყმაწვილებში ამ თვისების შექმნასა და წაქეზებას მოითხოვს. სასურველია, აღსაზრდელის გონებისთვის მისაწვდომი, გულწრფელი, კონკრეტული საუბრების გამართვა. ეს სჯა-ბაასი ამა თუ იმ საკითხზე დაკავშირებული უნდა იყოს ბავშვის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. ისინი უარყოფითად არიან განწყობილი გრძელი დედუქციური მოსაზრებებისადმი და ყურადღებით ისმენენ მოკლე, კონკრეტულ რჩევებს.

მაგალითის ძალა

ჯონ ლოკი მიუთითებს მაგალითზე, როგორც ზემოქმედების განუზომელ ძალაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, მშობლების, გარშემო მყოფი პიროვნებების სანაქებო ქცევები და მოქმედებანია, რომლებიც ყმაწვილებში იწვევენ ღრმა შთაბეჭდილებებს. „ეს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ბავშვობის, არამედ უფრო მოგვიანო ხანაშიც. იგი ეფექტიანია მანამ, ვიდრე აღსაზრდელები დამოუკიდებლები გახდებიან“.

წკეპლა

წკეპლის ხშირი გამოყენება ცუდი აღზრდის შედეგია, - აღნიშნავს ლოკი. თუ წკეპლაზე მიდგება საქმე და ის აუცილებელი გახდება, მაშინ დამსჯელი უნდა იყოს სხვა და არა მშობელი, ოღონდ იგი უნდა ასრულებდეს მშობლის დავალებას. ამ შემთხვევაში დედა-მამა ინარჩუნებს თავის ავტორიტეტს. დასჯის პროცესი დაუვიწყარია. ამგვარი დასჯის მეოხებით მოზარდი უფრო მიზანდასახული ხდება, ცდილობს, მსგავსი შეცდომა აღარ დაუშვას.

თუმცა მანკიერი თვისებაა ტყუილი, ამ შემთხვევაში მაინც არ შეიძლება ფიზიკური დასჯის მეთოდის გამოყენება. ამ დროს სასურველია გამოვიყენოთ

სხვადასხვა საშუალება: გაკიცხვა, შერცხვენა, ბრძანება, ახსნა-განმარტება, საყვედური, დამუნათება. მთავარია, მანკიერებათა დროული შემჩნევა და სწრაფი რეაგირება, რათა იგი დროზე აღმოვფხვრათ და არ მივცეთ საშუალება განმეორების. ფიზიკური დასჯის მეთოდის გამოყენება არ უნდა იწვევდეს აღმზრდელისადმი მტრული დამოკიდებულების გამომუშავებას, რადგან ამ ვითარებაში მიზანი მიულწვევლი დარჩება.

აღმზრდელისთვის საჭირო თვისებები

– ოჯახში, უპირველესყოვლისა, უნდა სუფევდეს აღმზრდელის ავტორიტეტი. ეგ ავტორიტეტი იქმნება ნდობის, პატივისცემის ატმოსფეროში. ამავე დროს, აღზრდის მთელი პროცესი, შეთანხმებული მშობლებთან, არ უნდა იყოს აფიშირებული. ასევე აუცილებელია მშობლების ავტორიტეტის ამაღლება და პატივისცემა. ავტორიტეტი იქმნება პირადი მაგალითით. ამდენად, პედაგოგი თვითონ უნდა იყოს ღირსეული და სანიმუშო: გონიერი, ჭკვიანი, დაკვირვებული, იცნობდეს ღირსეულ, მაღალ საზოგადოებას, ჰქონდეს მრავალმხრივი უნარ-ჩვევები, მოხდენილი ქცევა. ყოველივე ამას ლოკი ხაზგასმით აღნიშნავს. მისი აზრით, ეს არის აუცილებელი ცხოვრებისეული თვისებები და აღზრდის წარმატების ერთ-ერთი პირობაც.

აღმზრდელი უნდა იყოს კეთილშობილი, იცნობდეს სამყაროს, საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ზნე-ჩვეულებებს, საოცრებებს, მანკიერებებს და იმ საუკუნისა და ქვეყნის ავ-კარგს, რომელშიც ცხოვრობს; ეს გაუადვილებს მას, ასწავლოს აღსაზრდელს ავისა და კარგის გარჩევა, შეაცნობინოს კარგი და ცუდი ადამიანები, მათი შინაგანი სამყარო. ამ ვითარებაში მწვრთნელი შეგირდს გაუადვილებს გულუბრყვილობიდან სათანადო ნახტომი გააკეთოს ადამიანის თავდაჯერებულ შეცნობამდე. აღმზრდელმა შეგირდს უნდა გაუანალიზოს ადამიანთა თვით წვრილმანი მოქმედებები და საქციელი, შეაცნობინოს ადამიანის ვინაობა მისი ამა თუ იმ წვრილმანი ქცევისა და მოქმედების მიხედვით, ასწავლოს დეტალიდან მთელის ამოცნობა, შეიყვანოს ცხოვრების ლაბირინთში, აჩვენოს ყალბი და ღირსეული მოქმედების შედეგები.

„აუხსნა ახალგაზრდებს საუკუნის მანკიერებანი, ნიშნავს, შეასწავლო მათ ისინი. ეს მათ გაუადვილებს, აიცილონ ცხოვრებისეული სიყალბენი, სიძნელები და უბედურება.“

ყოფიერების აგ-კარგის შესწავლა ძნელიცაა და მეტად საჭიროც.

„ადამიანისთვის ცხოვრებისეული გამოცდილება ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლასიკური ენების ცოდნა,“ – აღნიშნავს ჯონ ლოკი.

ჭკუა და გონება ჯონ ლოკს ახალგაზრდა ადამიანის უპირველეს ღირსებად წარმოუდგენია. აღსანიშნავია, რომ იგი ახალგაზრდის სწავლა-აღზრდის უპირატესობას ხედავს არა მარტო იმაში, რომ ადამიანი ცოდნით არის გამორჩეული, არამედ იმაშიც, რომ აღზრდილი ადამიანი სიბრძნეს პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ეფექტიანად გამოიყენებს და ჯეროვნად მოიმარჯვებს.

მისი ღრმა რწმენით, აღმზრდელები და მშობლები შემოქმედებით მოღვაწეობას ურთიერთშეთანხმებითა და ურთიერთგაგებით უნდა ეწეოდნენ. ოჯახში აღმზრდელს აუცილებლად ყველა უნდა სცემდეს პატივს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღსაზრდელი თავისი აღმზრდელისადმი პატივისცემის შეგნებით ვერ განიმსჭვალება.

მშობლების სიასლოზე ბავშვებთან

აღზრდის სისტემის პირველი რგოლი და გარემო იყო და არის ოჯახი. ოჯახით იწყება საზოგადოება და ოჯახში ირეკლება მისი დროის ტრადიციული საზოგადოებრივი ცნობიერება. ოჯახს, როგორც ორგანულ სტრუქტურას ახასიათებს თავისი ავტონომიურობა.

ჯონ ლოკმა ბავშვობა სოფლად გაატარა. ლოკის მშობლები მეტად რელიგიური ადამიანები იყვნენ და პურიტანელთა სექტას განეკუთვნებოდნენ. მათ ყველაფერში ზომიერება, თავშეკავებულობა და უბრალოება ახასიათებდათ, რაც გავლენას ახდენდა აგრეთვე მის შვილებზე. ოჯახში მკაცრად იცავდნენ წესრიგს და მომჭირნეობას, რასაც ბავშვებიც სათანადო ანგარიშს უწევდნენ. მამა შვილების მიმართ იყო მკაცრი, მაგრამ არა ფიზიკური სასჯელის გამოყენებით, არამედ რაციონალური ზემოქმედებით. შემდგომში კი შვილებს

მამა უფრო მეგობრულად ეპყრობოდა, ჩაუნერგა მათ ქცევის პირველადი ჩვევები საზოგადოებასა და სკოლაში, გამოუმუშავა ღვთისადმი სიყვარული.

შრომის ამ ნაწილში საუბარია იმის შესახებ, რომ, თუ პატარაობისას საჭიროა (როგორც ეს იყო ლოკის ოჯახში) ბავშვს ჰქონდეს რიდი და კრძალვა მამისა, მოზრდილობის ასაკში ეს ურთიერთობა უნდა შეიცვალოს მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებით. ამ დროისთვის ახალგაზრდა სასურველია მამასთან ერთად გარკვეული საქმეების (შექლებისდაგვარად) შესრულების ფერხულში ჩაებას, მასთან ერთად გადაწყვიტოს ესა თუ ის პრობლემები, დაკავშირებული ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. ყოველივე ეს კი მათ შორის სერიოზული სჯაბაასის საფუძველზე განხორციელდება. სასარგებლოა ახალგაზრდამ იგრძნოს, რომ მამასთან ერთად შეუძლია სერიოზული საქმეების მოგვარება. ეს ახალგაზრდას ღრმა ჩაფიქრების საშუალებას მისცემს. ამ დროს იგი ერთბაშად იზრდება, როგორც პიროვნება, და ბავშვობის ასაკიდან ერთბაშად გადადის ყრმობაში.

მეტად მნიშვნელოვანია მომდევნო ეტაპზე მამების შეილებთან მეგობრობა. შეილებთან ცივი და უნდო ურთიერთობა არღვევს არა მხოლოდ მათ კეთილდამოკიდებულებას, არამედ მათ მიერ სწორი ცხოვრებისეული პოზიციების შემუშავებას – მოზარდები კი ეჭვიანი, მამის მიმართ შურით აღსავსე, არამყარი ადამიანები ხდებიან.

შვილსა და მამას შორის გულწრფელობა, ურთიერთთანაგრძნობა და თანამოაზრობა ქმნის ახალგაზრდის პიროვნებად ფორმირებისთვის საჭირო საღ ატმოსფეროს.

მშობელმა უნდა შეეძლოს ოჯახის ცხოვრებაში შვილების, როგორც თანაბარუფლებიანი წევრების ჩაბმა.

- შვილების მიმართ გულდია დამოკიდებულება და ნდობის გამოხატვა.
- შვილებისადმი ზომიერი მომთხოვნელობა, ისეთი მოთხოვნის გამორიცხვა, რომელსაც ის ვერ შეასრულებს.
- ოჯახის წევრთა შორის ოპტიმალური განწყობის შექმნა და სიკეთის და რწმენის ჩასახვა.
- შვილებისათვის შეძლებისა და საჭიროების მიხედვით დახმარების აღმოჩენა. მათ კითხვებზე პასუხების დროულად გაცემა, მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

ჩამოთვლილის გარდა არსებობს რიგი კერძო პრინციპები, რომელთა გამოყენებაც თითქმის სავალდებულოდ არის მიჩნეული. ასეთებია: აიკრძალოს ფიზიკური დასჯა, ზედმეტი ჭკუის დარიგებები და გაუთავებელი მორალის კითხვა, ნაჩქარევი მორჩილების მოთხოვნა და სხვ.

შრომის ავტორი წარმოგვიდგენს მამა-შვილს შორის სხვადასხვა სიტუაციაში ურთიერთობათა ნაირგვარ ასპექტებს. მთავარი, რაც აქ იკვეთება, არის მშობლის გონიერი მიდგომა შვილისადმი, როცა მამა ნებისმიერ სიტუაციაში მრჩეველიცაა და მეგობარიც. მეტად საინტერესო და მრავალწახნაგოვანია შრომის ეს ნაწილი. ის, შესაძლებელია, პედეგოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ცალკე მსჯელობის საგნადაც კი იქცეს.

მოკრძალება

მოზარდის მოკრძალებას მშობლებისადმი, მათი დარიგებისადმი, უმეტეს შემთხვევაში, უნდა იწვევდეს სიყვარული და მოვალეობის გრძნობა, – აღნიშნავს ლოკი. ეს ყოველივე სათავეს იდებს თავწყაროში – ურთიერთგაგების, პატივისცემის გრძნობაში, რაც ნორჩთა კეთილდღეობაზე მშობლების ზრუნვით, ყურადღებითა და ყოველდღიური შრომით ვლინდება, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა ვიყენებდეთ სამართლიან სიმკაცრესაც, – დასძენს სწავლული.

ბავშვების განსხვავებული ხასიათის შესახებ

შრომის ამ ნაწილში საუბარია მშობლების მიერ მოზარდთა განსხვავებული ხასიათის, მათი სულიერი სამყაროს ცოდნის აუცილებლობაზე. თავისებური ხასიათი ყველაზე უკეთ ვლინდება თამაშის დროს. „ხასიათი ისევე ნაირნაირია, როგორც სახის ნაკვთები. ოღონდ ეგ არის, რომ დროთა განმავლობაში სახის ნაკვთები უფრო შესამჩნევი ხდება, ხოლო ხასიათი უფრო დაფარულია“. ხასიათის სხვადასხვაობა მოითხოვს, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – აღზრდის ნაირგვარი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას.

ბავშვთა თვითნებობა

ბავშვთა თვითნებობის თავიდან აცილების მიზნით ლოკი მიზანშეწონილად თვლის ყმაწვილთა ძირითადი თვისებებისადმი გონივრულ მიდგომას. ასეთ თავისებურებათა შორის ის გამოყოფს: თავისუფლების სურვილს, აგრეთვე იმის წადილს, იბატონოს გარშემო მყოფ ადამიანებზე. ერთ-ერთი სურვილია, მიითვისოს ყველა საგანი და უფლება ჰქონდეს, გამოიყენოს სურვილისამებრ, ხოლო უფროსებმა ამაში ხელი არ შეუშალონ, პირიქით, წაახალისონ კიდევ.

ბატონობის სიყვარული ავი ჩვევების საწყისია, – აღნიშნავს ლოკი, – ხოლო ამგვარ სიმპტომებად ითვლება სიძუნწე, ტირილი და დაჟინებული, ჯიუტი მოთხოვნა. თუ მოზარდს აქვს ბუნებრივი მოთხოვნილებების პრეტენზია, – აღნიშნავს იგი, – რასაკვირველია, უნდა დავაკმაყოფილოთ, ხოლო, მოთხოვნები, რომლებიც თვითნებობის ელემენტებს შეიცავენ, რასაკვირველია, უნდა მოიკვეთოს, ამოიშანოს.

თავშეკავება, – აღნიშნავს ლოკი, შესანიშნავი თვისებაა, რომელიც ადამიანს ცხოვრების ყველა ეტაპზე დადებით სამსახურს გაუწევს. დაჟინებული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ბავშვის თავშეკავება ვლინდება გაჩუმებითა და იმის ანალიზით, თუ რატომ მიიღო უარი. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ახსნას, თუ რატომ სტკიცეს მას უარი.

გართობა

ჯონ ლოკი ბავშვის გართობას ისევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც შრომასა და კვებას, მაგრამ, ამავე დროს, მშობლებს აფრთხილებს: გართობამ არ უნდა მიიღოს არასასარგებლო მიმართულება და ხასიათი; გართობის პროცესი თავისი შინაარსითა და ფორმით ხელს უნდა უწყობდეს მოზარდის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას; მიზანშეწონილი გართობა ხშირად გამოავლენს შინაგან ბუნებას, ხასიათს. გართობისას მნიშვნელოვანია მაღალი ზნეობრივი ღირებულებებისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომჟღავნება; აქ უნდა გამოვლინდეს თამაშის მონაწილეთა შორის

ურთიერთყურადღება, გულმოწყალება, შემწეობა, დათმობა და პატივისცემა, სიყვარული, გულუხვობა, ხელგაშლილობა და სხვა.

ბავშვის ტირილი და ღრიალი

ბავშვის ტირილი და ღრიალი გამოწვეულია ჯიუტობით, ან გამოუთქმელი ტანჯვით, – აღნიშნავს ლოკი. ის კატეგორიულად მოითხოვს ჯიუტობის აღკვეთას. ნორჩის ხასიათიდან გამომდინარე, იგი გამოყოფს ორი სახის ტირილს. ერთია დაუინებელი, ჯიუტი და ძალაუფლებანი. მეორეა – მოწუწუნე-აქედან გამომდინარე, გასაგებია, როგორ ხდება სიჯიუტის გამო უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბება – იბატონოს სხვებზე და თავისი ყველა სურვილი დაუყოვნებლივ შეისრულოს. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის ტირილის სამართლიანი მიზეზი, მაგრამ ერთიც და მეორეც საჭიროა უარყოფითად შეფასდეს, – დასძენს ლოკი, – რადგან უმჯობესია მიზეზის გარკვევა და მდგომარეობის განტვირთვა, მისი დაძლევა შესაბამისი ღონისძიებების გატარებით. იგი საგანგებოდ გამოყოფს ტკივილით გამოწვეულ ტირილს, რომელიც მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. თუ ტირილი გამოწვეულია კაპრიზით, ახირებით, მაშინ ჯონ ლოკი ფიზიკურ სასჯელსაც გამართლებულად მიიჩნევს და აქ დიდი ავალა შეიძლება მიეცეს წკეპლასაც. უნებლიეთ გვაგონდება ჯონ ლოკის თანამედროვე ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის სიტყვები: „ნუ გენადვლებს სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი.“

ბავშვის სიმხდალე და სიმამაცე

მეცნიერი და პედაგოგი ჯონ ლოკი სიმხდალისა და სიმამაცის არსებობას მოზარდის პიროვნებაში დიფერენცირებულად განიხილავს.

შიში, – აღნიშნავს იგი, – წარმოადგენს შეგულიანებასაც და იძულებასაც, რომელიც ზოგჯერ სასარგებლოა, აქვე იგი საუბრობს გაუცნობიერებელ, უგონო გამბედაობაზე, რომელიც მოსალოდნელი საფრთხის წინაშე ეუფლება ადამიანს და ისევე არაგონივრულია, როგორც უმნიშვნელო საფრთხის წინაშე თრთოლება და ძრწოლა. შიშის მოვლენის დახასიათებისას ლოკი აგვიწერს

გაუცნობიერებელი წინააღმდეგობის სურათებს, როდესაც ადამიანი არ განსჯის მოსალოდნელი საფრთხის რაგვარობას და წინააღმდეგობას დაუფიქრებლად ახორციელებს. იგი დაუშვებლად მიიჩნევს იმგვარ სიმამაცეს, როდესაც მოზარდი თავისი სიამაყის, თავმოწონების, მედიდურობის, ამპარტავნობის გამო იგდებს თავს საფრთხეში. საჭიროა მისი დროული აღკვეთა, რათა გონივრულმა განსჯამ დააფიქროს და დაარწმუნოს თვისი ქმედების სიმცდარეში.

ვაჟკაცობა

ვაჟკაცობა, – აღნიშნავს ლოკი, – არის კეთილგონიერების დარაჯი და საყრდენი. ვისაც არა აქვს ვაჟკაცობა, მას არა აქვს მოვალეობის შესრულების ძალა, რაც ადამიანის უმთავრესი თვისებაა.

ჯონ ლოკის თვალსაზრისით, ეს თვისება ეხმარება ადამიანებს, ებრძოლონ ბოროტებასა და საფრთხეს. მისი რწმენით, ვაჟკაცობის აღზრდით შეიცვლება მოზარდთა შინაგანი ბუნება. ამ ვითარებაში მოშიშნი და სუსტნი თანდათან ხდებიან გამბედავნი და მედგარნი.

ამ თვისების გამოსამუშავებლად აუცილებელია შემდეგი – საჭიროა ნიადაგი შევამზადოთ და მივაჩვიოთ მოზარდი იმას, რომ საშიშროების მოახლოებისას არ მოდუნდეს. ამის ნიმუშები შეიძლება ვუჩვენოთ მხატვრული ლიტერატურისა თუ საინტერესო თავგადასავლების საშუალებით. სიმამაცის ჩამოყალიბება იწყება მაშინ, როცა ბავშვი აცნობიერებს საკუთარ თავს, პასუხისმგებლობის გრძობას. იგი, ამავე დროს, მიუთითებს ბავშვის ამა თუ იმ ეროვნებისადმი მიკუთვნებაზე, რომელსაც უხვად მოეპოვება ბუნებრივი სიმამაცის დამადასტურებელი ფაქტები. აღნიშნული გარემოებები მებრძოლთა სულიერი სიმტკიცის, სამშობლოს დამცველთა შეუდრეკელობის აღზრდის საფუძველია.

საინტერესოა ლოკის შეხედულებები შეგნებულ, გონიერ, მიზანდასახულ ვაჟკაცობაზე.

სწორად დაყენებული ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს მამაცობისა და გამძლეობის გამომუშავებას. „ჯენტლმენი ისე უნდა იყოს აღზრდილი, რომ მას ყოველთვის შეეძლოს აისხას იარაღი და გახდეს ჯარისკაცი“.

„არ შემიძლია ვთქვა, რომ სიმამაცე და ვაჟკაცობა გამორიცხავს შიშს. სადაც არის საფრთხე, იქ არ შეიძლება არ იყოს შიში. შიში აიძულებს ადამიანს, იყოს ფრთხილი, შეინარჩუნოს გონივრული განსჯის უნარი," – ასე განმარტავს შემოქმედი სიმამაცისა და შიშის ურთიერთობის თავისებურებას.

სიმხდალე, ღაჩრობა

ჯონ ლოკი სრულიად დაუშვებლად თვლის ბავშვების დაშინებას სხვადასხვა საგნითა და საშუალებით. ეს ბავშვებში აძლიერებს სიმხდალეს, რაც, შესაძლებელია, მთელი ცხოვრების მანძილზეც გაჰყვეს. ბავშვებს, რომელთაც ეშინიათ მათ გარშემო არსებული ნივთებისა თუ მოვლენების, საჭიროა ჩამოვაშოროთ ეს საგნები და ვესაუბროთ მათი უვნებლობის შესახებ, ხშირად შიშის მიზეზი ძლიერი შთაბეჭდილებაა ცხდება. სიმხდალის აღმოფხვრის პროცესი მიზანდასახული პედაგოგიური ზემოქმედების საშუალებით ნელ-ნელა და თანდათანობით მიმდინარეობს.

გამოწრობა

შრომის ავტორს მოჰყავს სპარტელთა გამოცდილება მოზარდთა გამოწრობის თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ, რასაკვირველია, სპარტელთა ლაკედემონური დისციპლინის მეთოდით მოზარდთა წრთობა დღესდღეობით კონსტიტუციურად მიუღებელია. არადა, წრთობის პროცესში ბავშვები უნდა შევაჩვიოთ ტანჯვისა და ტკივილის ატანას, მათ დაძლევათ, გადალახვას.

თანამედროვე სკოლებში ნაკლებად ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ როგორ მოვექცეთ ყმაწვილს, რომელიც თავის დანაშაულს თამამად აღიარებს: ვაპატიოთ თუ დაესაჯოთ? საუბარია არა ზოგადად პატიებაზე, არამედ იმაზე, რომ ამ მოქმედებაში გარკვეულწილად ფიგურირებს ვაჟკაცობის ჩანასახი, რაც მკაცრი სასჯელის დადებით შესაძლებელია საერთოდ ჩავახშოთ. ამ შემთხვევაში, მკვლევარის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელის უნარს, თუ როგორ მოახერხებს აღსაზრდელში ვაჟკაცობისა და ვაჟკაცური ქცევის წახალისებას. აღმზრდელის მთელი მცდელობა, სასურველია,

მიმართული იყოს მოზარდის სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზებისაკენ. ასეთი გზებით და ხერხით, ლოკის აზრით, შესაძლებელია სიმხდალის დათრგუნვა და ვაჟკაცური თვისებების აღზრდა.

ბავშვთა განწყობა სისასტიკის მიმართ

ჯონ ლოკი მოითხოვს, რათა ბავშვს პატარაობიდანვე გავუღვივოთ სისასტიკის, მკვლელობის, ძალადობისადმი სიძულვილი (ამ თვალსაზრისით იგი მთელ პარაგრაფს უთმობს ცხოველთა მიმართ ბავშვის ყურადღებიან, გულთბილ დამოკიდებულებასა და კეთილშობილებას, საერთოდ კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას ყოველგვარი სულიერისადმი). იგი მოზარდების საჩხუბრად წაქეზებას უარყოფითად აფასებს. ამ დროს ისინი ხდებიან სასტიკნი, უგულონი, გულგრილად ჩაუვლიან სხვათა მანკიერ მოქმედებას. მოზარდი ყოველივე ამას თანდათან ეჩვევა და ბოლოს, შესაძლებელია, მითითებული მანკიერი ქცევები თავმოსაწონ საქციელადაც მიიჩნიოს.

ჯონ ლოკი არ გამორიცხავს შემთხვევას, როცა თამაშის დროს ყმაწვილი თანატოლს ტრავმას მიაყენებს. ეს მარცხი უსათუოდ უნდა ეპატიოს ბავშვს, ოღონდ აქ მთავარია მოზარდის განწყობა ამ ფაქტისადმი, მისი შინაგანი სულიერი მდგომარეობა, როგორია მისი განცდები, განიცდის თუ არა თანაგრძნობას ამხანაგისადმი მიყენებული ტკივილის გამო და ა. შ. ბავშვისათვის მიუტევებელი საქციელია დაცინვა, გამოწვეული რომელიმე ადამიანის თუ თანატოლის ფიზიკური ნაკლით. ეს კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს. საერთოდ, საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით სხვისი დამდაბლება სისასტიკის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა, - აღნიშნავს იგი.

ბავშვური ცნობისმოყვარეობის შესახებ

ლოკი დიდი ყურადღებით ამუშავებს სწავლების მეთოდებს და იძლევა მრავალ საინტერესო მითითებას. სწავლების მეთოდთა უმთავრეს ღირსებად ჯონ ლოკი თვლის მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის გაძლიერებას და ცნობისმოყვარეობის განვითარებას. ამით ის პრინციპულად ებრძვის

დრომოჭმული სქოლასტიკური სწავლების წესებს, რომელიც ბავშვებისათვის მოსაწყენს და დამქანცველს ხდიდა სწავლებას. შეიძლება ჯონ ლოკს არ დაეთანხმოთ, როდესაც ის დაწყობით ეტაპზე თამაშით მოითხოვს სწავლებას, მაგრამ ლოკი მართალია, როდესაც ის აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სწავლების პირველი ნაბიჯების გადაქცევა ბავშვებისათვის მოსაწყენ მოვალეობად, ვინაიდან ამით შეიძლება ბავშვს მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩაენერგოს სწავლისადმი ზიზღი. ლოკი დაწერილებით აღწერს ანბანით თამაშს. კითხვის შესწავლის დროს ამ თამაშობათა შემდეგ ბავშვს უნდა მიეცეს მისთვის საინტერესო სურათებიანი წიგნი.

„ცნობისმოყვარეობა ცოდნისკენ ბავშვის სწრაფვაა. ეს არის არა მხოლოდ კეთილი ნიშანი, არამედ უდიდესი იარაღი, ურომლისოდაც ნორჩი იქნებოდა უსარგებლო, ჩლუნგი, ქმნილება“. იგი აღნიშნავს, რომ ყმაწვილის ცნობისმოყვარეობა უნდა დაკმაყოფილდეს გასაგები ენით, თუ შესაძლებელია, ახსნა-განმარტება უნდა იყოს შემაგრებული მრავალსახოვანი ფაქტებით. უპირველესად საჭიროა გამოიკვეთოს ის ძირითადი, რაც მას აინტერესებს. ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ სრულად, ვრცელი კომენტარებით. შეკითხვაზე ყურადღების გამოჩენა მოზარდს წააქეზებს, ჩასწვდეს მისთვის საინტერესო მოვლენებს, საგნებს. ამით მდიდრდება მისი გონება, წარმოსახვა, უფართოვდება თვალსაწიერი.

მთავარი ამოცანა ის არის, რომ აღმზრდელმა მოზარდს მიაწოდოს სწორი და დადასტურებული ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარდება არაპუნქტუალობა. ზოგჯერ პედაგოგი ჩივის, რომ ყმაწვილის მიერ დასმული შეკითხვა მეტად უჩვეულო და უცნაურია. საგულისხმოა, რომ უფროსები ხშირად ვერ ამჩნევენ მოვლენისა თუ საგნის ხედვის იმ კუთხეს, რომელიც შეიძლება ბავშვს ჰქონდეს. ამიტომაც საჭიროა ყურადღება. ამგვარად, ხშირად ბავშვების ცნობისმოყვარეობა ამდიდრებს აღმზრდელთა ცოდნას, აიძულებს მათ, შეცვალონ ხედვის კუთხე.

სიცელქის შესახებ

სიზარმაცე შესაძლებელია, – აღნიშნავს ჯ. ლოკი, – გამოწვეული იყოს იმით, რომ ყმაწვილს ყოველ წუთს ხელში წიგნებს აჩრიან. თუ სიზარმაცე გამოწვეულია მხოლოდ ამით, მაშინ ეს ადვილად აღმოსაფხვრელია. სიცელქე ხშირად გამომდინარეობს ბავშვის ტემპერამენტიდან და ამ დროს საჭიროა მეტი ყურადღება და პედაგოგიური მოქნილობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მეცნიერი შემდეგ მეთოდებს გეთავაზობს:

1. სხვების თანდასწრებით დავანამუსოთ, გავაქილიკოთ, თითქოს ძალიან გადაიღალა.
2. შევაგონოთ, რომ არ ვაიძულებთ იმეცადინოს, მივცემთ საშუალებას, სურვილისამებრ ითამაშოს, ვიდრე არ მოსწყინდება. საჭიროა მოზარდში აღმოვაჩინოთ და გავაძლიეროთ თუნდაც რაღაცისადმი მისწრაფება, ხოლო საჭირო შემთხვევაში მიზანშეწონილია მისი ფიზიკური შრომით დატვირთვა.

ბავშვის ტყუილები

ცრუპენტელობა წყვეული მანკიერებაა. ამიტომაც მოითხოვს ლოკი, ჩაუუნერგოთ ტყუილისადმი ზიზღი, რადგანაც იგი შეუთავსებელია ღირსეული ადამიანისათვის, ჯენტლმენის რეპუტაციისათვის. ასე ახასიათებს ჯ. ლოკი ტყუილს, როგორც უღირს ადამიანურ თვისებას. ტყუილის გამოვლინებისთანავე საჭიროა მიღებული იქნეს გადამჭრელი ზომები. ბავშვებს ხელს აძლევთ ტყუილის თქმა, რადგან სურთ დამალონ თავიანთი გაუმართლებელი ქცევა. ამის აღმოსაფხვრელად საჭიროა:

- მანამდე შევარცხვინოთ ბავშვი, ვიდრე დაგსჯიდეთ.
- დაიწყებს თუ არა ნორჩი თავის გამართლებას, უნდა ვურჩიოთ, გვიამბოს სიმართლე. ყოველივე ამის მერეც თუ ეცდება ჩვენს მოტყუებას, საჭიროა დაგსაჯოთ.
- თუ გულწრფელად აღიარებს დანაშაულს, საჭიროა შევაქოთ, არ დავაყვედროთ, არ ვუსაყვედუროთ. ასე იგი უფრო იოლად შეიყვარებს გულწრფელობას, გულმართლობას და შეეჩვევა სიმართლის აღიარებას.

- მონანიების შემდეგ ისევ ტყუილის თქმა მოზარდს აღარ უნდა ეპატიოს. საქმე ის არის, რომ, თუ ისევ ეცდება ყოველივე ამის განმეორებას, მოსალოდნელია იგი ჩვევად ექცეს. ამიტომაც სასჯელი უნდა გამკაცრდეს, - აღნიშნავს ჯონ ლოკი.

კეთილშობილი პიროვნების აღზრდის ერთ-ერთი საშუალებაა ღვთის აღიარება და რწმენა. მომავალი ჯელტლმენი უნდა ფლობდეს 4 ძირითად თვისებას:

1. იყოს კეთილმოქმედი;
2. ბრძენი;
3. ღვთისმოსავი;
4. ჰქონდეს ცოდნა.

ლოკი ურჩევს აღმზრდელს, ჩაუნერგოს ბავშვს უზენაესის სიყვარული. თავდაპირველად ერთობ ძნელია, განუმარტოს აღსაზრდელებს ამ მოვლენის არსი, რადგან საუბარი სულებისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ბავშვის ბუნებისათვის ადვილად არ არის მისაწვდომი, ამიტომ საჭიროა მხოლოდ ზოგადი აბსტრაქტული განმარტებები ღვთის შესახებ: რომ ის ყველაფერს ხედავს, კეთილი და მოწყალეა. ამ მეთოდით შესაძლებელი იქნება, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – შევუქმნათ მათ უზენაესისადმი დადებითი განწყობილება. ამავე დროს, აღმზრდელებს აძლევს მითითებას, რომ ნუ შეეცდებიან ყოველივე ამის შესახებ მეცნიერული ლოგიკის მომარჯვებით, ფაქტების მოხმობით ესაუბრონ მოზარდებს. საკმარისია შემოიფარგლონ ლოცვების სწავლებით, ბიბლიის კითხვით, მონანიებით, ღვთის მოხსენიებით, რითაც პატივს მიაგებენ უზენაესს.

ლოკი მთელი თავისი არსებით მოითხოვს ბავშვების დაცვას ყოველგვარი მოჩვენებებისა და სულების გამოცხადებისაგან – ეს აზიანებს მოზარდის ფსიქიკასო, – შენიშნავს მეცნიერი.

სიმართლე და სიკეთე

ქველმოქმედება, უზენაესისადმი ჭეშმარიტი სიყვარული ქმნის იმის საფუძველს, რათა ბავშვებმა თქვან სიმართლე, ჰქონდეთ სიკეთისადმი

მიდრეკილება. თუ პატარაობიდანვე ჩაუნერგავენ სიკეთის ქმნის აუცილებლობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ პატიოსან ადამიანებად ზრდიან.

სიბრძნის შესახებ

„სიბრძნე“ ჯონ ლოკს ახსნილი აქვს, როგორც სიტყვა, ცნება, რომელიც ფლობას ნიშნავს. მთავარია, მოზარდი აღვზარდოთ ღირსეულ პიროვნებად. მთავარია, აღმზრდელმა ასწავლოს მას, როგორ მისწვდეს ჭეშმარიტებას, როგორ ჩაიდინოს სწორუპოვარი საქციელი. „ბავშვობის ასაკში ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ადამიანისთვის მთავარია სიმართლის სიყვარული, გულწრფელობა, გონივრული განსჯა და, რამდენადაც შესაძლებელია, საკუთარი ქცევების გაცნობიერება“.

ზრდილობიანობა

კეთილშობილი ჯენტლმენის აღზრდის აუცილებელ პირობად ჯონ ლოკი მიიჩნევს ზრდილობას. იგი გამოყოფს უზრდელობის ორ სახეს:

1. უხერხული სიმორცხვე.
2. უადგილო დაუდევრობა. უპატივცემულობა.

ჯენტლმენის აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანია, – აღნიშნავს ლოკი, – შევასწავლოთ ბავშვს საზოგადოებაში თავდაჭერილობა. ყმაწვილს უნდა შეეძლოს, არ შეკრთეს, არ დაიბნეს, თავისუფლად გამოთქვას აზრი, საზოგადოებაში, ელიტარულ წრეში შეინარჩუნოს წონასწორობა და საზოგადოება მისდამი პატივისცემით განაწყოს. დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნოს იმ საზოგადოებისადმი, სადაც იმყოფება, გამოავლინოს კდემამოსილება, ჰქონდეს დახვეწილი მანერა. ყოველივე ეს მას სულიერი სამყაროს სიმდიდრედ, პიროვნების ზნეობრივი არსის გამოხატვად მიაჩნია.

ჯონ ლოკი მოითხოვს სხვა ერების ჩვევებისა და ტრადიციების ფლობასაც. ის იძლევა იმ თვისებების მოკლე დახასიათებას, რომლებიც ახალგაზრდას საზოგადოებაში უარყოფით პიროვნებად წარმოაჩენს, კულტურულ წრეში არასასურველ იმიჯს შეუქმნის:

1. უხეში ბუნება.
2. გულარახსნილობა ან ზიზღი, რაც ვლინდება მის მიერ თქმულ ცალკეულ ფრაზებში, სიტყვებში ვლინდება.
3. უზრდელობა, რაც გამოიხატება შურიანობით, ცნობისმოყვარეობით, სხვათა ნაკლის ძიებით და აღმოჩენით.
4. პიროვნების სასაცილოდ აგდება უკეთური სურვილით და შენიღბულად.
5. სიჯიუტე, ამპარტავნობა, ავზნიანობა.
6. მოსაუბრისათვის სიტყვის გაწყვეტინება, უხეში შენიშვნის მიცემა, ახალგაზრდა ყმაწვილის მიერ საკუთარი აზრის სხვებისთვის თავს მოხვევის მცდელობა, საკუთარი შეხედულების ჯიუტად მტკიცება თუნდაც საბუთიანად, ოღონდ არასასურველი ფორმით და სხვ.

მოგზაურობანი

მოგზაურობას ჯონ ლოკი აღსაზრდელის გონებისა და ჭკუის სრულყოფის პირობად თვლის. სხვადასხვა კუთხისა და რეგიონის ხალხთა ზნე-ჩვეულებების, ცხოვრების წესის გაცნობა იწვევს საკუთარი ცხოვრების წესის მრავალგზის კრიტიკულ გადახედვას, გაანალიზებას, მაგრამ მოგზაურობისას ყმაწვილს აუცილებლად უნდა ახლდეს აღმზრდელი. უჩვეულო ცხოვრების პირობებში იგი ეყოლება ბავშვს მზრუნველად, დამცველად, დამრიგებლად. ამის საჭიროება იმით არის ახსნილი, რომ ყმაწვილი ჯერ კიდევ ვერ იჩენს სიფრთხილესა და თავშეკავებულობას. 15-16 წლის ახალბედას აღმზრდელის ყურადღება ხელს შეუწყობს, იოლად შეიცნოს გარემო და გამოიცნოს ადამიანები. აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა, წერს ჯონ ლოკი, – მოგზაურობა, რომელიც ხელს უწყობს ჯენტლმენის ფორმირებას". მეცნიერის აზრით, საგანმანათლებლო თვალსაზრისით მოგზაურობა იძლევა უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობას, გააფართოებს ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების საკითხთა ცოდნას, გამოიწვევს სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ წყობილებათა გაცნობას და ა. შ.

„უკანასკნელი ნაწილი აღზრდისა, – წერდა ჯონ ლოკი შეადგენს მოგზაურობას, რომელშიც ჩვეულებრივ ხედავენ საქმის დასასრულს. ის, რაც

ამთავრებს ჯენტლმენის ფორმირებას“. ჯონ ლოკის აზრით, საგანმანათლებლო შინაარსით მოგზაურობა განაპირობებს უცხო ენების ჩვევების შექმნას. ცოდნის გაფართოებას ისტორიაში. გეოგრაფიაში და ბუნებისმეტყველებაში, სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ წყობათა ცნობას და სხვ. როგორც ჩანს, მისი აზრით დამოუკიდებელი აზროვნებისათვის ადამიანი მზად არის მხოლოდ 21-22 წლის ასაკში და მხოლოდ ამ ასაკში შეიძლება ვანდოთ მას თავისი თავი.

ჯონ ლოკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდთა ტემპერამენტს, განსხვავებულ მიდრეკილებებს. ის აღნიშნავს: „ბავშვთა ბუნება და ხასიათი იმდენად ნაირგვარია, რომ შესაძლებელია დაუსრულებელი მსჯელობა თითოეული მოზარდის, ყმაწვილის სულიერი სამყაროს თავისებურების შესახებ. ადამიანთა, ბავშვთა ბუნების ნაირგვარობას ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და აღნიშნავს: „არ მოიპოვება ორი ერთმანეთის მსგავსი ბავშვი, რომელთა მიმართ შეიძლება გამოიყენონ აღზრდის ერთი და იგივე მეთოდი.“

საზოგადოების ფენებად დაყოფის გამო მოაზროვნე მოითხოვს: პრინციპა, თავადიშვილმა და ჩვეულებრივი ჯენტლმენის შვილმა მიიღონ განსხვავებული აღზრდა; გარდა ამისა, იგი ახალშობილს უწოდებს „თეთრ ქაღალდს, ცვილს“, რომლისგანაც შესაძლებელია გამოიძერწოს რაც გნებავთ.

შრომაში „აზრები აღზრდის შესახებ“ ჯონ ლოკი ფართოდ ეხება სწავლების საკითხებს, სადაც აღწერილია იმდროინდელი სწავლების სხვადასხვა დარგი. ვფიქრობთ, ეს დარგები მისაღები და ტრადიციულიც იყო XVII საუკუნის სასწავლო სისტემისათვის. ამიტომ ლოკი განიხილავს წერაკითხვის, ლათინური და ფრანგული ენების დასაუფლებლად საჭირო საშუალებებს; მსჯელობს არითმეტიკის, გეოგრაფიის, გეომეტრია-ასტრონომიის, ისტორიის, ეთიკის, ხატვის, სპორტული სახეობების, ბუღალტერიის, ხელოსნობის და სხვა საქმიანობისა თუ საგნების დაუფლების აუცილებლობის შესახებ.

არ განვიხილავთ იმ კონკრეტულ პროგრამას, რომელსაც ჯონ ლოკი გეთავაზობს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ პრინციპულ საკითხს. ის არის მთავარი მიმართულება მის შემოქმედებაში – სწავლებისა და აღზრდის პრობლემათა ერთიანობა. შესაძლებელია ითქვას: ლოკი არა მხოლოდ

მომხრეა სწავლების და აღზრდის ერთიანობისა, არამედ თვით სწავლების პროცესიც მას მომავალი თაობის ჭეშმარიტი აღზრდის პირობად წარმოუდგენია. მეტიც, მისთვის სწავლება იგივე აღზრდაა და სწავლების პროცესს საერთოდ არ მიიჩნევს აღზრდისაგან ცალკე გამოსაყოფ კომპონენტად.

დავსძენთ: სწავლების პროცესი ჯონ ლოკის მემკვიდრეობაში ცალკე შესწავლას იმსახურებს და მისი ცალკეული დებულებების გათვალისწინება დიდად დაგვეხმარებოდა თანამედროვე ქართული სკოლების გეგმა-პროგრამების შემდგომ გამდიდრება-დახვეწაში.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჯონ ლოკის პედაგოგიური შეხედულებები, მისი იდეები სწავლა-აღზრდის შესახებ სრულიად მოკლებულია – თანამედროვეობის გადასახედიდან – ყოველგვარ კრიტიკას. მაგრამ იმ დროისათვის ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი, გაბედული, მეცნიერული და პედაგოგიური მიზნები, ამოცანები, რომელსაც გაუჩნდა უამრავი მიმდევრები და პრაქტიკული განმხორციელებელიც.

ჯ. ლოკის შრომა „ფიქრები აღზრდის შესახებ“ წარმოადგენს მწყობრ სისტემას, საკმაოდ ოსტატურად დაკონკრეტებულს და პროგრამირებულს მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის შესახებ, რომელიც ეყრდნობა ჰუმანიზმის, ზნეობრიობის უაღრესად ღრმა საფუძვლებს.

ჯონ ლოკის, როგორც განმანათლებლისა და პედაგოგის დასადასტურებლად მოვიყვანოთ რამოდენიმე დებულებას მისი შრომიდან. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანში არსებულ ძალას, რომელიც გონების საშუალებით უარყოფს სასარგებლო, მავნე სურვილებს და, მიუხედავად დიდი მისწრაფებებისა, წინ აღუდგება უარყოფით მიდრეკილებებს, ამის გარეშე ადამიანში ვერ ჩამოყალიბდება ჭეშმარიტად სათნო და ზნეობრივი პიროვნება.

➤ აღმზრდელის ვალია აღსაზრდელს ჩამოუყალიბოს სული და გამოუმუშაოს ქცევა, სათანადო ჩვევები, შესძინოს სიბრძნე და ზნეობრივი ღირებულებები. მისცეს ძალა თვითდარწმუნების, სიმხნევე და სიბეჯითე წრთვით ავარჯოს ქცევაში.

მთავარია „ჯენტლმენის“ ჩამოყალიბებისას არა მხოლოდ ცალმხრივი განათლება, სწავლა სხვადასხვა დარგობრივ სფეროში, როგორცაა წვდომა მეტაფიზიკის სფეროში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში, ისტორიაში,

ქრონოლოგიაში, რომელიც ცოდნის სამყაროს გასაღებია, არამედ უფრო მნიშვნელოვანია მისი კეთილზნობრიობა, სათნო პიროვნებად ჩამოყალიბება, რომლის გარეშე იგი ღარიბია, განიცდის სიმწარეს აღზრდის თვალსაზრისით, რომელიც ადაბლებს ადამიანურ ღირსებას და ხდის მას არასრულყოფილ, არასრულფასოვად პიროვნებად.

საინტერესოა ჯ. ლოკის ტრაქტატი აღსაზრდელში ჩვევათა ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: უნდა ხდებოდეს ჩვევების ჩამოყალიბება: სხეულის ფლობის მიმართულებით გონებრივი მოქმედებების სფეროში და სოციალურ-მორალური თვალსაზრისით.

ჯ. ლოკის ზემოაღნიშნული რჩევები დაფუძნებულია თვისებების ფორმირებაზე, რომელიც საჭიროა „ჯენტლმენის“ აღზრდისთვის, რათა მან შეასრულოს თავისი მოვალეობები საზოგადოებრივ საქმიანობაში.

დაუსრულებლად არის შესაძლებელი მოვიყვანოთ უამრავი მაგალითები მისი პედაგოგიური შეხედულებების შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ ჯ. ლოკი წარმოადგენს პედაგოგიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს განმანათლებელს, პედაგოგს, რომლის ნააზრევიც საუკუნეების მანძილზე და თანამედროვე ეტაპზეც ღირსეულად ეხმაურება მომავალი თაობის სწავლა-განათლების პრობლემებს.

**§2. ჯონ ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობის ფილოსოფიური,
ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და სოციოლოგიური საფუძვლები ნაშრომის
„ცდა ადამიანის ბონების შესახებ“ მიხედვით**

ჯონ ლოკი თავის დროისათვის უაღრესად ნოვატორული იდეებით მოვიდა პედაგოგიურ მეცნიერებაში. თავის ძირითად ფილოსოფიურ ნაშრომში „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ ლოკმა დაასაბუთა, რომ ადამიანის ცხოვრებაში არ არის თანდაყოლილი იდეები და წარმოდგენები, ბავშვის სული „სუფთა დაფას“ (ტაბულა რაზას) ჰგავს. აქედან გამომდინარე ჯონ ლოკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღზრდას და განათლებას ანიჭებდა და ამბობდა: „ათიდან ცხრა იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ჩვენ ვხვდებით, არიან კეთილნი ან ბოროტნი. სასარგებლონი ან უსარგებლონი თავიანთი აღზრდის შედეგად. სწორედ აღზრდა ქმნის დიდ განსხვავებებს ადამიანებს შორის.

ლოკის როგორც ფილოსოფოსის მნიშვნელობა პირველ რიგში გამოიხატება, რომ მან ფილოსოფიური საკითხების განხილვისას შემეცნების თეორია პირველ ადგილზე დააყენა. მთელი ახალი ფილოსოფიის დასაწყისი ხასიათდებოდა მეთოდის პრობლემის აღმოჩენა-განვითარებაში.

პედაგოგიკის ისტორიაში ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების ფაქტორების საკითხი ყოველთვის პრობლემურ, პირველხარისხოვან საკითხად ითვლებოდა. პედაგოგიკის თითქმის ყველა გამოჩენილი კლასიკოსი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის მოძღვრებაში აღზრდის როლს და, შეიძლება ითქვას, მასზე აგებს მთელ პედაგოგიურ სისტემასაც.

პედაგოგიური აზროვნების ისტორია ამ მხრივ მიმდინარეობათა და შეხედულებათა სხვადასხვაობით ხასიათდება, რომელიც შეიძლება ასე დაიყოს: პირველი – მიმდინარეობათა და შეხედულებათა ის ჯგუფი, რომელიც უგულვებელყოფს პიროვნების ფორმირების პროცესში აღზრდის როლს და ყველაფერს თანდაყოლილი იდეებით, მემკვიდრეობით გადმოცემული ან ბავშვის ბუნებრივი თავისებურებებით განსაზღვრავს. მისი იდეოლოგიური საფუძველი იდეალიზმია. მეორე – პირველის სრულიად საწინააღმდეგო „სუფთა დაფის“, ე.

წ. აღზრდის ყოვლისშემძლეობის თეორია. მესამე – ორივეს მექანიკურად შემარიგებელი კონვერგენციის თეორია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯონ ლოკის თანდაყოლილი იდეების კრიტიკამ, სწავლებამ ცოდნის გრძნობადი წარმოშობისა და მორალის შესახებ, რომლის საფუძველია გამოცდილება, შემეცნების თეორიის სიღრმისეულმა დამუშავებამ ხელი შეუწყო იმდროინდელი ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ განვითარებას. ამავე დროს, ეს იყო ძირითადი საყრდენი, რომელზედაც მან ააგო პედაგოგიკური იდეები, შეხედულებები და აზრები. იგი ფართოდ იკვლევს შემეცნების საკითხს და მიზნად ისახავს დაადგინოს ცოდნის წარმოშობა, მისი სიცხადის ხარისხი, შემეცნების უნარი და საზღვრები.

ლოკი თავის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, აკრიტიკებს რა თანდაყოლილი იდეების არსებობას, აღნიშნავს: ბავშვი – ეს არის „სუფთა დაფა“; ცნობილია მისი დებულება, რომელსაც ლათინურად ეწოდება „ტაბულა რაზა.“ სწავლა-აღზრდის პროცესი, ლოკის მიხედვით, ჯენტლმენის აღზრდის, ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა; ვფიქრობთ, ყოველივე ეს პიროვნების ჩამოყალიბების თანამედროვე იდეასა და მის შინაარს გარკვეულწილად ესადაგება.

ჯონ ლოკის მემკვიდრეობაში მოცემულია საინტერესო, არგუმენტირებული, სიღრმისეული მსჯელობები თანდაყოლილი იდეების არარსებობის შესახებ (იხ.კ. ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. VI, გვ. 115). ჩვენ არ შევუდგებით მათ ღრმა გაანალიზებას, მაგრამ ვიტყვით, რომ სწავლა-აღზრდის თეორიის პრობლემის განხილვისას, მთელი მისი პედაგოგიკური იდეების, შეხედულებების საფუძველს სწორედ შემეცნების, როგორც ცოდნის დაუფლების პროცესის, სრულყოფილი, ამომწურავი გაშუქება ქმნის.

ლოკის ფილოსოფია ეხება თანდაყოლილი იდეების თეორიის კრიტიკას, ცდის თეორიას, მარტივი და რთული იდეების თეორიას, ენის როლს შემეცნების პროცესში, მათთან დაკავშირებით ზოგადი ცნებების წარმოშობისა და შემეცნების ძირითად საკითხებს, მის საზღვრებს, ჭეშმარიტების პრობლემებს და ცოდნისა და რწმენის ურთიერთდამოკიდებულებას. იგი განიხილავს შემეცნების სამ ხარისხს:

I – გრძნობადი ცოდნა საგანთა არსებობის შესახებ.

II – ინტუიციური ცოდნა ჩვენი საკუთარი არსებობის შესახებ, მე ვაზროვნებ, ვმსჯელობ, განვიცდი სიამოვნებას, უსიამოვნებას, ვნებას და ეს საკმარისია ჩემი არსებობის დასადგენად. თუ მე დაეჭვებული ვარ, ეს ეჭვი მაჩვენებელია ჩემი არსებობის.

III - დემონსტრაციული ცოდნა, დემონსტრაციული შემეცნება არ არის ცხადი და ნათელი. იგი დამტკიცებას ეყრდნობა, დასაბუთებას მოითხოვს.

ლოკი დაასკვნის, რომ ჩვენ გვაქვს საკუთარი არსებობის ინტუიციური შემეცნება, დემონსტრაციული ცოდნა ღვთის არსებობაზე და საგანთა რიცხვის გრძნობადი შემეცნება.

მაშ, რას ეყრდნობა თანდაყოლილი იდეების უარყოფის შემთხვევაში ადამიანის შემეცნება? ლოკი უპასუხებს, რომ გამოცდილებაში თავს იყრის მთელი ადამიანური ცოდნა და მის საწყისად შემდეგს თვლის:

I – გრძნობად აღქმას, შეგრძნებებს – ცივი, ცხელი, მჟავე, მწარე.

II – იდეებს, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი შინაგანი მდგომარეობიდან. მაგ. სურვილი, რწმენა, მერყეობა, დასკვნის გამოტანა; ადამიანის სულის ასეთ მდგომარეობას ლოკი უწოდებს რეფლექსიას.

ლოკის შემეცნების თეორიის არსი მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ: არ არსებობს თანდაყოლილი იდეები, რომლებიც საწყისშივე არის ჩადებული ადამიანის სულში; ასევე არ არსებობს იდეები გამოცდილების მიღებამდე, რომელიც წარმოადგენს გრძნობად აღქმას. ყველა იდეა წარმოიშობა შეგრძნებიდან. შემეცნების მთელი შინაარსი მოიპოვება ცლით, ანუ გამოცდილებით. გამოცდილება, რომელიც ადამიანს აქვს, ორგანოა:

ბარმბანი – გრძნობადი ორგანოების აღქმიდან, რომელიც იძლევა ცოდნას გარემომცველი სამყაროს შესახებ (მასში შედის ჩვენი საკუთარი სხეული).

შინაბანი – საკუთარ სულიერ მდგომარეობასა და მოქმედებაზე უშუალო დაკვირვება.

მაგრამ შინაგანი გამოცდილება განპირობებულია გარეგანით, რადგან ჩვენი სულიერი მდგომარეობა იბადება გრძნობადი აღქმის მეშვეობით. ე. ი. ცოდნის ყოველგვარი წყაროა. გარეგანი გრძნობების ორგანოებზე ზემოქმედების მონაცემები (დაკვირვება და გამოცდილება სიტყვის სრული მნიშვნელობით). შეგრძნებები, რომელთაც გადაამუშავებს ინტელექტი. რომ არა გრძნობადი

აღქმები – სული „თეთრი ქაღალდია“, მასში არ იქნება არავითარი წარმოდგენები და მეტიც, არავითარი აზროვნება.

გრძნობადი შეგრძნებების საფუძველზე ინტელექტი აგებს ცოდნას, ფაქტის უშუალო კონსტატირებით ან ცდების, გამოცდილების საფუძველზე კავშირების დამყარებით ან დასკვნების საშუალებით, რომელსაც აღქმა უშუალოდ ვერ სწვდება.

შემეცნების ეს თეორია ფსიქოლოგიურია, სადაც იკვეთება შემეცნების ფსიქოლოგიური პროცესი; ხდება ჩვენი წარმოდგენების წარმოშობა და მასზე ინტელექტის ზემოქმედება.

ჯონ ლოკმა ეს თეორია ჩამოაყალიბა შრომაში „ცდა ადამიანის გონების შესახებ.“

აღნიშნულ შრომაში ნათლად არის გამოხატული ურთიერთდამოკიდებულება გრძნობად აღქმასა და წარმოდგენების შექმნის პროცესს შორის, წარმოდგენებსა და აბსტრაქტულ იდეებს შორის, რაც ეყრდნობა ცდის უშუალო მონაცემებსა და დასკვნებს.

აქ მოცემულია სრული სურათი იმისა, რომ აბსტრაქტული იდეების შინაარსი ნასესხებია კონკრეტული საგანისა.

ამგვარად, ჯონ ლოკმა ნათელი მოჰფინა საკითხს, თუ რა გზით ახერხებს ინდივიდი გარემომცველ სამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნებას.

შემეცნების ლოკისეულ თეორიას დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ფსიქოლოგიურ შემეცნებით პროცესს და მის შედეგებს.

ბავშვს შეიძლება ჰქონდეს მემკვიდრეობით მიღებული ცუდი თვისებები, მაგრამ ისინი არ არიან უცვლელნი და აღზრდის მეოხებით ყოველთვის შეიძლება მათი სასარგებლო თვისებებად გარდაქმნა. სწორედ ამ ატავისტური თვისებების განსაზღვრა, გარჩევა შეძენილისაგან და მათი აღმოფხვრა, ან უკეთ რომ ვთქვათ, სასარგებლო თვისებად გარდაქმნა ახალი დანიშნულებაა სკოლისა. დიდი მნიშვნელობა აქვს ამავე დროს იმ გარემოს, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება. გარემო პიროვნების ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად ითვლება. გარემო მას ესმის ადამიანის გარემომცველი ბუნება თავისი მრავალფეროვანი მოვლენებით და საზოგადოება, რომელშიც იგი

ცხოვრობს. ბავშვი თავისი ცხოვრების მანძილზე ეცნობა როგორც ბუნების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებს. ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს მასზე. მართალია, ორგანიზებული აღზრდის პროცესი განაპირობებს ბავშვის ჩამოყალიბებას და აღზრდაზე დამოკიდებული, თუ როგორი თვისებების მქონე ადამიანად ჩამოყალიბდება იგი ცხოვრებაში, მაგრამ ორგანიზებული აღზრდის შედეგი ბევრადაა დამოკიდებული იმ საზოგადოებაზე, რომლის წიაღშიც ბავშვი იზრდება. „როცა რომელიმე ინდივიდი ცუდ საქმეს ჩაიდენს, ხშირად იმ საზოგადოებას ვდებთ ბრალს, სადაც დამნაშავე ცხოვრობდა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებას თვითეულს თავის წევრზე აქვს აღმზრდელობითი გავლენა. თუ საზოგადოება კეთილი და გონიერია მაშინ ამ საზოგადოებაში იშვიათად გამოერევა ბოროტი ადამიანი.

სოციოლოგიურ პრობლემათა კვლევის პროცესის ერთ-ერთი ასპექტი გამოხატულია ლოკის დამოკიდებულებაში რელიგიისადმი. უნდა ითქვას: რელიგიის შესახებ დაწერილ შრომაში არ არის გამოკვეთილი ავტორის საბოლოო პოზიცია. ეს პოზიცია უნდა აღმოვაჩინოთ მის მსჯელობებში. რელიგია რეალურია მაშინ, როცა ის ეყრდნობა გარდაუვალ მტკიცებებს, რაც ხდება ბუნების გონებით შემეცნების დროს. მეცნიერი აღნიშნავს: „არაფერი არ უნდა ვირწმუნოთ მხოლოდ რწმენით, დაჯერებით, კრიტიკული კვლევის მოუმარჯვებლად; თუმცა დოგმათა უმრავლესობა არ ეწინააღმდეგება გონებას და უძლებს კრიტიკას, მაგრამ არც მათი უკრიტიკოდ მიღება ივარგებს. ეს არის აშკარა წინააღმდეგობა დამოუკიდებლად მოქმედი გონების ავტონომიისადმი, მისი პრინციპებისადმი. ასევე წინააღმდეგობრივია მისი შემეცნების თეორიაც, რადგან არ ცნობს ცოდნის წყაროს შინაგანი და გარეგანი მონაცემებით მიღებული გამოცდილების თვინიერ.

ამ აზრს იზიარებს ცნობილი რუსი მეცნიერი დ. რახმანი თავის შრომაში „ჯონ ლოკი“ (დ. ი. აქსელროდის რედაქციით, გამომცემლობა „ჩერვონი შლიახ“, 1924 წელი). დ. აქსელროდი ჯონ ლოკის რელიგიურ შეხედულებაზე ხმარობს გამოთქმას „Признание Локком примата разума над религией“ (ლოკი გონებას რელიგიაზე მაღლა აყენებს). დ. რახმანს თავის შრომაში მოცემული აქვს მთელი რიგი საინტერესო და მიმანიშნებელი დებულებები ლოკის მსჯელობებიდან, რომლებიც ადასტურებენ გონების უპირატესობას რელიგიაზე [42, 62].

ლოკი თავისუფალ სახელმწიფოში თავისუფალი ეკლესიის მომხრეა და მოითხოვს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას. რელიგია მას მიაჩნია თავისუფალი, კრიტიკული კვლევის სფეროდ. აქედან გამომდინარე, იგი თავისუფალი რწმუნებულების მომხრეა და დასძენს, რომ რელიგია ადამიანის პიროვნული საქმეა. ადამიანი თვითონ განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ზენაარსისადმი ყოველგვარი შუამავლისა თუ ავტორიტეტის გარეშე. ადამიანი სხვას არ უნდა ახვევდეს თავს საკუთარ რელიგიურ რწმუნას, იგი თვითონ ირჩევს თავის კულტს. კულტი და მისი რიტუალები მორწმუნეთა ჯგუფების საქმეა და არა სახელმწიფოსი, – აღნიშნავს ლოკი. მისი აზრით, საჭირო და აუცილებელია, ადამიანებმა შეიძინონ ცოდნა ღვთისა და რელიგიის შესახებ, იცოდნენ ზოგადი რელიგიური ცნებები, რათა მთელი გულისყურით დაეუფლონ რელიგიურ ცოდნას.

საზოგადოებაში რელიგიური რწმუნის პრობლემების მოგვარებისას თავს იჩენს სოციოლოგიური პრობლემები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯონ ლოკის თეორია, რომელიც გაშუქებულია ტრაქტატში სახელმწიფოს შესახებ. იგი მსჯელობს თავისუფალი და თანაბარუფლებიანი ადამიანების შესახებ, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მუშაობენ. ამ საქმეში არავის აქვს, – აღნიშნავს ლოკი, – ძალადობის უფლება. ძალადობისაგან თავდასაცავად ადამიანებმა უნდა შექმნან საზოგადოებრივი კავშირები, რომლებსაც ემორჩილებიან ნებაყოფლობით და გადასცემენ თავიანთი უფლებების ნაწილს თითოეულისა და ყველას სასარგებლოდ. ეს უნდა მოხდეს ურთიერთსასარგებლო ინტერესებისა და საერთო ნების საფუძველზე. მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს თავისუფალი ურთიერთობის პრინციპებს.

ლოკის შეხედულებები სახელმწიფოსა და ადამიანების ურთიერთობის შესახებ სრულიად გაცხადდა წარმომადგენლობით მმართველობის თეორიაში. უმაღლესი კანონმდებლობა უნდა იყოს კანონმდებლური, ხოლო ადამიანებს ეძლევათ უფლება წარმოადგინონ თავიანთი წარმომადგენლები ხმის უმრავლესობით.

ჯონ ლოკს მიაჩნია, რომ ხელისუფლების სწორი ფუნქციონირების მიზნით სასურველია სხვადასხვა სფერო სტრუქტურულად შემდგენიარად დაიყოს:

ეგზეგუციური, ე.ი. საკუთრივ აღმსრულებლობითი, და სასამართლო, რომელიც უნდა იყოს შერეული, და ფედერალური (ანუ საგარეო საქმეები). აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში უნდა იდგეს მეფე, რომელიც დაემორჩილება კანონებს. კანონის დარღვევის შემთხვევაში ხელისუფლება კარგავს ძალაუფლებას და უბრუნდება ხალხის წიადს.

ლოკი გამოკვეთილად საუბრობს პიროვნების თავისუფლების შესახებ, რომელიც მოლაპარაკების საფუძველზე აგებს, წყვეტს საკუთარ საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებებს.

ასეთია მკვლევარის შეხედულება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელიც მან ჰარმონიულ ურთიერთობათა ჩამოყალიბების საფუძველად მიიჩნია.

ჩვენ მიერ გაშუქებული ჯონ ლოკის შეხედულებები რელიგიისა და სახელმწიფოს შესახებ პიროვნების ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორებია, ხოლო პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს საზოგადოებაში, სადაც ესოდენ მნიშვნელოვან პრობლემებს წყვეტენ, თავისთავად წარმოადგენენ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის სოციოლოგიურ საფუძველებს.

მიზანშეწონილად ვთვლით, აღვნიშნოთ: ჯონ ლოკის შრომა „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ აპირობებს აღმზრდელობითი სისტემის როგორობას, განსაზღვრავს მისი პრობლემების დადებითად გადაწყვეტას. საერთოდ, ლოკის შრომები „ფიქრები აღზრდაზე“ და „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ ორგანულად და მყარად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ შრომებში მოცემული თეორიული პოსტულატები შეიცავს სწავლა-აღზრდის პროცესის ჭეშმარიტად მიზანდასახულად წარმართვისთვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ მსჯელობებს, აუცილებელ და საჭირო დარიგებებს, რჩევებს. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ეს ორი შრომა ერთმანეთს განსაზღვრავს და განაპირობებს. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან ერთ მონოლითურ მთლიანობას.

„მაღალი ინსტანცია, რომელსაც საკუთარი ქცევისას მიმართავს ადამიანი, არის მისი გონება [31, 267], – აღნიშნავს ლოკი. მისი ფიქრით, გონება არის ის ფენომენი, რომელიც, კარგად თუ ავად ინფორმირებული, განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს იმ ცოდნით, რასაც ამ მომენტში ფლობს და ამ ჭეშმარიტი თუ ფსევდო ცოდნით ხდება მისი შემოქმედებითი ძალების მართვა. ამიტომ

აუცილებელია ზრუნვა ადამიანის გონებრივ აღზრდაზე, რათა ცოდნის მიღებისას და მსჯელობის დროს გონება სწორი გზით მიემართებოდეს.

ამ თვალსაზრისით იგი წინ წამოწევს ადამიანთა ნიჭიერების განსხვავებულობის პრობლემას, რაც ვლინდება ოპერაციების ჩატარების პროცესში შესაძლებლობათა ნაირგვარობით.

- ადამიანები ძალიან განსხვავდებიან შესაძლებლობის თვალსაზრისით, – აღნიშნავს ლოკი. ეს განსხვავება ძვეს ადამიანთა ბუნებით ნაბოძებ შესაძლებლობებში, მაგრამ, ამავე დროს ისეც ხდება, როდესაც პიროვნება თავისი თავის სათანადოდ შეუფასებლობის გამო ვერ აღწევს იმას, რაც მას რეალურად შეუძლია.
- დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსჯელობის, განსჯის პროცესს. საამისოდ ადამიანს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული იდეები, რომელთა განვითარების დროს საჭიროა გონივრული მსჯელობა და განსჯა.

ჯონ ლოკი წარმოგიდგენს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანის ტიპებს:

1. ისინი, რომლებიც ბჭობენ და მოქმედებენ სხვისი მაგალითის საფუძველზე (მშობლების, მეგობრების და სხვა). ხშირად ეს გამოწვეულია სიზარმაცით: არ სურთ გასწიონ მძიმე შრომა, რაც ესოდენ საჭიროა აზროვნებისა და დამოუკიდებელი განსჯისათვის.
2. ისინი, რომლებიც მიჰყვებიან ვნებას და მას გონებაზე მაღლა აყენებენ, ისინი არ უსმენენ სხვის გონივრულ რჩევას. სხვათა შორის, ეს ვითარება „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი ფორმულის სახით გვხვდება: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“.
3. ადამიანების კატეგორია, რომლებიც გულწრფელად და ხალისიანად მიჰყვებიან გონებას, მაგრამ არ ძალუძთ მთელი სიღრმითა და სისრულით ჩასწვდნენ იმ საკითხებს, გადაწყვეტილების მისაღებად რომ ესოდენ საჭიროა.

ამ დროს აუცილებელია, – აღნიშნავს ლოკი, – ადამიანი იყოს ერთობ ორგანიზებული, კომუნიკაბელური, ადამიანებთან ურთიერთობისას შეეძლოს გულწრფელი კამათი და მსჯელობა, რათა სხვათა შეხედულებებს შეაჯეროს თავისი შეხედულებები, აზრები, იდეები.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლოკი ისეთ ადამიანთა დახასიათებას, რომლებსაც აქვთ შეხედულებების, იდეების ვიწრო თვალსაწიერი. ეს იწვევს არასასურველ შეზღუდულობას. „გაიაზრე და გაისიგრძეგანე ყველა საგანი, ხოლო შეამჩნიე და დაეყრდენი იმას, რომელიც შენთვისაა კარგი და სასარგებლო.“ იგი მოუწოდებს ადამიანებს, ისწავლონ სიცრუისა და ჭეშმარიტების გარჩევა. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემატურ გონებრივ ვარჯიშს, უნართა და ჩვევათა გამომუშავებას.

საერთოდ ჯონ ლოკი ადამიანს დიდი პოტენციალისა და შესაძლებლობების არსებად მიიჩნევს და აღნიშნავს: „ადამიანებს იმაზე მეტი შეუძლიათ, ვიდრე წარმოგვიდგენია.“

მოაზროვნე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უნარებისა და ძალების განვითარებას ვარჯიშის გზით. ვარჯიში პიროვნებას უყალიბებს ისეთ აუცილებელ თვისებებს, როგორცაა გონებამახვილობა, მოხერხებულობა, გერგილიანობა. ვარჯიშსა და განმეორებით მოქმედებებს, – აღნიშნავს იგი, – ბუნებრივი ნიჭიერების დონეზე აჭყავს უბრალო ადამიანის შესაძლებლობანი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ადამიანთა გონებრივ შესაძლებლობებს განსაზღვრავს არა ბუნების მიერ ბოძებული ნიჭიერება, არამედ უნარი ჩვევათა ფორმირების მიზანდასახული წარმართვისა.

ასეთ ადამიანებს აქვთ საკუთარი იდეები, რომელთა ჭეშმარიტებასაც პრაქტიკულ ცხოვრებისეული მაგალითები ადასტურებენ. ასეთ ადამიანთა მსჯელობებში ვლინდება ცოდნის სიღრმე და ნათლად გადმოცემის მაღალი ხარისხი.

ჯონ ლოკი საუბრობს ადამიანების მიერ ზოგადი თუ აბსტრაქტული მორალური იდეების ფლობის შესახებ. მორალური იდეების წვდომა მოითხოვს სერიოზულ გონებრივ ოპერაციებს. მაგალითისათვის ის ასახელებს ადამიანების სამართლიანობას, რომელსაც მივეყვართ მოვალეობისა და სამართლიანობის იდეის სრული წვდომისაკენ. ლოკი, ამავე დროს, ფაქტობრივად აყენებს ადამიანების მიერ მათ უფლება-მოვალეობების იდეის განსჯის საკითხს.

ცოდნის მოპოვების რთულ გზაზე გონება ჭეშმარიტებისა და სიცრუის დასადგენად ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს.

სწავლა-აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი გონებრივი ოპერაციების ჩატარებას, რომლებიც მოითხოვს გარკვეულ პრინციპებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი დებულებების დამტკიცებას. ამ დროს უნდა არსებობდეს რაღაც წინასწარი ვარაუდი. ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვთ ადამიანებს ნავარჯიშები გონება და გამომუშავებული გარკვეული უნარ-ჩვევები.

ლოკი ასეთი გონებრივი ოპერაციების ჩატარების დაწყების აუცილებლობას ვარაუდობს მოზარდობის ასაკში და აღნიშნავს, რომ ცხოვრების მომდევნო ეტაპზე ზემოაღწერილი პროცესების განხორციელება თითქმის შეუძლებელია, რადგან იგი ბავშვობის ხანაში ჩამოყალიბებულ ჩვევებს უნდა დაეფუძნოს.

ამ თვალსაზრისით შემოქმედი განიხილავს მათემატიკის სწავლების პროცესს, რომელიც მოითხოვს მსჯელობას, გონებრივ ოპერირებას ყოველ ცალკეულ საკითხზე.

მტკიცებულებისას საჭიროა თვალის მიდევნება იდეის კავშირებსა და თანამიმდევრობაზე მანამდე, ვიდრე გონება იმ ძირითად წყარომდე არ მივა, საიდანაც ეს იდეა გამომდინარეობს, თუმცაღა ალბათობის შემოწმებისას ეს როდია საკმარისი გადაწყვეტილების გამოტანისათვის ისე, როგორც ეს ხდება დემონსტრაციული ცოდნის დროს.

ამ დროს როდია საკმარისი ერთი არგუმენტი და მისი სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, არამედ საჭიროა რამდენიმე ან ყველა არგუმენტი, მათი ურთიერთდაპირისპირება, ყველა პარამეტრის გათვალისწინება. მხოლოდ ასე მიდის გონება განსაზღვრულ გადაწყვეტილებამდე.

მსგავსი ოპერირების ჩვევის გამომუშავება უტყუარი გზაა, რომელსაც გონება აჰყავს ფართო აზროვნების დონეზე, ჭეშმარიტად თავისუფალი აზროვნების სიმაღლეზე. ამ ვითარებაში შესაძლებელი ხდება შეცდომების თავიდან აცილება.

ლოკი გონებრივი ოპერაციების ჩატარების ზემოაღწერილი მეთოდის ერთ-ერთ ფორმად ასახელებს დისპუტს, რომელიც სკოლებში ტარდება. მეცნიერი გადაჭრით უარყოფს მის დადებით შედეგს, რადგან ამ დროს ჭეშმარიტების დადგენა ხდება ერთი რომელიმე კერძო არგუმენტის

საფუძველზე. ეს იგივეა, – აღნიშნავს ლოკი, – რომ გამოვიყვანოთ ანგარიშის ბალანსი ერთი რომელიმე თანხის მიწერით ან ჩამოწერით, როდესაც არსებობს უამრავი სხვა ვარიანტი და როცა საჭიროა გაანალიზებითა და დაპირისპირებით იქნეს მიღებული სწორი შედეგი.

ლოკი თვლის, რომ ადამიანის გონება სულ უნდა მოძრაობდეს. განსაკუთრებული წვრთნა სჭირდება მას ცრურწმენის გასაფანტავად; ამისათვის აუცილებელია საკუთარ თავში არსებული აზრებისა და შეხედულებების, იდეების შემოწმება; საკუთარ თავში ღრმად ჩახედვა იწვევს ადამიანის დახვეწას, უარყოფითის საღი განსჯის გზით აღმოფხვრას. ადამიანის ცხოვრებისეული სიფრთხილე გონებრივი განსჯის საფუძველზე მიიღწევა. აზრების, შეხედულებების გადამოწმების უნარი, სხვა ადამიანების აზრთან მისი შეჯერება ჭეშმარიტების დადგენის საშუალებააო, - აღნიშნავს მოაზროვნე.

შრომაში „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს მოზარდში მთელი რიგი ზნეკეთილი თვისებების, სულიერი ღირებულებების ფორმირებაზე, რაც დიდ როლს ასრულებს პიროვნების (ჯენტლმენის) ჩამოყალიბების პროცესში. იგი მთელი სიღრმით განიხილავს პიროვნების ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მის თვისებათა და სულიერ ღირებულებათა როგორობას, იძლევა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების დახასიათებას.

ამ თვალსაზრისით განიხილავს ჯონ ლოკი ადამიანის ისეთ თვისებას, როგორცაა გულგრილობა. იგი თვლის, რომ გულგრილობა ჭეშმარიტების დადგენის გზაზე მნიშვნელოვანი წინაღობაა. ეს არის ადამიანის სულიერი სამყაროს სიღარიბე და სისუსტე. აუცილებელია ადამიანს ჰქონდეს საიდუმლოთა წვდომის მძაფრი ინტერესი, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ აქტივობასაც და აქტივობისათვის საჭირო მამოძრავებელ იმპულსსაც.

ლოკი პირდაპირი მნიშვნელობით არ ხმარობს ტერმინს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მაგრამ მისი პედაგოგიკური შეხედულებები მკაფიოდ გამოხატავს ამ ტერმინში ნაგულისხმევ შინაარსს.

ლოკის შეხედულებით, ადამიანს უნდა ჰქონდეს ყოველი არსებულის და ყველაფრის სისტემატური შემოწმების და გადამოწმების ჩვევა და უნარი,

მისწრაფება სრულყოფილებამდე მიიყვანოს ყოველი ნაშრომი, მოქმედების შინაარსი. ეს მოითხოვს აზრების, შეხედულებების ირგვლივ გონების დაძაბვას, მოძრაობას, პიროვნების ძალისხმევას, რათა დაუღალავად იღვაწოს საკუთარი მსოფლმხედველობის მყარ და ნამდვილ საფუძველზე აგებისთვის. გონების ამგვარი სისტემატური ვარჯიში მოზარდის სწავლებისა და აღზრდის აუცილებელი პირობაა; მისი გონება დაუფლებული უნდა იყოს თავისუფალი მოძრაობის ჩვევებს; ეს მას საშუალებას მისცემს, ჩასწვდეს ცოდნის სხვადასხვა დარგს, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგება. გონების სისტემატური წვალბა ადამიანს მისცემს საშუალებას, არ დაემონოს ყოველგვარ ცნობილ დოგმას, რომელიც გაბატონებულია საზოგადოებაში როგორც უცვლელი და სამარადისო ჭეშმარიტება.

დიდ მნიშვნელობას აძლევს ჯონ ლოკი განზოგადებას. ამ დროს ხდება ძირითადი თეორიული დასკვნების გამოტანა, რასაც, ამავე დროს, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ ჯონ ლოკი საუბრობს არგუმენტების შესახებ. მას თავისი როლი და ადგილი აქვს ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. იგი გონების ოპერირების საფუძველია; არგუმენტს მკვლევარი არ მიიჩნევს სასარგებლოდ, თუ იგი ემსახურება საკითხის ერთ მხარეს და გამორიცხავს ან უყურადღებოდ რჩება სხვა მხარეები. არგუმენტი, რომელიც ეყრდნობა კერძო ძალაუფლებას ან სარგებლობს ჭეშმარიტების დადგენის დროს, გვიბიძგებს დიდი შეცდომებისაკენ, – აღნიშნავს იგი.

ჯონ ლოკს მიაჩნია, რომ ჭეშმარიტების დადგენას ხელს უშლის ზერეულე და ნაჩქარევი დასკვნები, რასაც ადამიანი ფორმალურ მტკიცებულებამდე მიჰყავს; ამ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოდის სიზარმაცე და მოუთმენლობა. სიზარმაცე არის დედა ზერელობისა, ხოლო მოუთმენლობა – ნაჩქარევი დასკვნისა. ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჭეშმარიტების დადგენაზე მერყეობა და მოსაზრებათა ხშირი ცვლა. ამ შემთხვევაში უმეტესად თავს იჩენს სიზარმაცე, რომელიც შეზავებულია პატივმოყვარეობასთან. სწორედ ეს არის პოზიციების გაუთავებლად ცვლის თავწყარო. არის ვითარება, როცა სხვადასხვა ტემპერამენტის ადამიანებს ბეზრდებათ ერთი და იგივე საქმიანობა და ამიტომ სისტემატურად იცვლიან საზოგადოებრივ როლებს. მათ აკლიათ

სიბეჭითე და მუყაითობა. ამ შემთხვევაში ხშირად იკვეთება უარყოფითი ტენდენცია, რომელსაც ზედაპირულობამდე მივყავართ. ზედაპირულობა ვლინდება საგნების შესახებ არამყარი და არაზუსტი ცოდნის ვითარებაში. ამ დროს პიროვნება ძალზე შორს არის ჭეშმარიტების დადგენისაგან, ამიტომ საჭიროა სისტემატური ზრუნვა საგნების შესახებ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნისა და ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნული მოთხოვნა კი განაპირობებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესახებ უნივერსალური ცოდნის მიღების აუცილებლობას არა ამა თუ იმ კანონზომიერებისა თუ თეორიის ვიწრო თვალთახედვით დანახვას. უნივერსალურმა ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ გამოიყოს ურთიერთისაგან მნიშვნელოვანი დებულებები. ეს იძლევა შესაძლებლობას, პიროვნებამ ფართოდ განავითაროს თავისუფალი აზროვნება, პრაქტიკული მოქმედებებისა და ვარჯიშის საფუძველზე, შეიმუშავოს სათანადო უნარ-ჩვევები.

ჭეშმარიტი ჯენტლმენის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობად მიიჩნევა მეცნიერ-პედაგოგი თეოლოგიის დაუფლებას. აღნიშნულ თვალსაზრისში შესაძლებელია ამოვიკითხოთ ძირითადი პრინციპები.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მკვლევარი მძაფრ მიდრეკილებებს, რომელიც ტემპერამენტიდან გამომდინარეობს; ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს კერძო გარემოებებთან, გარკვეულ ინტერესებთან. ავტორი მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, რადგან კერძო ინტერესი ხშირად ხდება ხელისშემშლელი ფაქტორი ჭეშმარიტების დადგენის გზაზე აზროვნებითი პროცესის წარმართვის დროს.

ასეთ შემთხვევებზე ფაქტორად ჯონ ლოკს მიაჩნია წინასწარ შექმნილი, აკვიტებული, ამოხმებული, როგორც ვიქტორ ნოზაძე იტყოდა, „აინჭილებული“ აზრი. ხდება ისიც, რომ გონებრივი გადატვირთვის გამო მოზარდი ვერ ერევა მოზღვავეებულ გადასამუშავებელ მასალას და იწყებს დაძაბულ მუშაობას. არადა სასურველია ჭეშმარიტებასთან აუხჩარებლად და თანდათანობით მისვლა. აქვე ლოკი ეხება სწავლებისა და აღზრდის ისეთ მხარეს, რომელიც შეუმუშავებს მოზარდს ნებისმიერი ცოდნისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას; მისთვის არ უნდა იყოს ავტორიტეტის მიერ მოწოდებული ცოდნა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი დოგმა; მან უნდა იცოდეს, რომ

ნებისმიერი ცოდნა ექვემდებარება შეცვლას, შეესებას, გადაკეთებას, გადაფასებას.

მოცემული მითითებანი, გარდა ფსიქოლოგიური ასპექტებისა, შეიცავს და გულისხმობს სწავლა-აღზრდის პროცესში გარკვეული მეთოდოლოგიური შინაარსის დატვირთვასაც.

სწორედ ამგვარი შინაარსისაა ჯონ ლოკის შეხედულება და რჩევები ადამიანთა ნაკითხობისა და ღრმად განათლებულობის გამიჯვნის თაობაზე; ადამიანთა ნაკითხობის დონე ხშირად გამოიხატება ხოლმე სიტყვის ზერელედ ხმარებით; ამ დროს სიტყვა ხდება უბრალო ნივთი. ღრმად განათლებულ ადამიანს შესწევს უნარი, ჭეშმარიტი ცოდნის საფუძველზე შეადგინოს ნათელი, გამოკვეთილი იდეა საგნებისა და მოვლენების შესახებ.

ლოკის კონცეფციების არსს აყალიბებს იდეა, რომელიც შედგენილია უბრალო, მარტივი იდეებისაგან: კონცეფციები არ არსებობს ნათელი, მკაფიო იდეების გარეშე. ნათელი იდეები კი შედგება გააზრებული სიტყვების და არა ტერმინებისაგან. სადაც არ არის ნათელი წარმოდგენა სიტყვებზე და არის მხოლოდ ტერმინების რახარუხი და კორიანტელი, იქ ბატონობს სიცარიელე.

შემდეგ ლოკი მსჯელობს ისეთ პიროვნებაზე, რომელსაც ცოდნის შექმნის პროცესში არ აქვს ანდა აკლია სიბუჯითე და გულმოდგინება.

მას მიაჩნია, რომ ეს თვისება უმეტესად დამახასიათებელია ბავშვებისათვის; ამ დროს, – აღნიშნავს იგი, – აუცილებელია არა მკაცრი ზომების მიღება, არამედ მათი თანდათანობითი გამოყვანა აღნიშნული მდგომარეობიდან. ამ მდგომარეობას კი ის ცთომილების მდგომარეობას უწოდებს.

სრულყოფილი ადამიანის, პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ჯონ ლოკი აუცილებლად მიიჩნევს, ჰქონდეს მას უნარი, ნათლად დაინახოს საგანთა და ნივთთა განსხვავებულობა. საგნებსა და ნივთებს მრავალფეროვნება ბუნებამ მიანიჭა. როგორც რუსთველი იტყოდა: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“. ყოველივე ამას კი საგანთა და ნივთთა დაყოფადობამდე მიყვავართ. საგანთა და ნივთთა ურთიერთგანსხვავებულობა ჭეშმარიტების ძიების და დადგენის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ დაყოფადობის არაზუსტი და არამკაფიო პროცესები ხლართავს და წეწავს ადამიანის გონებას. აქ თავს იჩენს დაკვირვებულობის სიღრმე, რისი საშუალებითაც ადამიანი

ამჩნევს სრულიად მცირე განსხვავებას საგანთა შორის. ეს ეხმარება ადამიანის გონებას, სწორად იაროს ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე.

ლოკი ნივთთა და საგანთა შორის განსხვავებულობას და დაყოფადობას განიხილავს ძალიან ფართოდ და მთელი სიღრმით, თანაც მეცნიერების ყველა დარგისათვის. ეს სამუშაო მოითხოვს გონების დაძაბვას, დიდ რუდუნებასა და გარჯას ჭეშმარიტი გადაწყვეტილებისა და დასკვნების გამოსატანად.

ადამიანის შემდეგი ფსიქოლოგიური ასპექტი, რომელსაც ჯონ ლოკი დიდ ყურადღებას უთმობს, არის მიმსგავსება. იგი შესაძლებელია წარმოადგენდეს, ერთის მხრივ, სასარგებლო ხერხს, მაგრამ, თუ საკითხის არსში ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ მიმსგავსების პროცესი კონკრეტულ შემთხვევაში არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად შევიცნოთ საგანი, მოვლენა, გვექონდეს მასზე უფრო ნათელი წარმოდგენა, მის შესახებ რათა სწორად განვსაჯოთ. ჯონ ლოკი მიმსგავსების ფენომენის წარმადობას არ უარყოფს ორატორისა და რიტორიკის სფეროში, სადაც ლამაზად მიმსგავსება, ეფექტური პოეტური, მხატვრული შედარება ანდა შედარების მეტაფორული ფორმით გამოყენება ერთობ შედეგიანია, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ფილოსოფიასა და ჭეშმარიტების დადგენის პრობლემას, იქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და სიფაქიზე, რადგან, თუ ლიტერატურას აინტერესებს ეფექტური და არა შინაარსობრივი სიზუსტე, ფილოსოფიას, პირიქით (აქ საუბარია ნივთის, როგორც კონკრეტული საგნის, შეცნობის შესახებ, როდესაც უნდა დადგინდეს, როგორია იგი, როგორც ასეთი).

ადამიანის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის, თანხმობა-უარყოფის პროცესი ფსიქოლოგიური ფენომენია. ლოკი მას განიხილავს მერყეობასთან დაკავშირებით, სადაც ფიგურირებს ადამიანის მისწარფებები, ინტერესები და სხვ.

ჯონ ლოკი საფუძვლიანად აშუქებს ისეთი ადამიანების სულიერ სამყაროს, რომელნიც არიან გულგრილნი და ინდიფერენტულნი. ამ პრობლემას იგი ორი ასპექტით ეხება. ერთგან გულგრილობას განიხილავს იმ ვითარებაში, როდესაც ადამიანები ურწმუნოებას ავლენენ იმგვარი აზრისა თუ შეხედულების მიმართ, რომლებიც ჭეშმარიტების დადგენის გზაზე წინაღობასა და შეფერხებას ქმნიან. ეს მოვლენა დახასიათებულია როგორც ადამიანის სისუსტე და სულიერი სამყაროს სიღარიბე; მეორეგან გულგრილობას უკავშირებს ინდიფერენტულობას,

როდესაც ადამიანები გულგრილნი და ინდიფერენტულნი არიან რაიმეს დაუმტკიცებლობის მიმართ, როცა რაიმეს შესახებ საექვო შეხედულება თუ აზრი არსებობს. ეს ორი მომენტი არის ადამიანის გონებრივ-სულიერი ძალმოსილების სასინჯი ქვა, ე. წ. „საჯილდაო ქვა“, მათი პიროვნული საზომი. უამისოდ, – აღნიშნავს ლოკი, – გონება უაზრობის საწყაული იქნებოდა და არა ჭეშმარიტების სალარო.

ამ თვლსაზრისით მეცნიერი იხილავს ადამიანების სხვადასხვა ჯგუფებს და მიუთითებს, რომ მსგავსი გულგრილობის დროს გამოსავალი ერთია: დაისვას კითხვებისა და შეკითხვების მთელი რიგი ამა თუ იმ საექვო იდეის, შეხედულების, აზრის გარშემო. ამით შესაძლებელი გახდება, მოზარდები იმ პროცესში ჩავაბათ, რომელიც კეთილ სამსახურს გაუწევს მათ ჭეშმარიტების დადგენაში. ხშირად გულგრილობას თან ახლავს გარკვეული დაჟინებაც; ეს ნეგატიურ მოვლენად უნდა აღვიქვათ, თუ იგი ე.წ. ამოჩემებულ-აკინჭილებული დაჟინებაა.

ამგვარი დაჟინების ერთ-ერთ გამოვლინებად ლოკი თვლის ისეთ შინაგან სულიერ მდგომარეობას, როდესაც პიროვნება თვლის, რომ უნაკლო პიროვნებას წარმოადგენს. ეს მას ხელს უშლის იმოძრაოს სრულყოფის გზაზე, ამ ვითარებაში ვერ ახერხებს თვითკონტროლს, ვერ ამჩნევს საკუთარ უარყოფით მხარეებს; იგი თვითდინებაზეა მიშვებული და, ამავე დროს, გულისხმობს, რომ თვითნაბადი ბრილიანტია და არ საჭიროებს დაწახნაგებას. მისთვის უცხოა ის ჭეშმარიტება, რომ ღმერთმა შექმნა ჰარმონიული ინტელექტუალური სამყარო შესანიშნავ ადამიანებთან ერთად. ეს ჰარმონია კი ადამიანმა საკუთარი შრომითა და სიბეჯითით უნდა შეინარჩუნოს. უამისოდ, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – წარმოიქმნება სიბნელე და ქაოსი.

გონებასთან ადამიანის ბრძოლა და ომი ისევე მძაფრი და სასტიკია, როგორც სამხედრო შეტაკება. გვხვდებიან გულგატეხილი ადამიანები, რომლებიც ცხოვრებასთან პირველივე შეჯახებისთანავე, რაკი სირთულეებთან ჭიდილი უჭირთ, ვარდებიან საშინელი სულიერი დაცემულობის მდგომარეობაში. ამ სულიერი დეპრესიიდან ისინი ძნელად ან სულაც ვერ გამოდიან.

ჯონ ლოკი ამ შემთხვევაში მოითხოვს მოქმედების განუწყვეტელი პროცესის გაგრძელებას, რათა ადამიანმა კიდევ და კიდევ შეამოწმოს თავისი შესაძლებლობები, ყოველნაირ მდგომარეობაში შეინარჩუნოს აქტიურობა და მოქმედი სულისკვეთება. ამ შემთხვევაში იგი მოუწოდებს ადამიანებს, ყური უგდონ შემდეგ სენტენციებსა და ჩვენებს:

- „ღმერთო, მიშველე, ვიხრჩობიო! – გაანძრიე ხელი და გიშველიო!“
- „მოიპოვე ძალა სიარულში!“
- „გამოიყენე ფეხები და მათი სამსახურის ძალაც“.

იმედია ნობასა და მოქმედებას მოაზროვნე თვლის გულგატეხილობის მტლედ და მალამოდ. რთულ ვითარებაში აღმოჩენილ ადამიანებს იგი ურჩევს მათ წინაშე არსებული პრობლემის ყველა დეტალის ყურადღებით განხილვა-გადასინჯვას, მისი დაძლევის გაადვილების მიზნით მათ დანაწევრებას საკითხების თუ ცალკეული ელემენტის მიხედვით. ამ გზით ის, რაც რთულად ეჩვენება ადამიანს, ხდება ნათელი და ადვილად გასარკვევი. საჭიროა არა ნახტომები, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული, თანდათანობით წინსვლა. „ეს ხვეწს გონებრივ ოპერაციებს, აძლევს მას მიზანდასახული ოპერირების იერსახეს,“ – მიუთითებს ჯონ ლოკი.

შემდეგი მოვლენა, რომელსაც ჯონ ლოკი განიხილავს, არის ანალოგია. იგი აღიარებს მის სარგებლობას გონებისათვის და ჭეშმარიტ როლს ნატურ-ფილოსოფიაში. ეს იყო გერმანული მეცნიერული სკოლის მიერ დამუშავებული მოძღვრება ბუნების შესახებ, რომელიც ცდილობდა მოეცა ბუნების შესახებ ცოდნის დასრულებული სისტემა განყენებულ პრინციპებზე დაყრდნობით და არა ცდისეული პროცესებიდან გამომდინარე. ეს ფილოსოფიური მიმდინარეობა ჯონ ლოკის დროს თავისი პოპულარობის ზენიტში იდგა და მკვლევარი იზიარებდა ამ მიმდინარეობის აზრებსა და შეხედულებებს.

ჯონ ლოკი ექიმის თვალთახედვით იხილავს ასოციაციის პრობლემას. მართლაც, ზოგჯერ აღსაზრდელებში თავს იჩენს გარკვეული პათოლოგიური გამოვლინებანი. ეს შემთხვევები, – აღნიშნავს იგი, – შეიმჩნევა მაშინ, როდესაც მოზარდთა გონებაში რთული კომბინაციებისა და იდეების გადახლართვა-მანიპულაცია ხდება. ეს კი იწვევს ბავშვის გონების გადაღლას. ზოგჯერ დაძაბული გონებრივი ოპერაციების დროს მოზარდს ეჩვენება, რომ მოხვდა გამოუვალ მდგომარეობაში. მეცნიერი და პედაგოგი პედაგოგებისა და

მშობლებისაგან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში იმ ნიუანსების გათვალისწინებას მოითხოვს, რომელთა მეოხებით შესაძლებელი გახდება ბავშვის ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნება.

თავისი შრომის თითქმის ყველა ნაწილში ლოკი სისტემატურად საუბრობს ჭეშმარიტებისა და სიცრუის შესახებ. ფაქტობრივად მისი დამოკიდებულება ამ ორი ცნებისადმი ასეთია: იდეები თავისთავად არ არის არც ჭეშმარიტი და არც ცრუ, ისინი ასეთი მაშინ ხდებიან, როდესაც საგნებსა და მოვლენებს ჩვენ ჩვენეულ მოსაზრებებს ვუფარდებთ. „ჭეშმარიტება და სიცრუე არასოდეს არ არსებობს სიტყვიერი დასაბუთების ან უარყოფის თვინიერ.“ იგი მიიჩნევს, რომ არსებობს ძირითადი ჭეშმარიტებანი, რომლებიც გონებას მდიდარ მასალას აძლევენ, ისინი ნათელს ფენენ არა მხოლოდ კონკრეტულ, არამედ ზოგად მოვლენებსაც. ამ თვალსაზრისით მას მოჰყავს არა მხოლოდ ის ჭეშმარიტებანი, რომლებიც მოპოვებულია სამეცნიერო დარგებში, არამედ რელიგიის სფეროშიც (სოციალური და მორალური ჭეშმარიტებანი). მაგალითად, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.“ გარდა ამისა, ჯონ ლოკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკითხთა იმ წყებას, რომლებიც ეხება ადამიანის მიერ ძირითად ჭეშმარიტებათა აღმოჩენასა და ათვისებას. იგი თვლის, რომ საჭიროა გადაჭრით ავიცილოთ თავიდან კვლევები ისეთი მიმართულებით, როცა არ ხდება ძირითად ჭეშმარიტებათა დადგენა. სხვაგვარად მუშაობა და გარჯა მას მიაჩნია დროის უსაფუძვლო ხარჯვად, რადგანაც მითითებული პროცესი არ შეიცავს ცოდნის შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო ელემენტებს.

ჯონ ლოკი აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტების საფუძველი ხშირ შემთხვევაში ის უტყუარი დებულებები და არგუმენტებია, რომლებიც დასაბუთებას ექვემდებარება. ამის მაგალითად მას მოჰყავს თურქეთის სულთნის კანონიერი უფლება, თავის სამფლობელოში გამოიყენოს ძალისმიერი მეთოდები და ამ კერძო მაგალითს ასაბუთებს და აზოგადებს ისეთი დებულების მოხმობით, როგორცაა ხალხთა ადამიანური უფლებების დაცვა; აქვთ თუ არა ხალხებს მოპოვებული ერთნაირი ბუნებრივი უფლებები; აქ მკაფიოდ ჩანს, თუ სად არის რეალური ჭეშმარიტება, - აღნიშნავს იგი.

ადამიანის გონებრივი აღზრდის მთავარი მონაპოვარია ის, აქვს თუ არა უნარი, იბატონოს საკუთარ გონებაზე, მართოს საკუთარი აზრები, შეხედულებები.

ადამიანის ჭკუა-გონება ყოველთვის დაკავებულია რაიმე საგნით და, თუ პიროვნება მოდუნებულია, ზარმაცი და უინტერესოა, მისი გონებრივი მოქმედებები გადადის ერთი საგნიდან მეორეზე, მეორედან – მესამეზე და ა.შ. ამ შემთხვევაში ადამიანის აზრები, შეხედულებები წვრთნას არ ემორჩილებიან. დაბალია ნებისყოფა ან, უკეთეს შემთხვევაში, ნებისყოფის სიმტკიცის ხარისხი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი სირთულეები შეიძლება გამოვლინდეს 30-40 წლის ადამიანში. ამ შემთხვევაში იგულისხმება აზრების გადატანის პრობლემა. ეს ეხება ადამიანთა ისეთ მდგომარეობას, როდესაც ისინი ჩაფლული არიან თავიანთ საქმიანობაში, ამა თუ იმ პრობლემის კვლევისას ექცევიან გარკვეულ ჩაკეტილ მდგომარეობაში, აქვთ რთული გამოუვალი ატმოსფერო, შეპყრობილი არიან ერთი იდეით და მომართული არიან ერთი გარკვეული მიმართულებით. ამ დროს მათ უჭირთ გადაანაცვლონ, გადაიტანონ თავიანთი აზრი სხვა მიმართულებით; ისინი თითქოს შეპყრობილი არიან რაღაც თილისმით, გატაცებული არიან აზრით, რომელსაც მიაპყრეს მთელი თავიანთი ყურადღება, მაგალითად, არიან ჩართული ერთი მიმართულების მქონე საქმეში, საიდანაც მათი გამოყვანა შეუძლებელია; ხშირად ეს გამოწვეულია მძაფრი მიდრეკილებებით, ძლიერი სიყვარულის გრძნობით, ტემპერამენტიდან გამომდინარე ვნებებით; ასეთ მდგომარეობაში ვარდებიან ნიჭიერი ადამიანებიც, როდესაც ძნელი ხდება ნათელი გონების განსჯის საფუძველზე რთული მდგომარეობიდან მათი გამოყვანა. ამ შემთხვევაში ადამიანებმა, საჭიროა, თანდათანობით, დროის გარკვეულ მანძილზე, განსჯის გზით, ნებისყოფის დაძაბვით, სულიერი ძალების მოკრებით თავიანთი ყურადღება გადაიტანონ სხვა საგნებსა თუ მოვლენებზე, შეიცვალონ გარემო. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათ, შეძლონ საკუთარი თავის რეგულირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ჯონ ლოკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნებისყოფას, რაც ადამიანის საღი, ნათელი გონების არსებობას ადასტურებს.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვიათ ის მთავარი, რაც ნათელს ჰფენს ჯონ ლოკის პედაგოგიკურ იდეებს, აზრებსა და შეხედულებებს. უკვე აღვნიშნეთ, რომ მისი ორივე შრომა – „ფიქრები აღზრდის შესახებ" და „ცდა ადამიანის გონების შესახებ" წარმოადგენენ ურთიერთგანპირობებულ გამოკვლევებს,

რომლებშიც ორგანულად არის შერწყმული და ერთ მთლიანობად წარმოდგენილი მომავალი თაობის აღზრდის პედაგოგიკური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური საფუძვლები:

ისინი გონებრივი ოპერაციების მიზანმიმართული წარმართვის საფუძველზე განაპირობებენ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისა და განათლების პროცესს.

„ადამიანი, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – უგუნურია იმიტომ, რომ არ იცის, რა გონიერია.“ იმ დროისთვის ადამიანის გონების დასამარების ერთ-ერთ მიზეზად დიდი მოაზროვნე თვლიდა ტრადიციებს, გაუცნობიერებულ თავსმოსვეულ რწმენას, ავტორიტეტების მიერ შემოთავაზებულ იდეებს, რომელთაც ადამიანები ბრმად მიჰყვებიან. ყოველივე ამის უარყოფით, – აღნიშნავს იგი, – ყოველივეს კრიტიკული განსჯით, სადი, ბუნებრივი ჭკუა-გონების კარნახით ადამიანი შეძლებს მშვენივრად მოაწყოს თავისი ცხოვრება. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია ლოკის ძირითადი იდეა გონების ავტონომიის შესახებ. იგი ქადაგებს: ადამიანებმა არ უნდა მიიღონ არაფერი მხოლოდ რწმენითა და დაჯერებით, დაუპირისპირონ ერთმანეთს სხვადასხვა თვალსაზრისი და ღრმად განსაჯონ ისინი.

მთავარი არსი მისი პედაგოგიკური მოძღვრებისა ასეთია: არ გადავტვირთოთ ბავშვის გონება მშრალი ფაქტებითა და ცნებებით; ვასწავლოთ მათ დამოუკიდებელი მუშაობა, შეუპოვარი კრიტიკული აზროვნება. თუ ეს მოვახერხეთ, დანარჩენი ყველაფერი მოხერხდება!

ლოკის, როგორც ფილოსოფოსის, მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ მან ფილოსოფიური საკითხების განხილვისას შემეცნების თეორია პირველ ადგილზე დააყენა. მთელი ახალი ფილოსოფიის დასაწყისი ხასიათდებოდა მეთოდის პრობლემის დადებითად გადაწყვეტით. ერთი მხრივ, ბეკონი ინგლისში, მეორე მხრივ კი, დეკარტე კონტინენტზე მეცნიერული ცოდნის ახალ მეთოდზე მუშაობდნენ. რასაკვირველია, მეთოდზე მუშაობა ასე თუ ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ცოდნის თეორიასთან. ბეკონიცა და დეკარტეც დარწმუნებული იყვნენ, რომ ახალი მეთოდით შესაძლებელია სინამდვილის მთლიანი შემეცნება. ჯონ ლოკი პირველად და მკაფიოდ აყენებს საკითხს: საერთოდ შესაძლებელია თუ არა შემეცნება?

არ ვადასტურებთ, რომ ამომწურავად შევძელით გაგვეშუქებინა დასმული პრობლემა, რადგან ჯონ ლოკის ყოველი ფრაზა, ყოველი სინტაგმა და, ბოლოს, ცალკეული ცნებაც კი უდიდეს სამყაროს იტევს ამა თუ იმ პედაგოგიური პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

**თავი III. ჯონ ლოკის კვლავობიკური იდეების გავლენა კვლავობიკური
თეორიისა და სასკოლო პრაქტიკის განვითარებაზე**

§1. ჯონ ლოკის როლი კვლავობიკური აზრის განვითარებაში

ჯონ ლოკი დიდი ფილოსოფოსი, მატერიალისტური სენსუალიზმის ფუძემდებელი და შემეცნების თეორიის საგანგებოდ დამუშავებული მსოფლმხედველობის დამამკვიდრებელია ახალ ფილოსოფიაში. იგი ემპირიულ ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული ბურჟუაზიული პედაგოგიკის მამამთავარია. მან თავისი შრომებით „ცდა ადამიანის გონების შესახებ“ (ფილოსოფიაში) და “ფიქრები აღზრდაზე” (პედაგოგიკაში) დიდი გავლენა მოახდინა XVII - XVIII და XIX საუკუნეების ფილოსოფიურ და პედაგოგიურ აზროვნებაზე.

ლოკი აღიარებს სამყაროს ობიექტურ არსებობას და მატერიალისტური პოსტულატების მომარჯვებით ამკვიდრებს თავისი ფილოსოფიის ძირითად მიმართულებას, მაგრამ საგანთა პირველად და მეორად თვისებებზე მსჯელობისას სუბიექტურ იდეალიზმამდე მიდის.

აღსანიშნავია, რომ შემეცნების თეორიაში ჯონ ლოკი უარყოფს თანდაყოლილ იდეებს და აღიარებს „სუფთა დაფის“ ცნობილ ფორმულას, რომლის მიხედვითაც შემეცნების წყარო ადამიანის გრძნობათა ორგანოებზე სინამდვილის ზემოქმედებაა, აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ იგი დაბეჯითებით იცავს დებულებას, რომელიც შეუძლებლად თვლის გონებრივი მდგომარეობის შეცვლას, რაც შეგრძნებებით არაა გაპირობებული. ჯონ ლოკის ფილოსოფიის ძირითადი არსი ასეთია: არ არსებობს “თანდაყოლილი იდეები”, რომლებიც ადამიანის სულში იმთავითვეა წარმოდგენილი.

ლოკის მსოფლმხედველობის ზემოგანხილული დებულებებიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით საინტერესოა გაირკვეს ის როლი, რაც მან შეასრულა პედაგოგიკური აზრის განვითარებაში და რასაც განსაზღვრავს მისი მოძღვრების პროგრესული მიმართულება.

ლოკის ფილოსოფია და მასზე დაფუძნებული პედაგოგიკის თეორია ფაქტობრივად გულისხმობდა პიროვნების სრულიად ახლებურ ხედვას, მისი ჩამოყალიბების სრულიად ახალ გზებსა და საშუალებებს. იგი აღნიშნავდა,

რომ პიროვნებას შეუძლია საკუთარი ძალებით გარდაქმნას ცხოვრება, თავისი თავი. გონების მოხმობითა და გამოცდილებით იგი დააგროვებს ცოდნის ისეთ მარაგს, რომ, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებებს საზოგადოებისადმი და შეეძლება თავისუფალი მოლაპარაკების გზით მოაწყოს საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ბუნებრივი და დამახასიათებელია, რომ მსგავსი შესედეულებანი ადამიანის ბუნების შესახებ ყველაზე ადრე ინგლისში შეიმუშავეს.

ჯონ ლოკმა გაილაშქრა სწავლებაში სქოლასტიკის წინააღმდეგ. შესაძლებელია ითქვას, რომ ფაქტიურად მან გააცამტვერა, ზურგი აქცია სწავლების გამეფებულ სტილს და შრომაში „ფიქრები აღზრდაზე“ სწავლების შემოქმედებითი მხარეები გააშუქა. ამავე დროს, პრაქტიკული ცხოვრებისეული პრობლემებიდან გამომდინარე, იქადაგა სწავლების იმ დროისათვის სრულიად ახალი შინაარსი, პროგრამა და მისი განხორციელების მეთოდიკაცკი.

ცნობილია, რომ იმ დროს ინგლისში სწავლებასა და აღზრდას აფერხებდა პედანტიზმი, გაუგონარი დესპოტიზმი, როზგი. სწავლის კურსი მთლიანად შემოიფარგლებოდა მკვდარი ენების შესწავლით, რაც ბერძნული და ლათინური ენების ცოდნას ემყარებოდა. აღზრდა ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით არ ესმოდათ. სწავლების ვიწრო ჩარჩოებიდან გამომდინარე, აღზრდა სრულიად იყო იგნორირებული. გარდა ამისა, სწავლის პრაქტიკული დანიშნულება არ შეესატყვისებოდა ცხოვრების მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ ლოკი აღნიშნავდა: “ჩვენ ვსწავლობთ არა ცხოვრების, არამედ კამათისათვის და ჩვენებური აღზრდა გვამზადებს უნივერსიტეტისა და არა სამყაროსათვის”.

შესაძლებელია, მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი ჯონ ლოკის თანამედროვეთა გამონათქვამების სახით, რომლებიც ადასტურებს: იმ დროისათვის განათლების მუშაკთა ერთი ჯგუფი (მილტონი, მონტენი) გადაჭრით გმობდა სწავლა-აღზრდის არსებულ სისტემას, ოღონდ მათ არ გაულაშქრიათ არსებულის წინააღმდეგ. ჯონ ლოკმა თავისი შრომებით პირველმა გაილაშქრა სქოლასტიკური სისტემის წინააღმდეგ. სწორედ მან გაუხსნა გზა ახალ აზროვნებას სწავლებისა და აღზრდის სფეროში.

თავისი პროგრესული იდეებით ლოკი დაუპირისპირდა იმდროინდელ ეკლესიასაც, რომელიც ადამიანის შემოქმედებითი განვითარების წინააღმდეგ

გამოდირდა. ეკლესია ქადაგებდა: მეცნიერება ერთხელ მოცემული, დადგენილი და ხელშეუხებელია, ამისდა მიხედვით, აღზრდის პროცესი დაფუძნებული უნდა იყოს მკაცრ ტრადიციებზე.

ლოკი გამოვიდა როგორც შემოქმედებითი განვითარების იდეის მატარებელი და დასახა მისი პრაქტიკული განხორციელების გზები და საშუალებები, უარყო რა „მონის დისციპლინა“ და დამამცირებელი მორჩილების იმდროინდელი ქადაგება, რომელიც განმტკიცებული იყო მშობელთა ძალაუფლების პრიმატის აღიარებით.

წიგნი „ფიქრები აღზრდაზე“ ისტორიული ძეგლია, რომელშიც გამოხატულია ბრძოლა ორ სისტემას – ძველსა და ახალს შორის; მოზარდის შეხედულებები სრულიად შეესაბამება ევროპული კულტურის საფუძვლებს და დიდი ბარიერების დაძლევისა და გადალახვის გზით კაფავს გზას ახალი შეხედულებებისაკენ. ჯონ ლოკმა, როგორც უდიდესმა მოაზროვნემ, ნათლად ჩამოაყალიბა პროგრესული წარმოდგენები ადამიანის ბუნებასა, მის ნიჭიერებასა და მოთხოვნილებებზე. იგი მოითხოვს სწავლა-აღზრდისადმი ახლებურ მიდგომას აღსაზრდელის პიროვნების, მისი შინაგანი ბუნების, შესაძლებლობების გათვალისწინება-გამოკვეთის საფუძველზე. ამ ასპექტით ის მოითხოვს სწავლა-აღზრდის პროცესში თავისუფალი, შემოქმედებითი ატმოსფეროს საჭირო უნარ-თვისებების ჩამოყალიბების ფართო შესაძლებლობები შეიქმნეს. სწორედ ამას ადასტურებს მისი გამონათქვამი: უნარ-ჩვევები განუწყვეტლივ მოქმედებენ და ადამიანის ქცევებს უფრო მეტ სიმსუბუქეს ანიჭებენ, ვიდრე გონებრივი განსჯის საფუძველზე განხორციელებული ქცევები.

ჯონ ლოკის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია: იგი არ მსჯელობს ცალკე სულის და ცალკე სხეულის ფილოსოფიურ შინაარსზე, როგორც ამას აკეთებდნენ მანამდე, რათა ამისდა კვალობაზე დაეხატათ ჰარმონიული განვითარების სურათები. მისი ყოველი რჩევა მიმართულია იქითკენ, რათა ისე აღვზარდოთ ჯენტლმენი, რომ შეძლოს ცხოვრებისეული მოვალეობების შესრულება. მისი აზრით, ადამიანი როდია აბსტრაქტული არსება, დაცლილი ადამიანური ბუნებისაგან. ეს კი მოითხოვს იმას, რომ მეტი ყურადღება მიექცეს პიროვნებაში ცხოვრებისეული საწყისების განვითარებას, პრაქტიკულად გამოსადეგი თვისებებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ლოკის

პედაგოგიკური მემკვიდრეობის, შეხედულებებისა და იდეების პროგრესულობა სწორედ ამით გამოიხატება. აღნიშნულის საფუძველზე იგი მოითხოვს სწავლა-აღზრდის პროცესის შემდგომ დაწინაურებას. მაშასადამე, ის გამოდის იმდროინდელი ჩაკეტილი, სქოლასტიკური სკოლის მოწინააღმდეგედ.

მაშინდელი საზოგადოებრივი ფენები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რათა მათი შვილებისათვის მიეცათ ლათინური და ბერძნული ენების გრამატიკის ცოდნა. ისინი თვლიდნენ, რომ უამისოდ მათი ნაშეიკრნი ვერ მიიღებდნენ ჯეროვან აღზრდას; სინამდვილეში კი მომდევნო ცხოვრებისეული ხანა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: ახალგაზრდას ჰაერივით ესაჭიროებოდა პრაქტიკული, რეალური ცოდნა, კონკრეტული უნარ-ჩვევები. ეს კი თავისთავად ქმნიდა გარემოსთან შეგუების რთულ სიტუაციებს. მაშასადამე, გამოდიოდა, რომ სკოლის კედლებში უაზროდ და უმიზნოდ იხარჯებოდა ძვირფასი დრო და ენერგია, მეცნიერი არ უარყოფს, რომ მუშაობის პირობებში ენების ცოდნა აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ჯენტლმენის აღზრდის დროს ენების ცოდნა გარკვეული გარეგანი პირობაა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლოკი მშობლიური ენის ცოდნას, მის სიდრმისეულ დაუფლებას. იგი თვლის, რომ მშობლიური ენა პიროვნების განვითარების მძლავრი იმპულსატორია, რაც იმ დროისათვის ჯეროვნად არ იყო გათვალისწინებული. მშობლიური ენის მაღალ დონეზე შეუსწავლელად, – აღნიშნავდა იგი, – იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალგაზრდა ჯენტლმენის მომზადება ხდება არა სამშობლოს სამსახურში ჩასაყენებლად, არამედ უცხო ქვეყნის მასწავლებლად.

გარდა ამისა, ლოკმა სწავლების პროცესში ფართოდ და გაბედულად შემოიტანა ისეთი მეტად მნიშვნელოვანი დარგები, რომლებიც სამყაროსმცოდნეობის ფართო საშუალებას იძლევა.

ვფიქრობთ, პროგრესული იყო სწავლა-აღზრდის პროცესის ისეთი ხედვა, როცა გათვალისწინებულია როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო სკოლები და საოჯახო სწავლა-აღზრდა. აღნიშნული დიფერენციაცია გამომდინარეობდა მართებული პოზიციიდან. თუ სწავლების რომელი სახეობა სჯობს, ამას განსაზღვრავს ყმაწვილების პიროვნულ-ინდივიდუალური თვისებები და ხასიათი, მისი ბუნებრივი მონაცემები. ამ მხრივ დიდი პედაგოგი მეტად მოქნილ და შემრიგებლურ პოზიციაზე დგას; იმ დროისათვის გამეფებული საოჯახო

აღზრდის, როგორც უფრო სასურველი ფორმის გარდა, იგი მხარს უჭერს კარნაკეტილობის და შეზღუდულობის მომშლელ საზოგადოებრივ სკოლას. მაშასადამე, მომავალი ჯენტლმენის ჩამოყალიბებას უფრო თამამი ფორმით, გარემოსთან ფართო ურთიერთობის ვითარებაში აპირებს. ჩვენი ფიქრით, ეს იყო იმ დროისათვის დიდი გარღვევა ტრადიციის მსხვერვეის გზაზე. ასევე სრულიად ახლებურად დააყენა მან აღმზრდელის, პედაგოგის პიროვნების ცოდნის დონისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების საკითხი. აქ იგულისხმებოდა პედაგოგის როგორც ინტელექტუალური, ასევე მორალური ავან-ჩავანი. ამავე დროს, მან მთელი სიგრძე-სიგანით დასვა პედაგოგთა შრომის დაუფასებლობისა და მათი გასამრჯელოს სიმწირის საკითხი.

შრომა „ფიქრები აღზრდაზე“ გვაწვდის მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის სრულიად ახალ, პროგრესულ და ცხოვრებისეულ სისტემას. მან ჰუმანურ იდეებზე დაყრდნობით, მოზარდთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით განსაზღვრა სწავლებისა და აღზრდის შინაარსი, რომელიც ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად სრულყოფილი, ფიზიკურად გამომწრთობილი, მორალურად მტკიცე, ესთეტიკურად განათლებული პიროვნების აღზრდას შეუწყობდა ხელს.

რამდენადაც ჯონ ლოკი ქადაგებს აღსაზრდელთა სულიერი სამყაროსადმი სათუთ დამოკიდებულებას, მათს ინდივიდუალურ თავისებურებებში წვდომასა და შესაძლებლობათა სრულად გათვალისწინებას, იმდენად მკაცრია იგი მოზარდთა მორალური აღზრდის პროცესში გარკვეული პედაგოგიური მეთოდებისა და ფორმების განხორციელებისას. აღმზრდელისა და მშობლებისაგან იგი კატეგორიულად მოითხოვს, არ წავიდნენ მიზანშეუწონელ დათმობებზე, რადგან ეს უარყოფით ზეგავლენას მოახდენს აღმზრდელობით პროცესში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაზე; ოღონდ იგი იმავდროულად კატეგორიულად უარყოფდა უთანაზომო სიმკაცრესაც. ის შენიშნავდა: „მე იმდენად ხშირად ვსაუბრობ ბავშვებისადმი მკაცრი დამოკიდებულების თაობაზე, ბევრი, ალბათ, დაეჭვდება, რომ სათანადოდ არ ვითვალისწინებ მათ მცირე ასაკს და სათუთ კონსტიტუციას, მაგრამ ეს ეჭვი გაიფანტება ჩემი ძირითადი დებულებით, სადაც გადაჭრით ვაცხადებ: მკაცრ დასჯას მოაქვს

დიდი ზიანი, მავნე ზეგავლენას ახდენს აღზრდაზე. ბავშვები, რომლებიც ხშირად ისჯებიან, იშვიათად გამოდიან კარგი ადამიანები".

ლოკი კონკრეტულად აყალიბებს იმ თვისებებს, რომლებიც მოზარდს ახასიათებს. იგი თანამიმდევრულად განიხილავს როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებს, აზრს, თუ რა გზით შეიძლება დადებითი თვისებების განმტკიცება და უარყოფითის აღმოფხვრა. მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიყვანოთ მისი მსჯელობა „დაჯილდოებისა და დასჯის“ შესახებ. აქ იგი ვრცლად საუბრობს აღნიშნული მეთოდების მნიშვნელობაზე ზნეობრივი, მორალური აღზრდის თვალსაზრისით და, ამავე დროს, კონკრეტულად მსჯელობს იმის თაობაზე, რომ აუცილებელია ბავშვებს ისე მიუვდგეთ, როგორც გონიერ არსებებს, რათა მათზე სათნოებისა და სიფაქიზის მეოხებით მოვახდინოთ ზეგავლენა. როდესაც ლოკი მსჯელობს „ღირსებისა და სირცხვილის“ გრძნობაზე, როგორც მოზარდის აღზრდის მნიშვნელოვან ფენომენზე, აღნიშნავს: „ეს არის სულის შექმნის მეტად მდიდარი საშუალება“. ავტორი იქვე გვაწვდის მოსაზრებას: “თუ შესაძლებელი გახდება, ჩაუნერგოთ მოზარდებს სიყვარული მაღალი რეპუტაციისადმი და შიში სირცხვილისა თუ შერცხვენისადმი, ეს ნიშნავს, რომ განვახორციელოთ სწორი პრინციპი, რომელიც მუდამ იმოქმედებს და მოზარდს სიკეთის გზაზე დააყენებს”.

იმავე სიღრმით საუბრობს იგი ადამიანის სხვა მნიშვნელოვანი დადებითი სულიერი ღირებულებებისა თუ უარყოფითი თვისებების შესახებ, რომელთაც აანალიზებს მოზარდთა აღზრდის პროცესის დახასიათებისას.

მოაზროვნეს გაუჩნდა მიმდევრები. მაგალითად, ჰელგეციუსმა ლოკის დიდი ზეგავლენა განიცადა. ისიც, როგორც ლოკი, თვლიდა, რომ აღზრდა პიროვნების განვითარების ყოვლისშემძლე და ერთადერთი ფაქტორია. ადამიანთა შორის განსხვავება არ არის დამოკიდებული არც ორგანიზაციასა და არც ბუნებაზე. აღზრდა – ეს არის ყველაფერი და სწორედ ის განსაზღვრავს პიროვნების რაგვარობას.

ლოკის შრომამ დიდი გამოხმაურება პოვა ინგლისის საზოგადოებრივ წრეებში, რომლებიც დეტალურად და, ამავე დროს, კრიტიკულადაც განიხილავდნენ მის მოსაზრებებსა და ცალკეულ დებულებებს. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწეა მოლინე, რომელსაც ლოკმა თავისი შრომა შეფასების მიზნით

გაუგზავნა და სთხოვა, გამოსმაურებოდა კრიტიკული შენიშვნებითაც; ნაშრომს გამოეხმაურნენ ლორდი კინგი, მონტენი; მოლნიე ძირითადად ემხრობოდა ლოკის აღმზრდელობით სისტემას. ამას იგი ადასტურებდა ცნობილ წერილში ჯონ ლოკის შრომის შესახებ. ლოკის დებულებების შესახებ თავის აზრსა და შეხედულებებს გამოთქვამს მისი თანამედროვე ისააკ ტეილორი. საზოგადოების დიდი ინტერესი ლოკის შრომების მიმართ გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, სწავლა-აღზრდის პროცესის სრულიად ახალი მიდგომისადმი შემობრუნებით, მეორე მხრივ, იმ პრობლემათა სიუხვით, რომლებიც დასმულია ლოკის ნაშრომში. აქ ხომ გაშლილი საუბარია სწავლებისა და აღზრდის პროცესის შესახებ, მშობელთა დამოკიდებულებაზე სწავლა-აღზრდის პროცესისადმი, სულიერ ღირებულებათა მრავალფეროვნებაზე, სწავლა-აღზრდის პროცესის ფორმების ძიების შესახებ, აღმზრდელის როლსა და დანიშნულებაზე და კიდევ სხვა პრობლემებზე, რომლებიც ეხება მოზარდი თაობის ჩამოყალიბების რთულსა და მრავალწახნაგოვან პროცესს. ვფიქრობთ, ყოველივე ეს ადასტურებს ლოკის უდიდეს დამსახურებას პედაგოგიკური აზრის განვითარებაში. გარდა თქმულისა, ისიც ერთობ მნიშვნელოვანია, რომ ავტორმა მოგვცა უამრავი კონკრეტული მითითება, დარიგება, რჩევა.

თანდაყოლილი იდეების თეორია ეყრდნობა გარკვეულ ფაქტს. ადამიანები აღიარებენ, რომ არსებობს ისეთი იდეები, რომლებსაც ყველა იზიარებს; საკმარისია ადამიანმა გაიგოს ასეთი შინაარსი, რომ ის მაშინვე გაიაზრებს მის ჭეშმარიტებას. ამგვარი იდეების ჭეშმარიტებას საყოველთაო ხასიათი აქვს. რასაკვირველია ფიქრობს ლოკი, თუ მართლაც არსებობს ასეთი იდეები, ისინი თანდაყოლილი უნდა იყოს, რადგან აღქმა და საერთოდ ცდა ამგვარი იდეების საფუძველი ვერ იქნება. თუ შევძლებთ ამ იდეების წარმოშობის ახსნას ბუნებრივი გზით, მაშინ მოიხსნება მათი ზებუნებრივი წარმოშობის თეორია.

თანდაყოლილი იდეა ზოგადი იდეაა, მისი შინაარსი ზოგადი სახის მსჯელობაში გამოიხატება; მაგრამ ზოგადი არასოდეს აღქმაში არ არის მოცემული. ლოკი სპეციალურად გაანალიზებს ისეთ იდეებს, რომლებიც თითქმის საყოველთაო ჭეშმარიტების ხასიათს ატარებს: ეს არის იგივეობისა და წინააღმდეგობის იდეები. ლოკი ამტკიცებს, რომ ბავშვები და გაუნათლებელი ადამიანები ამ იდეებს არ იცნობენ. ამ იდეებს არა აქვს

საყოველთაო ჭეშმარიტების ხასიათი და, გარდა ამისა, თუ ისინი თანდაყოლილი არიან, მაშინ მათი ცოდნა ბავშვებსაც ექნებათ.

ლოკი ითვალისწინებს შესაძლებელ პასუხს ამ არგუმენტაციაზე, სახელდობრ, რომ თანდაყოლილი იდეა ამ პრინციპებით „აზროვნებს“, თანდაყოლილი იდეები გაცნობიერებული ხდება, როდესაც ადამიანი ნამდვილად დაიწყებს აზროვნებას, როდესაც ის აზროვნების უნარს გამოიყენებს. რც დეკარტეს მიაჩნდა რომ ახალდაბადებული ბავშვის გონებაში მზამზარეულად „ჩაწყობილია“ ეს იდეები, ისინი არაცნობიერად არსებობენ გონებაში და მხოლოდ შემდეგ გაცნობიერდებიან გონების შინაგანი ძალებით და არა ცდის საფუძველზე.

პრაქტიკული, მორალური პრინციპები განსხვავებული აქვთ ცალკეულ პიროვნებებს, ცალკეულ ერებს, და არათუ განსხვავებული, არამედ ხშირად წინააღმდეგობრივიც. არც ღმერთის იდეაა თანდაყოლილი, მოგზაურები და მისიონერები მოგვითხრობენ, რომ არსებობენ ველური ხალხები, რომლებსაც არა აქვთ არავითარი წარმოდგენა ღმერთზე. სხვადასხვა ერს ღმერთის განსხვავებული იდეა გააჩნია. მეტიც: ერთი ქვეყნისა და ერთი რელიგიის მომხრეთა შორის ცალკეულ პიროვნებებს ღმერთის შესახებ განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. რასაკვირველია არსებობენ ისეთი ჭკვიანი და ბრძენი ადამიანები, რომლებსაც სწორი წარმოდგენა აქვთ ღმერთზე. მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ღმერთის იდეა არ არის თანდაყოლილი. მით უმეტეს არ არის ასეთი სხვა იდეები. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ ვიცით ეს არა იმიტომ, რომ ის თანდაყოლილია, არამედ იმის გამო, რომ ყველა საგანში და მოვლენაში ნათლად ჩანს სიბრძნისა და ძალის არაჩვეულებრივი ნიშნები და ყოველი გონიერი არსება, რომელიც სერიოზულად მოიაზრებს მათ, აღიარებს მათ არსებობას.

თუ ღმერთის იდეა არ არის თანდაყოლილი, მაშინ არც ერთი იდეა არ შეიძლება იყოს თანდაყოლილი, რადგან თუ ღმერთმა ჩაგვინერგა სულში რაიმე იდეა, პირველ რიგში ის თავისთავის იდეას ჩაგვინერგავდა.

ლოკი განასხვავებს ცოდნას რწმენისაგან. მართალია ღმერთის არსებობას ლოკი არ თვლის რწმენად, მას როგორც აღნიშნული იყო ნამდვილ დემონსტრაციულ ცოდნად მიიჩნევს, მაგრამ რწმენის სფეროში შედის ბევრი

საკითხი, ღმერთის არსებობის გარდა, რწმენა არ ეყრდნობა დემონსტრაციას – მისი საფუძველია ღვთაებრივი გამოცხადება. გამოცხადება არანაკლებ სანდოა, ვიდრე ცოდნა, რადგან ის ღმერთიდან მომდინარეობს. მაგრამ საბოლოოდ გონებამ უნდა გადაწყვიტოს, რამდენადაა ეს გამოცხადება მართლაც ღვთაებრივი. ეს საკითხი მარტივად წყდება: ლოკი აქ იყენებს ცნობილ პრინციპს: არის დებულებები, რომლებიც ეთანხმება გონებას, დაბოლოს დებულებები, რომლებიც გონებას ეწინააღმდეგება. ღმერთის არსებობა არათუ ეთანხმება გონებას, არამედ მისი არსებობის დამტკიცებაც შეიძლება; დებულება, რომ არსებობს მრავალი ღმერთი, ეწინააღმდეგება გონებას. ეს დებულება უნდა განიღვენოს რწმენიდან. საერთოდ, რელიგიის ყველა დებულება გონებამ უნდა შეაფასოს. იცავს რა „ბუნების რელიგიას“.

ლოკი ამავე დროს იზიარებს, როგორც აღნიშნული იყო, ღვთაებრივ გამოცხადებას, იზიარებს ქრისტიანული რელიგიის ზოგიერთ დოგმატს და ამით განსხვავდება თანმიმდევრული დეიზმისაგან. ლოკი მომხრეა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანთა კეთილდღეობაზე, ხოლო ეკლესიას საქმე აქვს ადამიანთა სულთან. განსხვავებულ რელიგიებსა და კონფესიებს გააჩნია ერთნაირი უფლება არსებობდეს სახელმწიფოში. ტოლერანტის მომხრე ლოკი აღიარებს, რომ სახელმწიფო მოქალაქე შეიძლება იყოს როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი, ებრაელი და წარმართიც კი. რელიგია არ არის სახელმწიფოს საქმე, ის მრევლის საქმეა.

ჯონ ლოკის პედაგოგიკურმა მემკვიდრეობამ სრულიად ახალი გზები და პერსპექტივები დაუსახა აღზრდასა და განათლებას. პედაგოგებსა და მკვლევარებს ახალი სიმაღლეები და ჰორიზონტები დაანახვა. დიდი მოაზროვნე და პედაგოგი თავისი ეპოქის გადასახედიდან ჩვენს თანამედროვე ასწლეულსაც ნათლად და მკაფიოდ ჭვრეტდა.

§2. ჯონ ლოკის პედაგოგიური შეხედულებები, იდეები

და თანამედროვეობა

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 551 - 479 წლებში ცნობილი ჩინელი მოაზროვნე, პოლიტიკური მოღვაწე და პედაგოგი კონფუცი (ქუნ ფუ-ძი) წერდა: „ის, ვისაც ძველთან შეხვედრისას ხელეწიფება ახლის აღმოჩენა, ღირსია იწოდებოდეს მასწავლებლად“. ეს ბრძნული აზრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს იმდენად, რამდენადაც თანამედროვე მეცნიერული პედაგოგიური ცოდნა დამყარებულია წარსულის ცნობილ მოაზროვნეთა მიღწევებზე, მათი ნააზრევის, შეხედულებების, იდეების ღრმა ანალიზზე, რაც შედარების მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიმართულება – ინგლისელი ფილოსოფოსის, პედაგოგიკური მეცნიერების წარმომადგენლის, ექიმისა და ფსიქოლოგის ჯონ ლოკის პედაგოგიკური იდეების, შეხედულებების, ნააზრევის გაანალიზება და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანა – სწორედ ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების დაძლევის ემსახურება. კონკრეტულად ჩვენი ამოცანა ასეთია: მკაფიოდ გამოვაცალკევოთ, აღვწეროთ და შევთავაზოთ თანამედროვე სკოლებს ყოველივე ის მნიშვნელოვანი, რაციონალური და სასარგებლო, რაც რამდენიმე საუკუნის წინათ ჯონ ლოკის მიერ იყო მითითებული როგორც აუცილებელი და გარდაუვალი რამ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. აქედან კი უმთავრესია: ჯანსაღი სულის აღზრდა ჯანსაღ სხეულში. საჭიროა აღინიშნოს: თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ხდება სწავლებისა და აღზრდის პროცესის სრულყოფის მიზნით რეფორმის გატარება, არსებობს მნიშვნელოვანი მეთოდურ-პრაქტიკული მითითებანი, დებულებები სკოლის დირექტორების, კლასის ხელმძღვანელის, დირექტორის მოადგილისათვის აღმზრდელობით დარგში, მშობელთა სასკოლო კომიტეტების ხელმძღვანელებისათვის და მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერულად დამუშავებული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები დაწყებითი კლასებიდან საგნობრივი დარგების მიხედვით (ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში,

ბიოლოგიაში, შრომით სწავლებაში, საქართველოს ისტორიაში, უცხოურ ენებში). დამუშავებულია ელემენტარული, ძირითადი და საშუალო სკოლების გეგმების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელიც შეიცავს განმარტებით ბარათებს, სტრუქტურას, მითითებებს სასწავლო დატვირთვაზე და გეგმის ინვარიანტულ და ვარიანტულ ბლოკებს

დასანანია, რომ ეს უნივერსალური მასალა, რომელიც 1997 წელს არის გამოცემული, აღმზრდელობითი პრობლემების ირგვლივ საკმაოდ მწირ მასალას შეიცავს.

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ეროვნული, მრავალვარიანტული დემოკრატიული და ჰუმანური სკოლის ჩამოსაყალიბებლად – აღზრდის ძირითადი მიმართულების ავტორის გ. მურდულის მეცნიერულ ნაშრომს „ვინ უნდა აღზარდოს საქართველოს განათლების სისტემამ“ იდეას. გარდა ამისა, განათლების სისტემა სთავაზობს კლასის ხელმძღვანელს აღზრდის პროცესში 10 მცნების განხორციელებაზე ზრუნვას. რაიონული განათლების განყოფილება კლასის ხელმძღვანელს სთავაზობს სარეკომენდაციო თემატიკას კლასის საათისათვის, კერძოდ: მიხეილ ჯავახიშვილის „10 მცნების“ გათვალისწინებით აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვას, აგრეთვე შემოთავაზებულია ყურადღების გამახვილება ნოდარ დუმბაძის ოთხი საიდუმლოების ფლობის სარგებლობაზე.

ვხედავთ: დადგენილია აღზრდის მიმართულება, მრავალია შეგონება, სენტენცია, მეთოდური მითითება, მაგრამ ამ მდიდარ სიტყვიერ ფონზე შედარებით მკრთალი და არაფრისმთქმელია სკოლაში არსებული პრაქტიკული მოქმედების რეალური სურათი. არადა, უნდა აღვნიშნოთ: ნებისმიერ დროში ის სახელმწიფო იყო ძლიერი, რომელიც თავისი სტრუქტურებისა და ინტერესების დამცველი ახალგაზრდობის აღზრდას ახერხებდა. ამჟამად, როცა დაირღვა ღირებულებათა ძველი სისტემა და ახალგაზრდობის აღზრდის მექანიზმი, ბუნებრივია, შეიცვალა სახელმწიფო სტრუქტურა, მისი ორიენტაცია. ამ ვითარებაში არ გაგვაჩნია იდეოლოგია, რადგან ზოგი ფიქრობს, რომ იდეოლოგიური წნეხის დრომ ჩაიარა, არადა ეს დიდი შეცდომაა: უამისოდ სახელმწიფო ჰაერში გამოკიდებული რჩება, ხოლო ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობას სჭირდება აღზრდის სრული მექანიზმი: დაბალი ასაკიდან მომწიფებამდე, რასაც აღმზრდელებს ვერ ვთავაზობთ.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს ნაკლოვანებები დაუძლეველია, მაგრამ ყოველ დიდ საქმეს ხომ ოდესმე დაწყება სჭირდება? დემოკრატია იმას როდი ნიშნავს, რომ სკოლაში აღზრდის პროცესი თვითდინებაზე იყოს მიშვებული. საჭიროა მყარი საყრდენი, რაზედაც აიგება ძლიერი ზედნაშენი – მომავალი თაობის აღზრდა. მომავალი თაობის აღზრდა კი ერთიან იდეოლოგიაზე უნდა იყოს აგებული.

გარდუვალია იმ აზრის განხორციელების აუცილებლობა, რომელიც უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ილია II გააცხადა: „ბავშვები ჯერ რელიგიას უნდა ეზიარონ და სწავლას ამის შემდეგ უნდა შეუდგნენ“. ჩვენი აზრით, ეს სამართლიანი და საჭირო მითითებაა და საზოგადოებამ უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს.

უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიის სწავლება, რომელიც კარგა ხანია დაიწყო სკოლებში, ჯერჯერობით უფერულ და უსახურ ექსპერიმენტად დარჩა.

სადღეისოდ ყველაზე გამართლებული ის აღმზრდელობითი ფორმაა, რომელიც მეტ-ნაკლებად პოპულარული გახდა – ეს გახლავთ ახალგაზრდული პარლამენტი. იგი, ვფიქრობთ, მიზანდასახული ხელმძღვანელობის ვითარებაში სავსებით გაამართლებს. საგულისხმოა, რომ ამ საქმიანობაშიც მეტად მნიშვნელოვანია ლოკისეული შეხედულებანი იმის თაობაზე, რომ „მოზარდში უნდა ხდებოდეს ისეთი უნარის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას, გახდეს საზოგადოებისათვის სასურველი.“ ამ მიმართულებით მოაზროვნე სათანადო გზებსა და საშუალებებს გვთავაზობს. ის საშუალებები შესაძლებელს ხდის, სხვა სიკეთესთან ერთად დამკვიდრდეს ადამიანთა ჰარმონიული ურთიერთობები. ლოკი ამ მიზნით ყოველი ჯენტლმენის აღზრდის პროცესში აუცილებლად თვლის ურთიერთობისთვის საჭირო, მოზომილი, ტაქტიანი საუბრებისა თუ ქცევების განხორციელების უნარის გამომუშავებას. ის კონკრეტულადაც მიუთითებს, თუ როგორ მოხდეს ეს. ერთ-ერთი საამისო გზა – ეს არის სიტუაციების შექმნის გზა, როცა მოზარდის დადებითი ქცევების საფუძველზე ჩვევათა შემუშავების მექანიზმი ამოქმედდება.

ასევე დიდად სასარგებლოა მოზარდებისთვის უარყოფითი და დადებითი ფაქტებისა და მოვლენების ახსნა-განმარტება, ანალიზის საფუძველზე სჯაბაასი, ერთმანეთის ნააზრევთა შეჯერება. ფართო დისკუსია უნდა გაიშალოს

საზოგადოებაში არსებული ისეთი მანკიერებების შესახებ, რომლებიც ანგრევს თვით ამ საზოგადოების ჯანსაღ სულისკვეთებას და ა. შ.

ჩვენი საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ურთულეს პერიოდში მოზარდთა შორის ამ მიმართულებით აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რა უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ყოველივე ეს რამდენიმე საუკუნის წინათ თვით ჯონ ლოკმა შესთავაზა ინგლისის საზოგადოებას. აქ უპრიანია, მოვიშველიოთ დიდი მოაზროვნის გამონათქვამები:

„ჯენტლმენის“ ჩამოყალიბებისას მთავარია არა მხოლოდ ცალმხრივი განათლება, სხვადასხვა დარგის შესწავლა, როგორცაა, ვთქვათ, ფილოსოფია, მათემატიკა, ისტორია, მეტაფიზიკა. რასაკვირველია, ეს ცოდნის სამყაროს გასაღებია, მაგრამ, თუ აღსაზრდელს არ აქვს კეთილზნეობისა და სათნოების საფუძველი და მისი პიროვნება დარიბია, იდეურ-ზნეობრივად მწირია, ეს მნიშვნელოვანწილად ადაბლებს მის ადამიანურ ღირსებას, იგი არასრულფასოვნად შეიძლება ჩაითვალოს.“

„უმაღლესი მიზანი, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – რომელსაც ისახავს მასწავლებელი, არის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ სულიერი აღზრდა და სათანადო ჩვევების ჩამოყალიბება.“ სხვაგან მკვლევარი ასე გვწვრთნის: „სხეულის ფიზიკურად წრთობა ცხოვრებისეული ნაკლოვანებების ამტანობით, ამასთანავე აყალიბებს ადამიანის სულიერ სიძლიერეს“.

სულიერ ძლიერებაში იგი გულისხმობდა შემდეგს: როდესაც ადამიანი განუსჯევლად არ მოქმედებს მაშინაც კი, როცა ერთობ ძლიერია ლტოლვა რაიმე საგნისა თუ მოვლენისადმი, ეს არის საკუთარი თავის ფლობის, საკუთარი ქცევის რეგულირების ფარული ძალა, რომელიც აღზრდას ექვემდებარება.

ეს არის ის ძირითადი ფუნდამენტი, რომლის გამაგრება პატარაობიდანვე უნდა ხდებოდეს. ახალთაობის ჭეშმარიტი აღზრდის წარმატება დიდიად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არის დამუშავებული ჩვენი მეცნიერების მიერ პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიაში ამ მექანიზმის რაობა, მისი პრაქტიკული განხორციელების გზები.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის შოთა ნადირაშვილის მეცნიერული კვლევის შედეგად მკაფიოდ გამოკვეთილია ქცევის მექანიზმი, მაგრამ ეს

ძვირფასი მონაპოვარი ჯერ კიდევ წიგნებშია, რაც პრაქტიკულ აღზრდაში არ რეალიზდება. არადა ხომ არსებობს სკოლებში ფსიქოლოგიური სამსახური; იგი ასეთი მეცნიერული მონაპოვრების დანერგვაზე უნდა ზრუნავდეს.

ნაშრომში „ფიქრები აღზრდის შესახებ“ წარმოდგენილია კონკრეტულად და ნათლად ჩამოყალიბებული აღზრდის მთელი სისტემა. ღირებულებათა მთლიანი არქიტექტორული ანსამბლი. აღნიშნულ იდეათა რეალიზება აუცილებელია ჯანსაღი სულის მქონე ახალი თაობის ჩამოსაყალიბებლად.

სწავლა-აღზრდის ღირებულებათა გარკვეული სისტემა ჩვენთვისაც ცნობილია, ოღონდ იგი მხოლოდ დეკლარირებულია, მათი რეალიზების გზებსა და საშუალებებზე ნაკლები ცოდნა და გამოცდილება მოგვეპოვება. არადა ჯონ ლოკის ნაწერებში ეს გზები და საშუალებები მკაფიოდ არის გამოკვეთილი, აღწერილი.

ჯონ ლოკს ასევე ნათლად აქვს გადმოცემული ჩვევათა მთელი სისტემა. იგი აღნიშნავს: სრულიადაც არ არის საკმარისი წესების ცოდნა. მთავარია ამ ცოდნის პრაქტიკული განხორციელება, ძიება იმ ცხოვრებისეული სიტუაციებისა, რომლებშიც ჩაბმა განხორციელდება სისტემატიურად, ვარჯიშით, რასაკვირველია, შერჩეულ ჩვევათა ჩამოსაყალიბებლად გაწეულ მუშაობაში გათვალისწინებული იქნება ნორჩთა ასაკობრივი შესაძლებლობანი.

ვინ, თუ არა სკოლის ფსიქოლოგიურმა სამსახურმა, უნდა იზრუნოს აღმზრდელობით პროცესში ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად?

„ცუდი და კარგი ჩვევები პატარაობიდანვე იწყებს ჩამოყალიბებას, – აღნიშნავს ჯონ ლოკი, – გამყარებული ჩვევების აღმოფხვრა კი რთული პროცესია და ხშირად დაუძლეველიც.“

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერის აზრი ასაკისთვის შეუსაბამო სურვილების შესახებ. იგი სრულიად ესმიანება თანამედროვე გამოთქმას „მოზომილი, გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბების პრობლემა.“ „მთავარია სურვილთა მართვის უნარი, ხოლო, ვინც არ არის მიჩვეული, დაუმორჩილოს თავისი ნება გონებას, როდესაც ეს სასარგებლოა, ყური უგდოს სხვის კეთილ რჩევას, ვიდრე ახალგაზრდაა, ის საკუთარი გონების ხმასაც ვერ დაუგდებს ყურს ხანდაზმულობისას.“ სხვაგან მკვლევარი გვაუწყებს: „ბავშვების

უარყოფითი ზნეობრივი გამოვლინებანი უფროსების მიერ ნებსით თუ უნებლიეთ ჩაგდებული უხიაკი თესლის ბრალია."

აღსანიშნავია იმ მნიშვნელოვანი პრობლემის დამუშავება, რომელიც უარყოფით თვისებათა თავიდან აცილებას ეხება, ეს თემა მეტად მკაფიოდ არის გამოხატული ჯონ ლოკის შემოქმედებაში. იგი გვთავაზობს მოზარდში მისი რეპუტაციის, საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების, თავმოყვარეობის გამომუშავების მიზნით წარმართული მუშაობის ფორმებს. აღნიშნული ფორმები საჯაროობის ყველა მომენტს ითვალისწინებს.

იქვე გაშუქებულია სირცხვილის გრძნობის აღძვრის ნიუანსები, მოცემულია მისი დეტალური ანალიზი. ეგ ანალიზი უარყოფითი ქცევების აღკვეთის ერთგვარი წინაპირობაა. თუ მოზარდი კარგავს ავტორიტეტს, – აღნიშნავს მოაზროვნე, – უნდა ჩაითვალოს, რომ მას აქვს ავისა და უკეთურისკენ მიდრეკილება.

ჯონ ლოკი გვთავაზობს აღმზრდელობითი თვალსაზრისით სწრაფი ანალიზის მეთოდს. ის უარყოფითი ქცევის დროულ განსჯას გულისხმობს და მოზარდი გულწრფელ მონანიებად მიჰყავს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვის შინაგანი განცდების დიფერენცირება. აღმზრდელს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს აღსაზრდელის სულიერი სამყაროს უფაქიზესი რხევებიც კი.

ამ პროცესს მკვლევარი ადარებს მეზადის შრომას, რომელმაც სრულიადაც ვერ შეძლო ანდა, უკეთეს შემთხვევაში, შეძლო მხოლოდ ერთი კონკრეტული მცენარის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა.

ამ ცნობილი დებულების წამოყენებით ჯონ ლოკმა ჯერ კიდევ XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე თითქოსდა გაითვალისწინა თანამედროვე სკოლების აღმზრდელობით პროცესში არსებული შეგნებული თუ შეუგნებელი გარღვევები და ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრა მომავალი თაობის აღზრდის ურთულეს პრობლემებზე.

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის დღევანდელ ეტაპზე, როცა ქვეყნის ცხოვრებაში უამრავი სირთულე იყრის თავს როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიურ სფეროში, რასაკვირველია, ძნელია ასეთი ღრმა პრობლემების გადაწყვეტა, მაგრამ მათზე სერიოზული დაფიქრება ახლავე გემართებს.

ჯონ ლოკის შემოქმედების მიხედვით, აღმზრდელობით პროცესში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი აქვს დათმობილი ფიზიკურ აღზრდას. ადამიანის ბედნიერების უპირველეს საწყისად იგი თვლის ჯანის მრთელობას, ფიზიკურ ძლიერებას. ამგვარი თვისებების მქონე პიროვნება იოლად აიტანს ცხოვრების მოთხოვნებს, შრომის მაღალ რიტმსა და ტემპს. ამიტომ მისი ნარკვევის „ფიქრები აღზრდის შესახებ“ განყოფილება მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის, წრთობის საინტერესო და მწყობრ სისტემას გვაწვდის. აქ მითითებულია ფიზიკური აღზრდის საფუძველზე. ავტორი მომხრეა ათენის ფიზიკური აღზრდის სისტემისა, რომელიც მკაცრ მომთხოვნელობაზეა დამყარებული. შრომაში გასაოცარი სიზუსტით, სიღრმითა და კონკრეტულობით არის გადმოცემული წრთობის თითოეული დეტალი. შესაძლებელია დავასახელოთ ამის ერთ-ერთი მაგალითი. ეს გახლავთ სიცივისა და სიცხისადმი მოზარდის მედეგობის გამოსამუშავებლად საჭირო მეთოდები, გზები და საშუალებები. კონკრეტული მითითებანი გვარწმუნებს: ჯონ ლოკი ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის ძირითად ფაქტორად თვლიდა სუფთა ჰაერს, ვარჯიშს, ძილს, მარტივ საკვებს, წამლების რაც შეიძლება ცოტა რაოდენობით გამოყენებას, ხალვათ ტანსაცმელს, თავისა და ფეხების გრილად შემოსვას, სიცივისა და სიცხისადმი გამძლეობის გამომუშავებას და ა. შ.

აღნიშნულ საკითხებს ავტორმა თავისი ნარკვევის 30-მდე პარაგრაფი მიუძღვნა.

ვფიქრობთ, თანამედროვე სკოლებისთვის, მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით, ჯონ ლოკის მემკვიდრეობაში თავს იყრის უამრავი განსაზოგადებელი მასალა.

ჯონ ლოკის შემოქმედებაში თავმოყრილია უამრავი სასარგებლო მასალა გონებრივი-სულიერი აღზრდის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას: მისი შემოქმედების სიღრმისეული შესწავლა აღზრდასთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო საკითხს აღძრავს.

„ცდა გონების აღზრდის შესახებ“ იმითაც საგულისხმოა, რომ აქ მოცემული მასალები, მათი განზოგადება ბევრ რამეს გვეტყვის მომავალი თაობის გონებრივი შესაძლებლობების შესახებ.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ აზრს, თითქოსდა სწავლა-აღზრდის შესახებ ლოკის პედეგოგიკური შეხედულებები და იდეები თანამედროვეობის გადასახედიდან

არავითარ კრიტიკას არ იმსახურებს. არის გარკვეული საკითხები, რომელსაც კრიტიკულად ვუდგებით და ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არც უნდა დავეთანხმოთ. ამის მაგალითად შესაძლებელია დავასახელოთ:

1. ინდივიდუალური, საოჯახო აღზრდის უპირატესობის აღიარება.
2. რელიგიური აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული მერყეობა.

ჯონ ლოკის აღზრდელიობითი სისტემის ზოგ ნაკლოვანებაზე მიგვითითებდნენ მისი თანამედროვენიც. იმ კრიტიკის ნაწილს ჩვენც ვიზიარებთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ნაკლოვანებები გამოწვეული იყო მაშინ გამეფებული რეაქციით, რომელიც გავლენას ახდენდა მოაზროვნის მისწრაფებებზე.

თანამედროვენი საყვედურობდნენ ლოკს, რომ იგი, თითქოსდა, დაბალ შეფასებას აძლევდა ლიტერატურის როლს და მეტად აფასებდა ისეთ ღირებულებას, როგორც იყო „რეალური ცოდნა.“ რომ, თითქოსდა, მკვლევარი ერთგვარად უკანა პლანზე გადაწევდა ლიტერატურული ფორმის სილამაზეს. ასევე თითქოსდა შედარებით დაბალ შეფასებას აძლევდა კლასიკურ ლიტერატურას, ხელოვნების კეთილშობილურ ზეგავლენას პიროვნების სულზე. ამ კრიტიკას თანამედროვე აღზრდის სისტემაც, რასაკვირველია, ეთანხმება, უფრო მეტიც, თანამედროვე პედაგოგიურ აზროვნებაში აღნიშნულის სრულიად საწინააღმდეგო აზრია დამკვიდრებული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯონ ლოკის მემკვიდრეობა, მისი იდეები თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების თვალსაწიერშია მოქცეული. მისი მრავალი დებულება სამეცნიერო მიმოქცევაშია გაშვებული. ამის დასამოწმებლად საკმარისია დავასახელოთ ივ. ჭკუასელის შრომა “ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში” (თბილისი, გამომცემლობა „განათლება“ 1981), სადაც სხვა პრობლემათა შორის ფართოდ არის განხილული საკითხი, თუ რა როლს აკისრებს ლოკი მემკვიდრეობასა და გარემოს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

პედაგოგიკის მეცნიერების ქართველ წარმომადგენელთა კამათის საფუძველზე (ივ. გომართელი, პ. ტაბიძე, კაკაბაძე, გ. მეფარიშვილი, გ. სიხარულიძე, ღ. ბოცვაძე, ბადრიძე და სხვები) გამოკვეთილია ჯონ ლოკის შეხედულებების ჭეშმარიტი არსი აღზრდაში მემკვიდრეობისა და გარემოს როლის შესახებ. დასკვნის სახით აღნიშნულია: ადამიანთა ჩამოყალიბება, მათ მიერ ცოდნის,

უნარისა და ჩვევების შექმნა, ჯონ ლოკის აზრით, შეუძლებელია მათში დაბადებითვე არსებული ნიჭიერების, მემკვიდრეობით გადმოცემული თვისებების, მათი განსაკუთრებული კონსტიტუციის გარეშე, სწორედ მემკვიდრეობით გადმოცემულ თვისებებშია შესაძლებლობა ადამიანის მიერ ყველაფრის ათვისებისა და ეს დადასტურებულია შრომაში „ფიქრები აღზრდის შესახებ“ „ჩვენ ვიბადებით ისეთი ნიჭიერებითა და ძალებით, რომლებშიც მოცემულია თითქმის ყველაფრის ათვისების შესაძლებლობა და რომლებსაც ყოველ შემთხვევაში შეუძლიათ წაგვიყვანონ იმაზე შორს, რისი წარმოდგენაც ჩვენ თვითონ შეგვიძლია“, მაგრამ მხოლოდ ამ ძალების ვარჯიშს ძალუძს „მოგვცეს რისიმე უნარი და რაიმეში დახელოვნება და წაგვიყვანოს სრულყოფილებისაკენ.“ ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანები თავიანთი მემკვიდრეობითი თავისებურებებით იმდენად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ აღზრდამ ვერ უზრუნველყოს მათი გათანაბრება. მემკვიდრეობით, როგორც ადამიანის სრულყოფის აუცილებელი საფუძველთაგანთ, ადამიანები არ წარმოადგენენ ისეთ განსხვავებულ არსებებს, რომლის წინაშეც ქედს უნდა იხრიდეს აღზრდა.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას გარემოს როლის შესახებ ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში, – აღნიშნავს ივ. ჭკუასელი.

ლოკი დიდ როლს მიაკუთვნებს გარემოს, განსაკუთრებით კი ორგანიზებულ საზოგადოებრივ გარემოს, თუმცადა, მიუხედავად ამისა, აღზრდას მაინც ყოვლისშემძლე კატეგორიად თვლის. იგი ასაბუთებს გარემოს დიდ როლს პიროვნების ფორმირების პროცესში, მაგრამ იგი იმდენად დაქვემდებარებული გამოჰყავს, რამდენადაც მის გავლენას ადამიანზე თითქმის მთლიანად წარმართავს და სძლევს აღზრდა. ჯონ ლოკი, ამავე დროს, როგორც ფილოსოფოსი, ხშირად გარემოდ თვით აღზრდასაც თვლიდა. მაშინ უფრო გასაგები გახდება პიროვნების ფორმირებაში აღზრდის ყოვლისშემძლეობის მისეული თეორია.

ჯონ ლოკის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან უღმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და ამით გააცამტვერა აღზრდის როლის უარმყოფელი თეორიები. მაგრამ ამ კრიტიკის დროს, თავისივე ფილოსოფიიდან გამომდინარე, იგი ავითარებს უკიდურესად ცალმხრივ თვალსაზრისს: „სუფთა დაფის“ ემპირიული თეორიის გამოსობით მოაზროვნე აღზრდის ყოვლისშემძლეობის

აღიარებამდე მიდის და თითქმის სრულიად უგულვებელყოფს მემკვიდრეობის როლს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ეს თვალსაზრისი პედაგოგიკის ყველა დღევანდელ სახელმძღვანელოშია დადასტურებული, ხოლო, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი პოემა-შედეგში ბრძენმა აკაკი წერეთელმა ხატოვნად ასე განაცხადა:

*„მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამაც არ უშველაო“.*

„ბუნებაში“ მგოსანი სწორედ მემკვიდრეობას, ჯიშს, ჯილაგს, გენეტიკურ კოდს გულისხმობდა. ჩვენი აზრით, საფიქრებელია, რომ ლოკი არასოდეს მისულა მემკვიდრეობის სრულ უარყოფამდე. მართალია, იგი თვლის, რომ ადამიანთა შორის არსებული სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ აღზრდის შედეგია და აქ მემკვიდრეობას თითქმის არავითარი როლი არ მიეკუთვნება და ბავშვები მემკვიდრეობითი თავისებურებებით იმდენად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ აღზრდამ ვერ უზრუნველყოს მათი გათანაბრებაო, მაგრამ უკვე ამ გამონათქვამშიც იგულისხმება გენეტიკური კოდის, ჯიშისა და ჯილაგის თვისთავადი მნიშვნელობა.

ე. ი. აღზრდასა და გარემოზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებს მემკვიდრეობით გადმოცემული თვისებები.

დღევანდელ დინამიკურ სამყაროში, უამრავი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გადაწყვეტის პროცესში უთუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგანმანათლებლო- აღმზრდელობით საკითხებს. რომელთა გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია მომავლის ჰუმანური და ცივილიზებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შენება. ტექნიკური საგანმანათლებლო რევოლუციის მკაცრ პირობებში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ რომ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი და საზოგადოება სწორი პედაგოგიური კონცეფციის გარეშე ვერ ჩამოყალიბდებოდა. ტექნიკურ-ინფორმაციული საზოგადოება იმ უმართავ ძალად იქცევა, რომლის საფუძველსაც ნგრევის პროცესისკენ შეუჩერებელი სწრაფვა ქმნის.

წარსული მხოლოდ სარკეა, რომელშიც მუდმივი ჭეშმარიტებანი, ჩვენი დადებითი და უარყოფითი ქმედებანი შეგვიძლია აღვიქვათ და დავინახოთ, მომავალი ჩვენი ოცნებათა სამყაროა და მხოლოდ აწმყოა ის სფერო, სადაც შეგვიძლია ვიმოქმედოთ და ჩვენი ნაოცნებარი რეალობად ვაქციოთ. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ სამყარო თავისი განვითარების ისეთ ახალ ფაზაში შედის, როცა მისი გარეგნული განმასხვავებელი ნიშნები ენა, ეროვნული მენტალიტეტი, რელიგიური ტრადიციები თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას. თანამედროვე ცივილიზაციის მახასიათებელი ხდება ინფორმაციის მაღალი ტექნოლოგიები, რომელიც მომავალში მსოფლიოს მმართველ ძალად იქცევა. გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ემოციურ და ინტელექტუალურ საწყისთა გათიშვა, რაც თანამედროვე ცნობიერებისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ სასურველი არ არის ჩვენს ბავშვებს ყოველივე ადამიანურ გრძნობებს მოკლებული რობოტები და კომპიუტერები ასწავლიდნენ. ინფორმაციის ტრადიციული საშუალებები ზეპირი და წერითი მეტყველება ადგილს უთმობენ სწავლების კომპიუტერულ საშუალებებს, გლობალური მასშტაბის ტელეკომუნიკაციური ქსელების გამოყენებას.

ყოველ ეპოქას აქვს საკუთარი პრობლემები, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას და გარკვეულ მიდგომას.

ჩვენ, როგორც მცირე ქვეყნის ხალხმა, უნდა ვიფიქროთ ყოველნაირად დავიცვათ და შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნულობა (ენა, მამული, სარწმუნოება). მასობრივი ინფორმაციის წყაროები, როგორც მსოფლიო გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი, არღვევენ ტრადიციულ ეთნიკურ, საზოგადოებრივ და რელიგიურ საზღვრებს. რელიგიური ცნობიერების გვერდით აღმოცენდა და დამკვიდრდა ანტირელიგიური, ათეისტური ცნობიერება.

მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით, განათლების მიზანია: დაეხმაროს ბავშვს, შეიცნოს ღვთის სამება საკუთარ თავში და დაანახოს ამ საქმეში არსებული წინაარმდებლობები. მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის საქმიანობა მიმართულია იქით, რომ ადამიანში ჩამოვაყალიბოთ შინაგანი სამყარო, რათა მასში გაიხსნას ღვთის ხატება. სწორედ ამიტომ არის საჭირო ბავშვის ქრისტიანული აღზრდა, რადგან ყველაზე დიდი, გლობალური პრობლემა დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური

რეკოლუციის ორომტრიალში მყოფი კაცობრიობისათვის არის თვითფლობა. „შეძლებს თუ არა დაიმორჩილოს თავისი თავი და მის მიერ შექმნილი ტექნიკა, აღმოჩნდება თუ არა დაგროვილი ტექნიკა ადამიანისათვის საბოლოოდ კეთილდღეობის მომცემი? ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერულად დასაბუთებულმა ტექნიკამ მოგვცა არნახული ძალაუფლება ბუნების ასათვისებლად და ეს ძალაუფლება უნდა იყოს გამოყენებული არა ადამიანის სულიერი დაუძღურების, არამედ მისი კეთილდღეობისათვის“ (ილია II, 1997, 1:25). დღევანდელ ეპოქაში სკოლას, გარკვეულწილად, უხდება ადაპტირება არსებულ გარემოში და აღზრდის მეთოდების შეთვისება ცივილიზაციის მოთხოვნებთან, რაც ხშირად შორსაა ქრისტიანული იდეალებისაგან. ქრისტიანული პედაგოგიის აქცენტი მიმართულია ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისკენ, მასში ღვთის სახების გახსნისაკენ. თუ ბავშვი არ განიცდის აღზრდის ზეგავლენას, შესაძლებელია, თავისუფლებით სარგებლობამ მიგვიყვანოს გამოუსწორებელ შეცდომამდე. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ პედაგოგიურ სისტემაში აღზრდის მიზნის პრობლემაა მთავარი.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში საერო ცხოვრების სულისკვეთებას, შეზღუდულ მატერიალისტურ მსოფლიო მხედველობას, აღვირახსნილობას, ცბიერებას უნდა დავეუბრისპიროთ მართლმადიდებლობის ზნეობრივი ასპექტები, როგორც ჩვენი აღზრდა-განათლების საფუძველი. არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი სამყაროს ხვალინდელი დღე წარმოუდგენელია ადამიანის დაბრუნების გარეშე სულიერი სიწმინდისა და თვითშეზღუდვის იდეალებთან.

მიგვაჩნია, რომ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიის მიზნებიდან, ამოცანებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, დღეს მთავარია, გავითავისოთ მშობლიური მხარის მემკვიდრეობა. იგი ერთდროულად მისტიკურიცაა და მშობლიურიც. „და ნათელი ბნელში ნათობს“. სინათლე ქრისტესი – სინათლე ქვეყნიერებისა იმედისა და სიყვარულისა ჩაუქრობელი აღმოჩნდა, რადგან „ბნელმა იგი ვერ მოიცვა“.

ქართველთა ძლიერება რომ ქრისტიანობისა და ეროვნულობის ერთიანობაში მდგომარეობდა, ეს შესანიშნავად იცოდა ჩვენი ერის ყველა მტერმა – შინაურმა

თუ გარეშე. ამიტომ ისინი მუდამ ცდილობდნენ და დღესაც არ აკლებენ ცდასა და მონდომებას ქართველი ერის საბოლოოდ დასამონებლად და გასანადგურებლად. თანამედროვე პირობებში უაღრესად აქტუალური გახდა გლობალიზაციისა და მსოფლიოს ცივილიზაციური ერთიანობის საკითხები. ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, იქნებ როგორმე განერიდოს გლობალიზაციის პროცესს. მაგრამ ეს შეუძლებელია. ვერც ერთი ქვეყანა თავს ვერ აარიდებს მას, ოღონდ აუცილებელია გონივრული მიდგომა და საზრიანობა.

ამროგად, გლობალიზაცია ობიექტური მოვლენაა, ამ პროცესს ვერ შევაჩერებთ. ამავედროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს შევეუნარჩუნოთ მომავალ თაობას ეროვნული კულტურა, ტრადიციები და ადათ-წესები.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჯონ ლოკის პედაგოგიკური შეხედულებები, იდეები საუკუნეების შემდეგაც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობასა და აქტუალობას.

დასკვნები

სადისერტაციო თემის მონობრაჟიულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

1. ჯონ ლოკმა, როგორც პედაგოგიკური მეცნიერების კლასიკოსმა, პირველმა ჩაუყარა საფუძველი თანდაყოლილი იდეის არარსებობის ჰიპოთეზას, მოძღვრებას ცოდნის გრძობადი წარმოშობის შესახებ, რისი საფუძველიც არის გამოცდილება; მან სიღრმისეულად დაამუშავა შემეცნების თეორია და ამით ხელი შეუწყო იმდროინდელი ფილოსოფიურ-ისტორიული აზროვნების შემდგომ განვითარებას.
2. მოაზროვნემ პირველმა გამოიკვლია ცოდნის წარმოშობა, მისი სიცხადის ხარისხი, შემეცნების უნარი და საზღვრები. ყველაფერი ეს საფუძველად დაუდო მომავალი თაობის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და განათლების შესახებ საკუთარ მოწინავე თვალსაზრისს.
3. ჯონ ლოკი დიდი ფილოსოფოსი, მატერიალისტური სენსუალიზმის ფუძემდებელია. მან ახალი ფილოსოფია შექმნა იმით, რომ საგანგებოდ დაამუშავა შემეცნების ორიგინალური თეორია.
4. მკვლევარმა შექმნა მორალურ-ზნეობრივ და სულიერ ღირებულებათა თანამიმდევრული სისტემის ბაზისი, რაზეც დააფუძნა განათლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის დიდი და მყარი შენობა.
5. ჯონ ლოკმა „ჯენტლმენის“ აღზრდის მიზნებისა და ამოცანების საფუძვლიანად და დამაჯერებლად განსაზღვრის შემდეგ დაამუშავა ამ მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პედაგოგიური გზები და საშუალებები.
6. მოაზროვნემ ჩამოაყალიბა თავისებური სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემა, რომელმაც გააცამტვერა არსებული სქოლასტიკური სკოლის იძულების პრაქტიკაზე აგებული საძირკველი და ჰუმანურ პედაგოგიკურ იდეებსა და შეხედულებებზე დაყრდნობით საფუძველი ჩაუყარა ყოველმხრივ განვითარებულ, „ჯენტლმენის“ ფორმირებისათვის საჭირო სწავლა-აღზრდის სრულიად ახალ მოდელს.

7. თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერების საფუძვლების შესწავლას ჯონ ლოკის მემკვიდრეობასთან მივყავართ. ამით დასტურდება, რომ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერების წინსვლა საუკუნეთა მანძილზე შეპირობებული ყოფილა ლოკის პედაგოგიური მოძღვრებით.
8. ჯონ ლოკმა ჩამოაყალიბა ადამიანთა, სოციალურ ჯგუფთა (აღმზრდელები, აღსაზრდელები, მშობლები და სხვა) ურთიერთობის სრულიად ახალი სისტემა. ამით მან აქტუალური გახადა ჰარმონიული საზოგადოების შექმნის პრობლემა.
9. მეცნიერის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას აქვს არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა. იგი დღესაც აქტუალურია და მყარ საფუძველს უქმნის პედაგოგიკის მეცნიერების სწორი მიმართულებით განვითარებას. აღნიშნული მემკვიდრეობის მეცნიერულობამ, მისმა დიდმა პრაქტიკულმა ღირებულებამ განაპირობა ჯონ ლოკის პედაგოგიკური მოძღვრების უკვდავება.
10. პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში ლოკმა პირველმა მოგვცა დასრულებული და ყოველმხრივ დასაბუთებული ფიზიკური აღზრდის თეორია. იგი ამ თეორიის ფუძემდებელია; ფიზიკური აღზრდის მიზნის ლოკისეული გაგება დღესაც აქტუალურია. ფიზიკური აღზრდის მიზანი სხეულის საიმისოდ გაკაჟებაა, რათა ადამიანს შეეძლოს სრულად გამოიყენოს თავისი სულიერი შესაძლებლობანი ისე, რომ ამით ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს. – ეს მიზანი არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.
11. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით აქტუალურია ჰარმონიულად განვითარებული შემოქმედებითი აზროვნებით აღჭურვილი პიროვნების აღზრდის საკითხი. ეს დღის წესრიგში აყენებს განათლების სისტემის რეფორმის მეცნიერული უზრუნველყოფის პრობლემას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წარსულის გამოცდილების გამოყენება, რომელშიც ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ჯონ ლოკის პედაგოგიკურმა მოძღვრებამ.

დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში

1. მ. ჩუხუა, – „ჯ. ლოკის სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის საფუძვლები“, „კავკასიის მაცნე“, №5, თბ., 2002., გვ. 113-116.
2. მ. ჩუხუა, „ჯონ ლოკის პედაგოგიკური სისტემა“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, №1(15), თბ., 2003., გვ. 149-153.
3. დ. დარჩია, მ. ჩუხუა, „აღზრდის წამყვანი როლი პიროვნების ფორმირების პროცესში ჯონ ლოკის მიხედვით“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომხბე“, №2, თბ., 2003., გვ. 357-359.
4. მ. ჩუხუა, „ჯონ ლოკი – პედაგოგისა და მისი დანიშნულების შესახებ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მასალები, თბ., 2000., გვ. 86-88.
5. მ. ჩუხუა, „ჯონ ლოკი და თანამედროვეობა“, „სკოლა და ცხოვრება“, 2000., გვ. 80-81.
6. მ. ჩუხუა, ჯ. ლოკი – „ჯანსაღ სხეულში – ჯანსაღი სული“, სამეცნიერო შრომების კრებული, №3, „საზრისი“, 2000., გვ. 146-149.
7. მ. ჩუხუა, გონებრივი აღზრდის საკითხები ჯონ ლოკის პედაგოგიურ შეხედულებებში, საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მასალები, თბ., 2000., გვ. 83-85.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე პ. – რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, VI, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972წ.
2. ბაქრაძე პ. – ახალი ფილოსოფიის ისტორია, VI, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1969 წ.
3. ბაღანაძე რ. – პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1997წ.
4. ბობიჯიძე მ. – ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941 წ.
5. ბაბუა ვ. – „პედაგოგიკა“, თბილისი, 1996 წ.
6. მასაძე ნ. – პედაგოგიკის ისტორია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988 წ.
7. თაყაიშვილი ბ. – რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, I, „განათლება“, თბილისი, 1974 წ.
8. ლორთქიფანიძე დ. – პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1969 წ.
9. ნადირაშვილი შ. – პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ.
10. ნათაძე რ. – ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1977 წ.
11. ობოლაძე შ. – პედაგოგიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1950 წ.
12. ობოლაძე შ. – მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა, “საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1965 წ.
13. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1992 წ.
14. პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1998 წ.
15. პედაგოგიკის ძირითად ცნებათა მოკლე განმარტებანი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987 წ.
16. პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1988 წ. (ნათელა ვასაძის რედაქციით).
17. პედაგოგიკა, თბილისი, 1986 წ. (დ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით).

18. *სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი – ელემენტარული, ძირითადი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმები, თბილისი, 1997 წ.*
19. *უზნაძე ღ. – ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940 წ.*
20. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1973 წ.*
21. **ჩხარტიშვილი შ.** – *აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974 წ.*
22. *უნივერსიტეტის კრებული „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1993 წ.*
23. **ჭაუხაძე ივ.** – *ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981 წ.*
24. **ხუხუა ბ.** – *„მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს პედაგოგიური მემკვიდრეობა“, სადოქტორო დისერტაცია, 1998წ.*
25. *Английская буржуазная революция XVII века., М., 1954 г.*
26. *ГРЕБНЕВ К. В. – Джон Локк. Популярный очерк его жизни и учения. М., 1929 г.*
27. *ДЖОН ЛОКК – «Опыт о человеческом разуме», М., 1998 г.*
28. *ДЖОН ЛОКК – О воспитании детей, М., 1760 г.*
29. *ДЖОН ЛОКК – Мысли о воспитании//Журнал «Русская школа», 1890 г.*
30. *ДЖОН ЛОКК – Педагогические сочинения, М., 1939 г.*
31. *ДЖОН ЛОКК – Избранные философские произведения, М., 1960г.*
32. *ДЖОН ЛОКК – Мысли о воспитании и о воспитании разума. Санкт – Петербург, 1913 г.*
33. *ЗАЙЧЕНКО Г. А. – Джон Локк, М., «Мысль», 1988 г.*
34. *ЗАЙЧЕНКО Г. А. – Философия Джона Локка, М., 1959 г.*
35. *ЛИТВИНОВ С. А. – «Локк, его жизнь и философская деятельность», М., 1892 г.*
36. *МЕРИНГ Ф. – Джон Локк // «На философские и литературные темы», Минск, «Белтрест печать», 1923 г.*
37. *НАРСКИЙ И. С. – Философия Джона Локка. Из., во Московского государственного университета, 1960 г.*
38. *НАРСКИЙ И. С. – Джона Локк и его теоретическая система, М., 1985 г.*

39. *История и теория педагогики*, М., 1960 г.
40. ОСИПОВ В. – *Британия глазами русского*, М., 1976 г.
41. ОВЧИННИКОВ В. – *Корни Дуба*, М., 1980 г.
42. ОРЕСТОВ Д. – *Другая жизнь и берег дальний*, М., 1974 г.
43. ПАВЛОВА Т. А. – *Джон Беллерс и английская социально-экономическая мысль второй половины XVII века*, Из-во «Наука», М., 1979 г.
44. РАХМАН Д. – *Джон Локк*, Издательство Червоний шлях, 1924г.
45. *Просвещение Педагогический сборник*, Петроград, 1921 г.
46. *Педагогические сочинения Джона Локка (Пер., с англ.)*, Ю. М. ДЕВИДСОНА, М., 1939 г.
47. СУББОТИН А. Л. – *Принципы гносеологии Локка*, «Вопросы философии», М., 1955 г.
48. *Статья о Локке в сборнике Меринга «На философские и литературные темы*, Минск, 1923 г.
49. *Статьи о Локке в «Русской мысли»*, 1892 г.
50. СЕРЕБРЕННИКОВ В. – *«Учение Локка о прирожденных началах знания»*, 1892 г.
51. *Словарь Иностранных слов*, М., «Русский Язык», 1989 г.
52. *Философский словарь*, Из-во., Политической Литературы, М., 1963г.
53. ШИБУТАН Т. – *Социальная психология*, «Прогрес», М., 1960 г.
54. *Essays on the law of Nature*, edited and translated by von leyden. Oxford, 1954.
55. *An Essay Concerning the Understanding, Knowledge, Opinion and Assent (original draft)*, edited by Benjamin Rand, 1931.
56. CRONSTON M. – *John Locke, a Biography* N. U., 1957.
57. GIBSON I. – *Locke's theory of Knowledge and its historical relation*, Cambridge Uni., 1917.
58. *The conduct of the understanding*, London, 1706.
59. *A Letter to the Bishop of Worcester*, 1697.
60. *M-r Locke's Reply to the Bishop of Worcester*, 1699.
61. *The Reasonableness of christianity as delivered in the scripture*, 1695.
62. GIBSON I. – *Locke's moral Philosophy* Edinbyrgh, 1983.
63. *Locke on Human Understanding: Selected Essays* edited by I. C. Tipton, Oxford, 1977.
64. *Locke and Liberty, Selections*, edited by Massimo Salvadori, 1960.

65. *Some Thoughts on the Conduct of the Understanding in the Search for truth*, 1762; edited by T. Fowler, 1981, revised edition, 1901.
66. *Locke and the way of ideas*, Oxford, 1956.
67. RODGERS G. – *J. Locke, Law and the Laws of Nature*, New York, 1981.
68. DUNN J. – *The Political Thought of John Locke*. Cambridge, 1969.
69. James Cordon Clepp, *Lock's Conception of the mind*, N. Y. 1967.
70. *Some Thoughts Concerning Reading and Study for a Gentleman*, 1706.
71. *Some Thoughts Concerning Human Understanding*, 1960.
72. *Locke on Politics, Religion and Education*, edited by Maurice Cranston, 1957.
73. Guain F. R. S. / *On Some Defect in General Education*, p. 29.